

საქართველოს სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა A2



პრემიერის სტუმრობით მადაგახსნილი კახელები A3



პარლამენტარებს ნიდერლანდური კრედიტის პირობები არ მოსწონთ A6


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — პარასკევი, 25 მარტი, 2005 წელი. №67 (927) — ფასი 50 თეთრი


## საზოგადოება

ღია მიმართვა სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებს, სამედიცინო განათლების მესვეურთ და საქართველოს სამედიცინო საზოგადოებას



B1

მიიღეთ მონაწილეობა "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარეაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.

იურიდიული ოფისი „ბაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება. A7

# რისთვის ჩამოდის ბუში

დიმიტრი ავალიანი



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საქართველოს 10 მაისს ეწვევა. ამის შესახებ ცნობა ქართულ მასმედიაში გუშინ დილით მოულოდნელად გავრცელდა, თუმცა მას ოფიციალურად ვერავინ ადასტურებდა, საქართველოს პრეზიდენტის ჩათვლით.

ეჭვები აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **სკოტ მაკკლელანმა** თბილისის დროით საღამოს რვა საათისათვის გაფანტა. **"ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში 6 მაისიდან 10 მაისამდე ეწვევა ლატვიას, ნიდერლანდებს, რუსეთსა და საქართველოს, მეორე მსოფლიო ომის დასრულების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე დასასწრებად,** - განაცხადა მან, - **აშშ-ს პრეზიდენტი ტურნეს თბილისში ვიზიტით დაასრულებს, რათა დემოკრატიის, ისტორიული რეფორმის და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისადმი მხარდაჭერა დაადასტუროს".**

**"თუ ჯორჯ ბუშის ვიზიტი საქართველოში შედგება, ეს იქნება უპრეცედენტო, ისტორიული მოვლენა ჩვენი ქვეყნისათვის,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა თბილისის აეროპორტში, კიევში გამგზავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ბოლო თვეების განმავლობაში იგი რამდენჯერმე ესაუბრა ჯორჯ ბუშს ტელეფონით. **"ეს საუბარი ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი გამოირჩეოდა და ჯორჯ ბუში საქართველოში მოვიწვიე,"** - განმარტა პრეზიდენტმა.

აშშ-ს პრეზიდენტი სამხრეთ კავკასიის რეგიონში პირველად ჩამოდის. ჩვენი ქვეყანა კი, პირველად თავისი ისტორიის მანძილზე, ასეთი რანგის სტუმარს მასპინძლობს. საქართველოში ჯორჯ ბუშის ვიზიტისაგან ბევრს ელოდებიან. პირველ რიგში იმედები კონფლიქტების დარეგულირების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და ნატო-ში გაწევრიანების საქმეში აშშ-ს მხრიდან ქმედით დახმარებას უკავშირდება.

თუმცა იმის მიუხედავად, რა კონკრეტულ შედეგებს გამოიღებს ერთი კონკრეტული ვიზიტი, უკვე ფაქტია, რომ საქართველოსთვის ახალი ეტაპი იწყება. პირველ რიგში ეს იმით გამოიხატება, რომ სამუდამოდ დამთავრდება "კეთილმოსურნეთა" გაუთავებელი მსჯელობა საქართველოზე, როგორც "არარსებულ" და "არშემდგარ" სახელმწიფოზე. "არარსებულ" და "არშემდგარ" სახელმწიფოებში აშშ-ს პრეზიდენტები არ დადიან. და, გარდა ამისა, პუტინის კარის "პოლიტოლოგები" სამუდამოდ გაჩუმდებიან იმაზე, რომ "აშშ-ს საქართველოში ინტერესები არ აქვს", და "მალე, სულ მალე აშშ კავკასიას ისევ რუსეთს დაუთმობს".

საქართველო გახდა ინიციატორი იმ პროცესებისა, რომელის 2003 წლის ნოემბერში დაიწყო, დსთ-ს მასშტაბით გავრცელდა და, როგორც ბოლო დღეების მოვლენები აჩვენებს, შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ეს არის მოვლენები, რომლებიც საბჭოთა მემკვიდრეობისაგან ამ ქვეყნების საბოლოოდ გათავისუფლებას, საზოგადოების დემოკრატიზაციას და რუსული გავლენის სულ უფრო მეტად შეკვეცას ნიშნავს.

როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის ეს როლი დაფასდა ვაშინგტონშიც. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში პირდაპირი ტექსტითაა ნათქვამი, თუ რისთვის ჩამოდის ბუში. ეს არის **მხარდაჭერა,** რომელიც საქართველოს დღეს ასე სჭირდება.

ჯორჯ ბუში თბილისში იქნება მესიჯი – აშშ-ს ამ ქვეყანასთან ურთიერთობა სჭირდება, რეგიონში სერიოზული ინტერესები აქვს. ეს არის მკაფიო ხაზის გავლება პოლიტიკურ რუკაზე აშშ-ს სასიცოცხლო ინტერესების ზონასა და რუსული ჩექმის ჯერ კიდევ თავისუფალი გადაადგილების არეალს შორის. და, ასევე, ეს ნიშნავს, რომ საქართველოში დაწყებულ "ხავერდოვან" პროცესს, რომელიც მეზობელ ქვეყნებსაც გადაედო, აშშ ცალსახად უჭერს მხარს.

## რუსეთ-საქართველოს რთული მოლაპარაკებები

მოსკოვში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მერაბ ანთაძის და რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების განსაკუთრებულ საქმეთა ელჩის იგორ სავოლსკის ხელმძღვანელობით, საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებზე კონსულტაციები გრძელდება.

როგორც რუსული გაზეთი "კომერსანტი" იტყობინება, ქართული მხარე თანახმაა, რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა ოთხი წლის ვადაში, 2009 წლის 1 იანვრამდე განხორციელდეს. თუმცა, პირობა ასეთია - ამ პერიოდში რუსულმა სამხედრო ბაზებმა "გაყვანის რეჟიმში" უნდა იფუნქციონირონ, რაც გულისხმობს იმას, რომ არ უნდა გაიმართოს სამხედრო წვრთნები, შეწყდეს ახალი სამხედრო ტექნიკის შეყვანა და პირადი შემადგენლობა შემცირდეს.

გაზეთის ცნობით, აღნიშნული განცხადება ქართულმა მხარემ მოსკოვში, საგარეო საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კონსულტაციებზე გააკეთა.

კომპენსაციის სახით, თბილისი მზად არის, რუს ოფიცრებს თბილისის ცენტრში საცხოვრებელი ბინები გადასცეს, რომლის გაყიდვაც მათ რუსეთში გამგზავრებამდე შეეძლებათ. ამასთან, ბაზებიდან ტექნიკის გაყვანისა და პირადი შემადგენლობის ტრანსპორტირებისათვის საქართველო მზადაა, გაიღოს 10-15 მილიონი აშშ დოლარი, რომლის მიღებასაც ის უცხოელი დონორებისგან ვარაუდობს.

თუმცა, "კომერსანტის" ცნობით, მოსკოვი ბაზების "გაყვანის რეჟიმში" ფუნქციონირების კატეგორიული წინააღმდეგია. ანუ, მოსკოვი ბაზების ოთხ წელიწადში გაყვანას რომ დათანხმდეს, თავდაცვის სამინისტრო მაინც კატეგორიულად მოითხოვს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ბაზებმა ჩვეულ რეჟიმში იმუშაონ.

მოსკოვში მიმდინარე კონსულტაციებზე საქართველოში რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ქართულ-რუსული მოლაპარაკებები **"წარმატებულად, თუმცა რთულად მიმდინარეობს."**

**"მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. იმედია, მოლაპარაკებების შედეგად მაისში რაიმე შედეგს მივაღწევთ,"** - განუცხადა მან ჟურნალისტებს. მოლაპარაკებებზე, აგრეთვე, განიხილება სავიზო რეჟიმის გამარტივების, საზღვრის დელიმიტაციის, კონფლიქტების მოგვარებისა და ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის საკითხები.

*24 საათი*

# ყირგიზეთის არახავერდოვანი რევოლუცია

A5





## პოლიციის განვითარების სტრატეგია


ლევან იზორია
*სამართლის დოქტორი, შსს აკადემიის რექტორი*


*პოლიციის რეფორმა საზოგადოების მხრიდან დიდ დაინტერესებას იწვევს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების და ექსპერტების მხრიდან პოლიციის რეფორმის სტრატეგიის ირგვლივ მსჯელობა და დისკუსია გაიმართოს. სწორედ ამ მიზნით, განსახილველად გთავაზობთ პოლიციის განვითარების სტრატეგიის პროექტს. მოხარული ვიქნებით, თუ მასთან დაკავშირებით მოგვაწვდით თქვენს მოსაზრებებს, შენიშვნებს და წინადადებებს. ჩვენ ვეცდებით, ყოველი პოზიტიური მოსაზრება შესაბამისად გავითვალისწინოთ და ავსახოთ როგორც წარმოდგენილ სტრატეგიაში, ასევე სამოქმედო გეგმაში, რომელიც მის საფუძველზე უნდა იქნეს შემუშავებული. გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე: საქართველოს შს პოლიციის აკადემია, ქ. თბილისი, 0167, გმირ კურსანტთა ქუჩა N1 ან ელექტრონულ ფოსტაზე:* isorialewan@hotmail.com.

გაგრძელება A8 გვერდზე

## ამინდი

| | 25/3 | 26/3 | 27/3 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 5 | 10 | 14 |
| ქუთაისი | 3 | 12 | 13 |
| ბათუმი | 3 | 12 | 14 |
| სოხუმი | 6 | 11 | 10 |
| ფოთი | 4 | 13 | 13 |
| თელავი | 2 | 8 | 12 |
| ზუგდიდი | 6 | 12 | 13 |
| გორი | -1 | 6 | 11 |
| ახმეტა | 3 | 9 | 13 |
| ჭიათურა | 0 | 8 | 11 |
| გაგრა | 6 | 10 | 11 |
| სამტრედია | 4 | 12 | 13 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8375 |
| ევრო | 2.4196 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4868 |
| რუბლი | 0.0667 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | TV პროგრამა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |





იხილეთ B3 გვერდზე

# ცენტრალური და ადგილობრივი ქონება თითქმის გამიჯნულია



ქონების განაწილება არც ისე იოლი საქმეა.

*გუშინ პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტმა მესამე მოსმენით განიხილა კანონპროექტი "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ". მომავალ სასესიო კვირას ამ პროექტს უკვე პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაიტანენ. კანონის მიღების შემთხვევაში, საქართველო შეასრულებს ევროსაბჭოს წინაშე აღებულ ერთ-ერთ ვალდებულებას, რომელიც ქვეყანაში რეალური თვითმმართველობის შემოღებას ეხება. მით უფრო, რომ ცენტრსა და რეგიონს შორის გაუმიჯნავი ქონება ყოველთვის იმ უმთავრეს შემაფერხებელ ფაქტორად ითვლებოდა, რომელიც ადგილებზე თვითმმართველობის ამოქმედებას ხელს უშლიდა.*

თამარ მჭედლიშვილი

კანონპროექტი, რომელიც გუშინ კომიტეტმა განიხილა, განსაზღვრავს ადგილობრივი თვიმმართველი ერთეულის კუთვნილ ქონებას. ეს ის ქონებაა, რომელიც დაბას, სოფელს, ქალაქს თუ რაიონს სახელმწიფო ან საკუთრებაში გადასცემს, ან ეს ორგანოები, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თავად შექმნიან ან შეიძენენ მას.

კანონის თანახმად, თავად ადგილობრივი ქონება ორ კატეგორიად იყოფა - ძირითადი ანუ გაუსხვისებელი და დამატებითი ქონება. პირველ კატეგორიას განეკუთვნება ადმინისტრაციული შენობები, შიდაგზები, პარკები. ეს ქონება ადგილებზე თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი საფუძველია და იგი საკრებულოებმა მხოლოდ მისი საჯარო ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით უნდა გამოიყენონ.

რაც შეეხება დამატებით ქონებას. ეს ის ქონებაა, რომელიც არ განეკუთვნება ძირითად ქონებას და არ წარმოადგენს მის ნაწილს, და რომელიც საკრებულოებმა შეიძლება გამოიყენონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასეთ ქონებას განეკუთვნება, მაგალითად, სასოფლო კლუბების შენობები, ყოფილი კოლმეურნეობების კანტორები, სოფლის კინოთეატრები და ა.შ. კანონის ამოქმედების შემხთვევაში, ადგილობრივ საკრებულოებს შეეძლებათ მათი განკარგვა, გასხვისება, იჯარით გაცემა და ა.შ.

ამავე კანონპროექტის თანახმად, ცენტრალურ ხელისუფლებას და გამგეობებს ეკრძალებათ ტერიტორიული ერთეულების ქონებრივ საკითხებში ჩარევა. თავის მხრივ, საკრებულოები ვალდებულნი არიან, დაიცვან ტერიტორიული ერთეულის, როგორც კანონიერი მესაკუთრის ინტერესები. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ან რეგისტრირებულ პირს შეუძლია, გამგეობებისა და თანამდებობების პირებისაგან საკრებულოს, როგორც კანონიერი მესაკუთრის, ინტერესის დაცვა მოითხოვოს.

თავად თვითმმართველი ერთეულის ქონება იქმნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემით და საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით

რაც შეეხება ქონების გადაცემის წესს, სახელმწიფო, საკრებულოებთან მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების შემდეგ, გადასცემს მათ ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის ქონებას, რომელიც აუცილებელია მათი ექსკლუზიური უფლებების განსახორციელებლად. ადგილობრივ თვიმმართველობით ერთეულებს ქონება უსასყიდლოდ გადაეცემა.

რაც შეეხება გადასაცემი ქონების კონკრეტულ სიას, იგი რამდენიმე თვეში, აუცილებელი კონსულტაციების გავლის შემდეგ განისაზღვრება.

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა“ თავისუფალი აზრის რადიო

FM 107.4

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის“ მსმენელთან

ყოველ ხუთშაბათს გადაცემა „ამბასადორი“ 11-იდან 12 საათამდე



მისი აღმატებულება საფრანგეთის ელჩი საქართველოში ბატონი ფილიპ ლეფორტი

წამყვანები: გაგა გოგრონიძე,ქეთევან კორძაია

სტუმარი: ბატონი ფილიპ ლეფორტი,საფრანგეთის ელჩი საქართველოში

ფილიპ ლეფორტი: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს აღრეც ვიცნობდი,როდესაც იგი საფრანგეთის დიპლომატიურ სამსახურში იყო. იგი სულით ხორცამდე ქართველია, ახლაც იყო ყოველთვის და ამიტომაც, საქართველოს პრობლემებს კარგად ხედავს.

მე დანამდვილებით ვიცი, რომ ყურძნის კულტურა და მეღვინეობა საქართველოდან, კერძოდ კახეთიდან მოდის. აქედან,რომაელების მეშვეობით გალიაში შემოვიდა და მთელს ევროპაში გავრცელდა. დღეს საფრანგეთი ღვინის წარმოებითა და მოხმარებით ევროპაში პირველ ადგილზეა. თუკი საქართველოში ღვინის წარმოებას კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცევა,ეს სერიოზული შემოსავალიც იქნება და დასაქმების პრობლემასაც გადაწყვეტს.

## მოკლედ

### საქართველოს ხელისუფლების მოწოდება

საქართველოს ხელისუფლება მოუწოდებს აფხაზურ მხარეს, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსით ირაკლი ალასანიას მონაწილეობა არ დაუკავშიროს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე მის საქმიანობას. გელა ჩარკვიანის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია მიესალმება აფხაზური მხარის მიერ გამოთქმულ მზადყოფნას საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილსა და სერგეი ბაგაფშის შესაძლო შეხვედრასთან დაკავშირებით. "ქართული მხარე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით, პოლიტიკური დიალოგის საფუძველზე უნდა მოგვარდეს. პროცესი კი საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის ირაკლი ალასანიას მონაწილეობით უნდა წარიმართოს. ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსი ირაკლი ალასანიას სხვა თანამდებობრივ ფუნქციას არ უკავშირდება," - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერი გელა ჩარკვიანი. **ინტერ-პრესი**

# „ირმის ნახტომი" - „ვეფხვის ნახტომის" ანალოგი

## საქართველოს სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა

სოფო ბუკია

*"ირმის ნახტომი" – ასე ჰქვია განათლების სამინისტროს მიერ მომზადებულ ახალ პროექტს, რომლის მიზანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომპიუტერიზაციაა. პროექტის პრეზენტაცია გუშინ, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა. მას საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრო.*

*"კომპიუტერით აღჭურვილი ბავშვი სვანეთში, საგარეჯოში, თბილისში და ლოს-ანჯელესში ერთი და იგივეა. ქართველი ბავშვი უფრო ნიჭიერია, მაგრამ ის ინტერნეტის ერთიან ქსელში არ არის ჩართული," – განაცხადა პრეზიდენტმა.*



პრეზიდენტი და განათლების მინისტრი ქვეყნის მომავალს "ირმის ნახტომს" უკავშირებენ.

"ირმის ნახტომი" ოთხწლიანი პროგრამაა, რომელიც ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში სრულ რევოლუციას გვპირდება.

როგორც აღნიშნული პროექტის ინიციატორები ამბობენ, ოთხი წლის შემდეგ საქართველოს უკლებლივ ყველა სკოლა აღჭურვილი იქნება ინტერნეტის ერთიან ქსელში ჩართული კომპიუტერებით; მოსწავლეთა 100 პროცენტსა და პედაგოგთა 70 პროცენტს კომპიუტერთან მუშაობის ძირითადი უნარ-ჩვევები ეცოდინება; მასწავლებლები გაივლიან სპეციალურ ტრენინგებს, რაც მათ სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას მისცემს; შეიქმნება პროგრამული უზრუნველყოფის ქართულენოვანი სისტემა.

**"თამამი და ამბიციური,"** - ასე უწოდებენ აღნიშნულ პროექტს თავად განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს პრეზიდენტი კი მიიჩნევს, რომ **"თუ ეს პროექტი განხორციელდა, ჩვენ მართლაც გავაკეთებთ უმნიშვნელოვანეს ნახტომს და წინა წლებში განვითარებული უბედურებიდან ამ პროექტის დახმარებით გამოვალთ."**

განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაახლოებით ორას მოსწავლეზე ერთი ძველისძველი კომპიუტერი მოდის, რომელიც ინტერნეტთან ვერ იკონტაქტებს. ოთხი წლის შემდეგ კი მინისტრი კახა ლომაია გვპირდება, რომ ეს მაჩვენებელი ოთხჯერ გაუმჯობესდება და ერთი თანამედროვე, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, საშუალოდ, 50 მოსწავლეს მოემსახურება.

როგორც გუშინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა, **"მართალია, ფული თავზესაყრელი არ გვაქვს, მაგრამ ამ პროექტის ხელშეწყობა აუცილებელია."** "ირმის ნახტომის" 2005 წლის ბიუჯეტი 3 მილიონ ლარს შეადგენს, 2009 წლამდე კი პროექტის ბიუჯეტი 20 მილიონი ლარი იქნება. ქართველ მოსწავლეებსა და პედაგოგებს "ირმის ნახტომის" განხორციელებაში ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო" დაეხმარება.

აღნიშნული პროექტის იდეა ქართველმა განმანათლებლებმა ესტონელი კოლეგებისგან "ისესხეს". "ირმის ნახტომის" ესტონურ წინამორბედს "ვეფხვის ნახტომი" ჰქვია და აღნიშნული პროექტი ევროკავშირის ამ ქვეყანაში 1997 წლიდან წარმატებით ხორციელდება.

**"ჩვენ შევძელით სკოლის და ინტერნეტის გაერთიანება. ამ პროექტს პრეზიდენტი და საზოგადოება მხარს უჭერდა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა პროექტის წარმატება,"** – განაცხადა ესტონეთის ელექტრონული მართვის აკადემიის დირექტორმა ივარ ტალომ, რომელიც თბილისში სპეციალურად გუშინდელ პრეზენტაციაზე დასასწრებად ჩამოვიდა.

ივარ ტალო ესტონეთიდან თორმეტ ესტონელ მასწავლებელთან ერთად ჩამოვიდა, რომლებიც ქართველ კოლეგებს საკუთარ კომპიუტერულ გამოცდილებას გაუზიარებენ. **"ჩვენთან კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში იყო განათლების სისტემა, როდესაც ამ პროექტის განხორციელება დავიწყეთ,"** – დროულად დაგვამშვიდეს ესტონელმა სტუმრებმა.

განათლების მინისტრი კახა ლომაია იმთავითვე არ გამორიცხავს, რომ "ირმის ნახტომს" ბევრი სკეპტიკურად შეხვდება.

რა დროს ინტერნეტია, ჭერი გვენგრევა თავზე და ჩვენს სკოლებს აწვიმს-ათოვსო? – იკითხავენ სკეპტიკოსები და მინისტრისგან ასეთ პასუხს მიიღებენ: **"ეს პრეტენზია სამართლიანი იქნებოდა, რომ არა ის სამწლიანი პროგრამა, რომელიც სკოლების რეაბილიტაციას, გადახურვა-შეკეთებას გულისხმობს. ეს პროგრამა წელსვე, საქართველოს მთიანი რეგიონებიდან დაიწყება. სამი წლის შემდეგ მატერიალურ-ტექნიკური პრობლემა სკოლებში მოხსნილი იქნება,"** – აცხადებს მინისტრი.

თუ ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც პროექტის ინიციატორებს აქვთ ჩაფიქრებული, ოთხ წელიწადში "ქართველი მოსწავლე მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი გახდება" და აუცილებლად გაჩნდება ასეთი კითხვა: იცით, რატომ იყვნენ (უკაცრავად და) გონებაჩლუნგები "ირმის ნახტომამდელი" ბავშვები?

# ერთწლიანი მორატორიუმი მეწარმეებისთვის

*ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების მიზნით, თბილისის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებად საშიში ობიექტების შემოწმებაზე ერთწლიან მორატორიუმს აწესებს. ეს გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინათ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მიიღო.*

თამარ დვალი

თბილისის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციაში ჩატარებული რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაციის შედეგად, 200-ზე მეტი თანამშრომელი უმუშევარი დარჩა. მიუხედავად ამისა, ინსპექციაში შემოსული ინფორმაციით, ძველი თანამშრომლები დღემდე აწარმოებენ უკანონო შემოწმებებს. სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი კახა ნაჭყებია არც ახალი თანამშრომლების უკანონო ქმედებებს გამორიცხავს.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აფრთხილებს, რომ ინსპექციის თანამშრომელმა შემოწმების დროს, "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" კანონის შესაბამისად, უნდა წარადგინოს მოსამართლის ბრძანება ობიექტების შემოწმების თაობაზე, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და თბილისის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის – კახა ნაჭყებიას მიერ ხელმოწერილი მანდატი. ყველა სხვა შემთხვევაში შემოწმება უკანონოდ ჩაითვლება.

თუკი ჩათვლით, რომ თქვენს შესამოწმებლად ვინმე უკანონოდ შემოვიდა, შეგიძლიათ დარეკოთ სანიტარიული ინსპექციის ცხელ ხაზზე: 27 78 70

"24 საათი" იმ ობიექტების ნუსხას გთავაზობთ, რომლებზეც ერთწლიანი მორატორიუმი გამოცხადდა:

საავთიაქო დაწესებულებები;

ქიმწმენდა;

სამრეცხაო (ტანსაცმლის და ავტომანქანების);

ატელიე (ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ფოტო);

ავტოსადგურები და ავტოსადგომები;

კოსმეტიკურ-პარფიუმერული საშუალებების მაღაზიები;

ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების სარეალიზაციო მაღაზიები;

საიუველირო მაღაზიები;

სპორტული მოედნები და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები (საცურაო აუზების გარდა);

ტოტალიზატორები და სამორინეები;

ბაზრობები (ტანსაცმლის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთების, ავტომანქანების, სამრეწველო);

სანიტარიული ინსპექციის უფროსის, კახა ნაჭყებიას თქმით, მას შემდეგ, რაც სანიტარიული ინსპექციის თანამშრომლები სპეციალურ კონკურსს გაივლიან, მათ ხელფასები სამჯერ გაეზრდებათ. ჩვენს კითხვაზე, ერთი წლის შემდეგ შემოწმდებიან თუ არა ეს ობიექტები, ნაჭყებიამ გვიპასუხა: **"მას შემდეგ, რაც ჩვენს სამსახურში ძირეული ცვლილებები მოხდება, იმედია, გვეყოლება კადრები, რომლებიც კეთილსინდისიერად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ეს ერთი წელიწადი სიტუაციის დასალაგებლად გვჭირდება."**

შეგახსენებთ, რომ სანიტარიული ინსპექციის თანამშრომელს ობიექტების შემოწმება წელიწადში ერთხელ ევალება და თუკი კანონდარღვევას აღმოაჩენს, მხოლოდ მაშინ შეუძლია, შესამოწმებლად მეორედ მივიდეს.




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პრემიერის სტუმრობით მადაგახსნილი კახელები



საწვავის განაწილება.

*როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ადამიანი ჩაცმისას თუ სამხედრო ფერებს ანიჭებს უპირატესობას, ქვეცნობიერად ბრძოლისთვის არის მზად. პანკისში მამაკაცების უმრავლესობა კომუფლიაჟში გამოწყობილი დადის, თუმცა პანკისელების ჩაცმულობა მათ გაჭირვებულ ყოფას უფრო უსვამს ხაზს. გაჭირვება კი მთელ კახეთში საგრძნობია. ამაში თავად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გუშინ კიდევ ერთხელ დარწმუნდა.*

თამარ მაისურაძე

### ხულოდან ახმეტამდე...

არცთუ დიდი ხნის წინათ, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ხულოს რაიონიდან ახმეტაში, სოფელ ქორეთში ჩასახლებული 15-მდე ოჯახი პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მოინახულა. დობორჯგინიძეების მრავალშვილიანი ოჯახი, მართალია, სახელმწიფოს დახმარებით კმაყოფილია, მაგრამ არც დანაპირებების შეხსენებაავიწყდება. **"500 ლარი მოგვცეს, მაგრამ სახლი გასარემონტებელია, საგაზაფხულო სამუშაოები ჩასატარებელია, ტანსაცმელი არ გვაქვს და ფეხსაცმელი, ისე ჩქარა წამოვედით, რომ რაც გვქონდა, იმის წამოღებაც ვერ მოვასწარით. ეს თანხა როგორ ვიკმაროთ? "** – იკითხა ოჯახის უფროსმა. სახლები, სადაც ხულოელები შეასახლეს, ოსი ეროვნების მოსახლეობას ეკუთვნოდა. ახალგაზრდები წლების წინ გადავიდნენ საცხოვრებლად ვლადიკავკაზში, მათი მშობლების მიერ გაყიდული სახლები კი სახელმწიფომ 5-6 ათას ლარად შეიძინა და მეწყერსაშიშ ზონაში მცხოვრები რამდენიმე ოჯახი ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორეში ჩამოასახლა.

**"გზებსაც შევაკეთებთ, სკოლასაც გავარემონტებთ და საწვავსაც დაგირიგებთ,"** – დაჰპირდა ნოღაიდელი ბერიძეებს, შავიძეებსა და დობორჯგინიძეებს და თელავისკენ გაემართა.

### შუმი

შუმი ნატურალურ, გაუზავებელ ღვინოს ნიშნავს. მართალია, კახეთში უამრავი ღვინის ქარხანაა, მაგრამ პრემიერ-მინისტრის სტუმრობის პატივი წინანდლის ღვინის ქარხანა "შუმს" ერგო. მიუხედავად იმისა, რომ ქარხანა არსებობის ორ წელიწადს ითვლის, აქ დაახლოებით 27 სახეობის ღვინოს ასხამენ. "შუმის" ვენახები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში 300 ჰექტარზეა გაშენებული. აქ 40 ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული. იქაური ღვინოები, ძირითადად, რუსეთის, უკრაინისა და შვეიცარიის ბაზარზე გადის.

ღვინის დამზადების ტექნოლოგიაში გარკვევის შემდეგ, როგორც თავად აღნიშნა, ღვინის ნაკლებად მოტრფიალე პრემიერ-მინისტრმა "შუმის" რამდენიმე ღვინო დააგემოვნა. **"რეკლამას არ გავუწევ, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ საინტერესო პროდუქცია აქვთ,"** – აღნიშნა მან.

**"შარშან, ღვინის სექტორის თითქმის 25 პროცენტი ფალსიფიცირებული იყო. შედეგად კი, მოსახლეობას თეთრი ყურძნის ჩაბარების პრობლემა ჰქონდა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება, თუმცა სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროებს დავალებული აქვთ, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ღონისძიებები გაატარონ,"** – ასე შეაფასა პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის ეკონომიკისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრობლემატური სექტორი.

პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ მეღვინეობა ტურიზმის განვითარების კუთხითაც ძალზე მნიშვნელოვანია. ამიტომ, ქარხანასთან ახლოს სასტუმროს აშენებაა დაგეგმილი. კახეთში ჩასულ უცხოელს, საწარმოსთან ერთად, ქართული ღვინის კულტურის გაცნობის საშუალებაც მიეცემა. ქვეყნის პრემიერის თქმით, ეს ბატონ ზურაბ ჟვანიას ერთ-ერთი იდეა იყო, რომ კახეთი არა მარტო ღვინის, არამედ ღვინის კულტურის და ტურიზმის რეგიონი გამხდარიყო.

### სინათლე მაჩხაანელთა ფანჯრებში

**"შუქიც მოვიდა და წყალიც, თქვენ წახვალთ და ორივეს თან წაიღებთ..."** – ასეთი იყო მაჩხაანელი მასპინძლების განწყობა, რომელთაც პრემიერ-მინისტრმა, შუქთან და წყალთან ერთად, ბუნებრივი აირი და საწვავით სავსე ბენზინმზიდი ჩაუტანა. ზემო მაჩხაანელებმა ბუნებრივი აირი ბოლოს 12 წლის წინ ნახეს. მის გაქრობასთან ერთად სასმელი წყალიც გაწყდა და ანთებული ნათურის დანახვაც სანატრელი გაუხდათ. წყალს წლების განმავლობაში ყიდულობენ, 40 ლიტრში 20 თეთრს იხდიან, რადგან ძალიან იშვიათად მოდის და, როცა მოდის, თან ქვიშა და უამრავი სიბინძურე მოჰყვება.

საწვავის მიღება გაუხარდათ. მართალია, მიწის დამუშავებისთვის, მინიმუმ, 60 ლიტრია საჭირო, მაგრამ მაინც კმაყოფილები არიან. პრემიერ-მინისტრთან ლაპარაკი სხვა ყოფით პრობლემებზეც უნდოდათ, მაგრამ... **"ამ ეტაპზე რისი საშუალებაც გვაქვს, ის გავაკეთეთ. რომ იცოდეთ, მთელ საქართველოში დიზელის დარიგებაში 13-ნახევარი მილიონი ლარი დაიხარჯა. ახლა თავად უნდა გამოიჩინოთ ინიციატივა, უნდა მოხნათ მიწა, უნდა მოიყვანოთ მოსავალი, რადგან ეს ერთჯერადი აქციაა. ხომ იღებთ პენსიას? ამ ყველაფრისთვის კონტრაბანდის აღმოფხვრა იყო აუცილებელი. ეს იყო პრინციპი, რომლისთვის არ შეგვეძლო გვეღალატა,"** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**"ქვეყნის ეკონომიკა წინ მიდის, თქვენ ეგეთი წარმოდგენა ნუ გაქვთ,"** – დატუქსა მადაზე მოსული მაჩხაანელები პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთში პეტრე ცისკარიშვილმა.

### არბოშიკიდან ოზაანამდე

ზემო მაჩხაანიდან სოფელ ოზაანამდე, სადაც ზურაბ ნოღაიდელი ახალი ამბულატორიის გახსნას დაესწრო, გზად სოფელ არბოშიკშიც გაიარა და კეთილდღეობას იქაურებსაც დაჰპირდა. ოზაანის ამბულატორიის გახსნა კი ძალიან მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასა და განაცხადა, რომ ცხოვრება ნელ-ნელა წინ მიდის, რასაც მთავრობამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი.

**"მოსახლეობა კმაყოფილია და, ამავდროულად, ამბობს, კიდევ რითი დაგვეხმარებითო,"** – აღნიშნა კახეთში ვოიაჟით თავადაც კმაყოფილმა პრემიერ-მინისტრმა.

# "აქტიური მოქალაქე და ანგარიშვალდებული ხელისუფლება"

თამარ მჭედლიშვილი

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" (ISFED) უკვე რამდენიმე თვეა, ახორციელებს პროექტს "აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება," რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობას და მოქალაქეთა ჩართვას მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამ პროექტის ფარგლებში, ISFED-მა განახორციელა თბილისის მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვა, რომელიც დედაქალაქის მერის არჩევითობას ეხებოდა. კითხვა დასმული იყო შემდეგი სახით: "თქვენი აზრით, ვინ უნდა აირჩიოს თბილისის მერი - საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან თუ უშუალოდ თბილისელებმა?" ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 1000 გამოკითხულიდან 754-ს სურს, თავად აირჩიოს დედაქალაქის მერი. ISFED გამოთქვამს იმედს, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილების მიღების დროს საქართველოს პარლამენტი გაითვალისწინებს დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობის აზრს.

ამასთან ერთად, გასულ კვირას ISFED-მა დაიწყო საადვოკაციო სამუშაო შეხვედრების გამართვა მთელი ქვეყნის მასშტაბით. 15 აპრილამდე ორგანიზაცია ჩაატარებს 30 საადვოკაციო შეხვედრას. პროექტის ეს ნაწილი ემსახურება მოქალაქეთა უფრო აქტიურ ჩართვას არა მხოლოდ საარჩევნო, არამედ სხვა პოლიტიკურ პროცესებშიც. ISFED საადვოკაციო სამუშაო შეხვედრებზე მოქალაქეებს აცნობს მათივე უფლებებსა და მოვალეობებს, უვითარებს აქტუალური საკითხების წამოჭრის, მათი საჯარო განხილვაზე გატანისა და ადვოკაციისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.


## ყურადღება

სახელმწიფოს მიერ აკრედიტირებული - "თბილისის საბანკო-საფინანსო ინსტიტუტი", შაბათს, 26 მარტს, დღის 12 საათზე, უმაღლესი განათლების მიღებისა და ინსტიტუტში გადმოსვლის მსურველთათვის აწყობს ღია კარის დღეს.

**მისამართი: მეტრო მარჯანიშვილი, მიხაილოვის საავადმყოფოს მოპირდაპირე მხარეს, კიევის ქუჩა N4-ში. ტელ: 96-36-41; 95-92-57**







## სამედიცინო უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს

სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პრეზიდენტს ამავე უნივერსიტეტის პროფესორის დავით თელიას კანდიდატურა წარუდგინა. დავით თელიას ორი შვილი სამედიცინო კოლეჯის პირველ და მეორე კურსებზე სწავლობს. რექტორის მოვალეობის შემსრულებელს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თანამშრომლებს 25 მარტს წარუდგენს. *მედიანიუსი*

## დაპირისპირება პარლამენტში

დეპუტატი გიგა ბოკერია განათლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს ნოდარ გრიგალაშვილს "ზოგადი განათლების შესახებ" კანონპროექტის გამო დაუპირისპირდა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განათლების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი კომიტეტისგან კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას და დახვეწას მოითხოვდა. "მე ვაცნობიერებ საკუთარ პასუხისმგებლობას ზოგადი განათლების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით. როცა აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტში შემოვიდა, იგი 16-გვერდიანი იყო, ჩვენი ძალისხმევით ის 24-გვერდიანი გახდა. მაშინაც კი 16-გვერდიან კანონპროექტს ზოგიერთი ჩვენთაგანი საუკეთესოს უწოდებდა," - აღნიშნა გრიგალაშვილმა. აღნიშნულმა ფრაზამ ბოკერია გააღიზიანა. მან გრიგალაშვილი პოპულიზმში დაადანაშაულა და განუცხადა, რომ აღნიშნულ განცხადებებს გრიგალაშვილი მხოლოდ პრესის საყურადღებოდ აკეთებდა. "გაუგებარია, ვისი მისამართით საუბრობს გრიგალაშვილი - ჟურნალისტების თუ კოლეგების. ყოველდღე გეშინიათ, რას დაწერს აღნიშნულ კანონზე პრესა," - განუცხადა ბოკერიამ გრიგალაშვილს. *ინტერ-პრესი*

## ელექტროენერგია არათანაბრად ნაწილდება

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს თბილისის რაიონებს შორის ელექტროენერგიის თანაბრად განაწილებისკენ მოუწოდებს. "არ შეიძლება, ცენტრი მუდმივად მარაგდებოდეს ელექტროენერგიით, ხოლო გარეუბნებს დენი რამდენიმე საათითაც არ მიეწოდებოდეს. დეპუტატებს გაცნობიერებული გვაქვს, რომ ქვეყანაში ენერგოკრიზისია, თუმცა ამ პირობებშიც შეზღუდვა ყველა რაიონს თანაბრად უნდა შეეხოს," - აღნიშნა მან. *ინტერ-პრესი*

## ინტელექტბანკის პლასტიკური ბარათით უკვე შეგიძლიათ გაზის და წყლის გადასახადის გადახდა

დაარსების დღიდან ინტელექტბანკი მუდამ ზრდის მომხმარებლისადმი შეთავაზებული პროდუქტების ნუსხას და მატებს მათ ახალ დამატებით თვისებებს, რათა მომხმარებელმა ისარგებლოს მაქსიმალურად კომფორტული მომსახურებით.

ინტელექტბანკი გახლავთ პირველი ქართული ბანკი, რომელმაც პლასტიკური ბარათის მომხმარებელს შესთავაზა მობილური ტელეფონითა და ინტერნეტით მომსახურება. ინტელექტბანკის კლიენტს საშუალება აქვს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, კვირის ნებისმიერ დღეს, 24 საათის განმავლობაში ისარგებლოს კომფორტული მომსახურებით, კერძოდ: შეამოწმოს ბარათზე არსებული ნაშთი; მიიღოს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის და გახარჯვის შეტყობინება; დაბლოკოს ან მოხსნას ბლოკი ბარათს; შეიძინოს Magti GSM-ის "მონო" და Geocell-ის "ასტრა" და "ლაი ლაი" ბარათი; გადაიხადოს ელექტროენერგიის, საქართველოს ტელეკომის (8-10), Ayety TV-ის დავალიანება და მრავალი სხვა. ამასთან მოცემულ სერვისზე დარეგისტრირება და მომსახურება უფასოა.

ამჟამად ზემოაღნიშნულ სერვისს ინტელექტბანკმა დაუმატა ახალი ტიპის მომსახურება, კერძოდ პლასტიკური ბარათების მომხმარებელს საშუალება ეძლევა გადაიხადოს გაზის და წყლის გადასახადი მობილური ტელეფონისა და ინტერნეტის საშუალებით. თქვენ აღარ დაგჭირდებათ გადასახადის გადახდის პუნქტში მისვლა და რიგში დგომა, უბრალოდ დარეგისტრირდით მოცემულ სერვისზე ინტელექტბანკში, მიუთითეთ აბონენტის საიდენტიფიკაციო ნომერი და ისარგებლეთ კომფორტული მომსახურებით.

ინტელექტბანკი კვლავაც განაგრძობს ახალი პროდუქტების დანერგვას და არსებული პროდუქტების თვისებების გაფართოებას, რათა მომხმარებელმა ისარგებლოს სწრაფი, მრავალფეროვანი და კომფორტული მომსახურებით.




## სამხედრო ქალაქში თავშეფარებულები ისევ თავშესაფარს ითხოვენ

ნანა ქადაგიშვილი

*ვაზიანში, სამხედრო ქალაქში მდებარე კორპუსების მობინადრეები მოსალოდნელი გასახლების შესახებ თავდაცვის სამინისტრომ ჯერ კიდევ სამი თვის წინათ გააფრთხილა, მაგრამ ზამთრის სიცივემ შეუშალა ხელი და გასახლების პროცესი მარტის ბოლოსთვის გადაიდო. ორი დღის წინ, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა 7 კორპუსის მცხოვრებლებს გამაფრთხილებელი წერილები დაურიგეს. მოსახლეობამ საცხოვრებელი ადგილი ერთ თვეში უნდა დატოვოს.*

ვაზიანის სამხედრო ქალაქში მდებარე კორპუსები, რუსი სამხედრო მოსამსახურეების საქართველოდან წასვლის შემდეგ, ქართველ სამხედროთა ოჯახებთან ერთად, მოქალაქეებმაც დაიკავეს. დღეს, აღნიშნული კორპუსების მცხოვრებთა თითქმის ნახევარი არასამხედრო ოჯახია. სამხედრო ქალაქში რუსი ეროვნების მობინადრე ძალიან ცოტაღა შემორჩა. აქ უკვე თითქმის ყველა ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს.

მათ ეს კორპუსები უკანონოდ დაიკავეს და, რადგან სამხედრო ქალაქში მდებარე შენობები თავდაცვის სამინისტროს კუთვნილებაა (რუსი სამხედროების წასვლის შემდეგ სამხედრო ქალაქის ქონება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაეცა), ბუნებრივია, ვერც შემდეგ დაიკანონებდნენ. თუმცა, წლების მანძილზე ამ ხალხისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. მათი უმრავლესობა ამ ადგილზე, სულ ცოტა, 10 წელიწადი მაინც ცხოვრობს - რა თქმა უნდა, თუ ამას ცხოვრება ჰქვია. რამდენიმე წელია, აქაურ მოსახლეობას სასმელი წყალი თბილისიდან მიაქვს, რადგან კორპუსებში ისეთი წყალი მოდის, სარეცხის გარეცხვაც კი დაგენანება. სინათლე ერთი კვირაა, თვალით არ უნახავთ, ბუნებრივი აირი კი, საერთოდ, უცხო ხილია. ერთადერთი, რაც მათ გარე სამყაროსთან აკავშირებთ, ლარიანი სამარშრუტო ტაქსებია. "მარშრუტკები" ყოველ 15-20 წუთში მოძრაობს. ასეთი პირობებიდან გასახლება, წესით, დასანანი არ უნდა იყოს, თუმცა, ორი დღის წინათ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების მიერ დარიგებულმა გამაფრთხილებელმა განცხადებამ ბევრი მობინადრე პანიკაში ჩააგდო.

**"საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეორგანიზაციამ აქტუალური გახადა სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება, რის გამოც, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა გთხოვთ, ერთი თვის ვადაში გაათავისუფლოთ სამხედრო ქალაქში თქვენ მიერ უკანონოდ დაკავებული საცხოვრებელი ფართი. უკიდურეს შემთხვევაში, არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ზომას გამოვიყენებთ თქვენს გამოსასახლებლად,"** – წერია განცხადებაში.





*ასეთ პირობებში გადასახლებას და 500 ლარს სთავაზობენ მობინადრეებს.*

ეს გაფრთხილება სამხედრო ქალაქში მდებარე შვიდი კორპუსის მობინადრეებს ეხება. სამინისტრო ამ კორპუსებს, გარემონტების შემდეგ, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს გადასცემს. სამხედროთა იმ ოჯახებს, ვინც დღეს აღნიშნულ 7 კორპუსში ცხოვრობს, საცხოვრებელი ფართის დატოვება მხოლოდ ერთი თვით მოუწევთ. გარემონტების შემდეგ, ბინები უკანვე დაუბრუნდებათ. დარჩენილი მობინადრეები კი მეზობლად მდებარე კორპუსებში უნდა დაბინავდნენ. **"ვიღებთ რა მხედველობაში თქვენს მდგომარეობას, ანალოგიურ ფართს გამოგიყოფთ სამხედრო ქალაქის მიმდებარე ტერიტორიის საცხოვრებელ კორპუსში,"** – განმარტებულია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში. გარდა ამისა, სამინისტრო გასახლებულ მობინადრეებს 500-ლარიან კომპენსაციას სთავაზობს. თუმცა, ეს პირობები იმ ოჯახებს, ვისაც გასახლება მოუწევს, სულაც არ აკმაყოფილებს. **"კორპუსები, რომელსაც გვთავაზობენ, მთლად დანგრეულია. არც კანალიზაცია აქვს, არც კარ-ფანჯარა, არც იატაკი. ინვალიდი, მარტოხელა ქალი ვარ, ორი შვილი მყავს, დანგრეულ სახლში როგორ ვიცხოვრო, 500 ლარით რა გავაკეთო? ჩემს გვერდით ასევე მარტოხელა ოთხშვილიანი დედა ცხოვრობს, ერთი შვილი ინვალიდი ჰყავს, ან იმან რა უნდა ქნას?"** – შემოგვჩივლა ელმირა ბაბაიანმა. მისი მეუღლე სამხედრო მოსამსახურე იყო და სამხედრო ქალაქში ამიტომაც დასახლდნენ, მაგრამ შემდეგ მეუღლე საქართველოდან წავიდა და დღეს, ორ შვილთან ერთად დარჩენილ ელმირას სამხედრო ქალაქში აღარაფერი ეკუთვნის.

**"ამ ხალხმა უკანონოდ დაიკავა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი შენობები, მეზობლად მდებარე სხვა კორპუსსა და 500 ლარს ვთავაზობთ, წყლისა და კანალიზაციის გაყვანასაც ვპირდებით, მეტი რაღა ვქნათ?"** – აცხადებს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი ზაზა ქაჩიბაია.

სამინისტრომ მოსახლეობას კიდევ ერთი გამოსავალი შესთავაზა. სამხედრო მოსამსახურეები, გასარემონტებელი 7 კორპუსის გარდა, მეზობლად მდებარე სხვა კორპუსებშიც ცხოვრობენ. მათ გაუცვალეთ ბინებიო - ურჩიეს სამინისტროს წარმომადგენლებმა მობინადრეებს, მაგრამ მოსახლეობა ვერც ამან დააკმაყოფილა. **"სამხედროები ბინებს პირდაპირ არ გვიცვლიან, 500-600 დოლარს გვთხოვენ. იციან, რომ მათ სახელმწიფო ერთ თვეში ახალ ბინებს მისცემს და ძველს ყიდიან,"** – ჩივის მოსახლეობა.

თბილისის ბიუჯეტში თავდაცვის ობიექტების გასარემონტებლად 7 მილიონი ლარია გათვალისწინებული. აღნიშნული 7 კორპუსის გარემონტება რა დაჯდება, სამინისტროში ვერავინ გვითხრა. ჯერ გაანგარიშებული არ არისო, განგვიმარტეს. ის კი ფაქტია, რომ აღნიშნული 7 მილიონიდან სამხედრო მოსამსახურეთა კუთვნილ კორპუსებში შესახლებულ მოსახლეობას, კომპენსაციის სახით, ბევრი არაფერი ერგება.

გადაწყვეტილება 145/10

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს კომერციულ კონკურსს

**ფიქსური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად**

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის $36^2$-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე ლიცენზიის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის გამოცხადების საფუძვლების - თავისუფალი რესურსის არსებობის ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის $36^2$-ე მუხლის პირველი პუნქტის, კომისიის 2002 წლის 20 დეკემბრის "კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" №2 დადგენილების შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს კომერციული კონკურსი (შემდგომში "კონკურსი") ფიქსური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად;

ლიცენზიის სახე: სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობა;

ლიცენზიის სახეობა: ფიქსური სატელეფონო კავშირით მომსახურება;

ლიცენზიის საგანი: ფიქსური სატელეფონო კავშირით მომსახურება 1935 მგჰც - 1950 მგჰც; 2125 მგჰც - 2140 მგჰც; 1915 მგჰც - 1920 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

2. კონკურსი ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2005 წლის 5 აგვისტო, 13:00 საათი;

3. სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 8 491 392 (რვა მილიონ ოთხას ოთხმოცდათერთმეტი ათას სამას ოთხმოცდათორმეტი) ლარით;

4. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2005 წლის 25 მაისის 17:00 საათამდე;

5. ფიქსური სატელეფონო ქსელით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ინდივიდუალური მეწარმისათვის - სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები;

ბ) იურიდიული პირისთვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;

გ) ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ფიქსური სატელეფონო კავშირით მომსახურების გავრცელების გეოგრაფიული ზონის დაფარვის გრაფიკი და პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადა.

6. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე:

-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი "თი-ბი-სი";

-ა/ანგარიში: 609326;

-კოდი: 220101830;

-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;

ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად.

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის - აგრეთვე, პირადობის მოწმობის ასლი. თუ ლიცენზიის მაძიებლის დამფუძნებელი იურიდიული პირია, წარმოდგენილ უნდა იყოს ამ იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო თუ დამფუძნებელი ფიზიკური პირია - მისი პირადობის მოწმობის ასლი;

დ) განსახორციელებელი საქმიანობის სამშენებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელშიც ასახული უნდა იყოს:

დ.ა.) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური აღწერილობა;

დ.ბ.) განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა;

დ.გ.) გამოსაყენებელი ტექნოლოგიების ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები და ტექნოლოგიური სისტემების სტრუქტურა: ტექნიკური უზრუნველყოფა, პროგრამული უზრუნველყოფა, საინფორმაციო უზრუნველყოფა, საერთო სარგებლობის რესურსებსა და ქსელებთან ურთიერთქმედების სტრუქტურა;

დ.დ.) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური რეალიზაციის ნახაზები და დიაგრამები (max.A3 ფორმატი);

დ.ე.) ინფორმაცია ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობისა და სერტიფიცირების საკითხებთან დაკავშირებით.

ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილმა სამშენებლო-ტექნიკურმა დოკუმენტაციამ სამშენებლო, სანიტარიულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზის და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

7. კონკურსში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში 2000 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება.

8. თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-5 და მე-6 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, კომისია განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია. დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. კომისია უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 სამუშაო დღით, გააგრძელოს დოკუმენტის წარდგენის ვადა. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

9. კონკურსი ითვლება არშემდგარად და ფორმდება სათანადო ოქმი, თუ:

ა) განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, დადგენილ ვადაში კომისიაში არ იქნა წარდგენილი არცერთი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

ბ) კომისიაში წარდგენილი განცხადებებიდან არცერთი შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს.

10. კონკურსის პირობებია:

ა) კომისიისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა;

ბ) ფიქსური სატელეფონო კავშირით მომსახურების გავრცელების გეოგრაფიული ზონის დაფარვის ვალდებულება (არაუმეტეს სამი წლის ვადაში ლიცენზიის გაცემიდან).

გ) გამოყენებული ტექნიკური საშუალებების (საკომუნტაცის სადგური) IIF პორტებითა და შესაბამისი პროგრამული მართვით უზრუნველყოფა;

11. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია პრაქტიკული საქმიანობა დაიწყოს ლიცენზიის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში.

12. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური სალიცენზიო გადასახდელის გადახდა.

13. კონკურსი ტარდება შემდეგი პროცედურით:

ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სალიცენზიო გადასახდელის საწყის ოდენობას და მინიმალურ საკონკურსო ბიჯს. საკონკურსო ბიჯი წარმოადგენს კონკურსის მიმდინარეობისას კონკურსის მონაწილის მიერ ყოველ მომდევნო დაფიქსირებულ თანხასა და წინა დაფიქსირებულ თანხას შორის მინიმალურ სხვაობას, რომლის ოდენობა შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს, დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე. საკონკურსო ბიჯი უცვლელია. იგი ჯერადად უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას.

ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის და საკონკურსო ბიჯის ჯამზე ნაკლები.

გ) კონკურსის მონაწილის მიერ ყოველი მომდევნო თანხის დაფიქსირება ხდება უკანასკნელ დაფიქსირებულ თანხაზე საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა.

დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას დააფიქსირებს.

ე) თუ კონკურსში მხოლოდ ერთი ლიცენზიის მაძიებელი მონაწილეობს, იგი ჩაითვლება გამარჯვებულად, სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის გადახდაზე თანხმობის დადასტურების შემთხვევაში.

ვ) კონკურსში მონაწილეთა მიერ ყოველი დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. სხდომის ოქმი იკინძება და მოწმდება კომისიის ბეჭდით.

ზ) კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება.

თ) კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს.

14. საკონკურსო სხდომაზე ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა;

15. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 20%-ის კომისიის ანგარიშზე, ხოლო 10%-ის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ანგარიშზე თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის განმავლობაში თანაბარწილად ყოველი მომდევნო თვის პირველი კვირის განმავლობაში, ფიქსური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად კომერციულ კონკურსში გამარჯვებული კომპანიისთვის ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ანგარიშზე.

16. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის განხორციელების პროცესში დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები და ლიცენზიით განსაზღვრული პირობები;

17. საკონკურსო სხდომა საჯაროა.

18. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) 6 თვის ვადაში;

# ყირგიზეთის არახავერდოვანი რევოლუცია

*ერთ დროს ასკარ აკაევს ყირგიზეთში ლიბერალური გარემოს შექმნისთვის აქებდნენ. მართლაც, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ყირგიზეთი ყველაზე ნაკლებად ავტოკრატიული იყო. აკაევი ხშირად იწონებდა თავს "დემოკრატიისადმი" ერთგულებით. თუმცა, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, აქაც დემოკრატია მხოლოდ ფასადის როლს ასრულებდა, მის მიღმა კი კლანური მმართველობა, კორუფცია და უკიდურესი გაჭირვება იყო გაბატონებული. პრეზიდენტმა აკაევმა გუშინ ქვეყნის ტერიტორია დატოვა. ყირგიზეთიდან გაქცევამდე მან გადგომის შესახებ განცხადებას მოაწერა ხელი. ამის თაობაზე ბიშკეკში, მთავრობის სასახლის წინ გამართულ მიტინგზე ციხიდან ახლად გათავისუფლებულმა ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ფელიქს კულოვმა განაცხადა.*

ნიკა თარაშვილი

რევოლუციამ ყირგიზეთში მოულოდნელად მიაღწია პიკს. მოვლენების ასეთ ელვისებურ განვითარებას ვერც ხელისუფლება წარმოიდგენდა და, სხვათა შორის, არც ოპოზიციას ჰქონდა ამის იმედი. როგორც საპროტესტო მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა კურმანბეკ ბაკიევმა განაცხადა, ჯერ კიდევ დილით მას მოვლენების ამგვარად განვითარების არანაირი იმედი არ ჰქონდა. "დღეს დილით, როცა ჩვენ საპროტესტო აქციის ორგანიზებას ვიწყებდით, მე წარმოდგენაც არ შემეძლო, თუ რითი დასრულდებოდა ეს ყველაფერი", - განაცხადა მან უკვე ოპოზიიციის მიერ დაკავებული მთავრობის სასახლის კიბეებზე.

გუშინდელი დილა ყირგიზეთში ტრადიციად ქცეული საპროტესტო აქციებით დაიწყო. თუმცა, მოკლე ხანში დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა - ოპოზიციის მომხრეთა რიცხვი სულ უფრო მატულობდა, სანამ, დაახლოებით, 7 ათას ადამიანს არ მიაღწია.

ვითარება მას შემდეგ გამწვავდა, რაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ხალხმა, სავარაუდოდ, აკაევის მომხრეებმა, ხელკეტებისა და ფარების დახმარებით მომიტინგეებზე მიიტანეს იერიში. ოპოზიცია აცხადებს, რომ შეტაკების ინიციატორები სწორედ ისინი იყვნენ; შემდეგ კი ხელჩართული ბრძოლა დაიწყო. ცენტრალური მოედნიდან ათობით დაშავებული გაიყვანეს. სააგენტო "რიანოვოსტის" თქმით, შეტაკებებისას, დაახლოებით, 30 ადამიანმა მიიღო სხეულის დაზიანება. მოედანზე სროლის ხმაც გაისმა, თუმცა - მხოლოდ ჰაერში.

ამის შემდეგ ნათელი იყო - გამძვინვარებული დემონსტრანტების შეჩერებას უკვე ვერავინ შეძლებდა და, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებოდნენ, მთავრობის სასახლის გარშემო გამაგრებულ შინაგან ჯარებს დიდად არც გამოუდიათ თავი.

შუადღისთვის ოპოზიციის მხარდამჭერებმა პრეზიდენტის რეზიდენცია და ტელეცენტრი დაიკავეს. აკაევმა და მისმა უახლოესმა გარემოცვამ გაქცევით უშველეს თავს; თავდაპირველად ქალაქგარეთ, რეზიდენციისკენ, შემდეგ კი კანტის სამხედრო ავიაბაზიდან მისმა თვითმფრინავმა, ერთი ვერსიით - ყაზახეთისკენ, მეორე ვერსიით კი რუსეთისკენ აიღო გეზი. ყირგიზეთის ტერიტორია დატოვეს მისი ოჯახის წევრებმაც. დაუზუსტებელი ცნობებით, ისინი მეზობელი ყაზახეთის ტერიტორიაზე, ალმა-ათაში იმყოფებიან.

საღამოს ოპოზიცია აცხადებდა, რომ სიტუაციას აკონტროლებს და მოკლე ხანში ლეგიტიმური გზით გადაიბარებს ხელისუფლებას. მანამდე კი ქვეყანაში "რეალურ" ძალაუფლებას სახალხო ერთიანობის საკოორდინაცო საბჭო აიღებს ხელში.

როგორც ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, სამართლიანობის და პროგრესის პარტიის ლიდერმა, რესპუბლიკის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, მურაკბეკ იმანალიევმა სააგენტო "რია ნოვოსტის" აცნობა, საკოორდინაციო საბჭო პირველ სხდომაზე ქვეყანაში წესრიგის დამყარების საკითხს განიხილავს. მისივე თქმით, "ოპოზიციის ლიდერებმა ძალაუფლება ხელში უნდა აიღონ და წესრიგი დაამყარონ". "ის, რაც ახლა ყირგიზეთში ხდება, იმის შედეგია, რომ ასკარ აკაევი ოპოზიციასთან დიალოგზე არ წამოვიდა", - აღნიშნა იმანალიევმა.

ასე რომ, საკმაოდ არაპროგნოზირებადი სიტუაცია შეიქმნა. საქმე ისაა, რომ რეალური ძალა, რომელიც შეძლებს ქვეყანაში წესრიგის დამყარებას, ჯერჯერობით არ ჩანს. ისიც უნდა ითქვას, რომ დღემდე ყირგიზეთის ოპოზიცია საკმაოდ დაქსაქსული იყო და საერთო ლიდერი არ ჰყავდა. სხვათა შორის, გუშინდელ მოვლენებამდე ოპოზიციური ძალები არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ მათ "ათობით იუშჩენკო", "ასობით სააკაშვილი" უდგათ სათავეში. აშკარაა, ერთი გამოკვეთილი ლიდერის არარსებობა შემდეგში სერიოზულ პრობლემას გააჩენს "გამარჯვებული" ოპოზიციის შიგნით. დღეს არსებული სიტუაციით, ლიდერობის შანსები ერთოდროულად რამდენიმე პოლიტიკოსს აქვს: ყირგიზეთის სახალხო პარტიის ლიდერი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, კურამბეკ ბაკიევი; ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, გუშინ ციხიდან გათავისუფლებული, პარტია "არ-ნამისის" (ღირსება) ლიდერი ფელიქს კულოვი; სამართლიანობის და პროგრესის პარტიის ლიდერი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მურაკბეკ იმანალიევი; ასევე, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, მოძრაობა "ატა-ჟურტის" ლიდერი, როზა ოტუნბაევა – სავარაუდოდ, მათგან ერთ-ერთი შეიძლება ვიხილოთ უმაღლესი ხელისუფლების სათავეში. აღსანიშნავია, რომ ყველა, ე.წ. ნომენკლატურული კადრია.

გარდა ამისა, მოპოვებული გამარჯვების ლეგიტიმაციაც არ იქნება იოლი. პირველ რიგში, ბიშკეკში ყირგიზეთის წინა მოწვევის პარლამენტის საგანგებო სესიას მოიწვევენ. ამის შესახებ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ვიცე-სპიკერმა კუტატბეკ ბაიბოლოვმა განაცხადა. მისი თქმით, ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობა მთლიანად დემორალიზებულია. ერთადერთ ხელისუფლებად რჩება წინა მოწვევის პარლამენტი, რომელმაც მოვლენები ნორმალურ კალაპოტში უნდა დააბრუნოს. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ერთპალატიანი პარლამენტის დეპუტატები სულ ახლახან დაამტკიცეს. მათ ფიცი დადეს და პირველი სხდომა ჩაატარეს. ოპოზიცია ახლად არჩეული პარლამენტის ლეგიტიმურობას არ ცნობს და, როგორც გუშინ გახდა ცნობილი, მისი სასამართლოს საშუალებით გაუქმებას შეეცდება.

შემდეგ კი ახალი საპარლამენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს. თუმცა, მანამდე "რევოლუციით" აღტყინებული სახალხო მოძრაობის დაშოშმინება უნდა მოხდეს. ბოლო დღეებში ქვეყანაში სამართალდამცავი ორგანოები, ფაქტობრივად, აღარ ფუნქციონირებს.

ასე რომ, ყირგიზეთის სახით, ცენტრალურ აზიაში "დემოკრატიის კუნძულის" წარმოქმნაზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, ნაადრევია.

## ექსპერტებისა და უცხოური მედიის შეფასებები

პოსტსაბჭოთა სივრცისთვის დამახასიათებელი ხელისუფლებების ხავერდოვანი ცვლისთვის უჩვეულოდ და რადიკალურად განსხვავებულად განვითარდა მოვლენები ყირგიზეთში. ქვეყნის სამხრეთში დაწყებულმა დაუმორჩილებლობის ტალღამ, რამდენიმე დღიანი მღელვარების შემდეგ, ბიშკეკამდეც ჩააღწია, სადაც მთავრობის სახლთან შეტაკებას პრეზიდენტის გადადგომა მოჰყვა.

რასაკვირველია, ყირგიზეთში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით ადევნებდნენ თვალს, როგორც ევროპისა და აშშ-ს, ასევე, რუსეთის საინფორმაციო საშუალებები და ექსპერტები. ესპანური "ელ მუნდო" ყირგიზეთში შექმნილ მდგომარეობას აზიატიზმსა და პანაზიატიზმზე პრეტენზიის ქონას მიაწერს, რომლის შთაგონების წყაროდაც ყირგიზებისთვის თურქეთის უმცირესობის ქემალიზმი იქცა.

გერმანული გაზეთის "ბერლინერ ცაიტუნგ"-ის თანახმად კი, ასკარ აკაევი, რომელიც ცენტრალურ აზიაში ყველაზე ლიბერალ ლიდერად მიიჩნეოდა, თამაშგარე მდგომარეობაში სწორედ მაშინ აღმოჩნდა, როდესაც ავტოკრატად იქცა. სხვა გერმანული გაზეთი კი ყირგიზული კრიზისის მიზეზს, ასევე, ასკარ აკაევის ნამდვილ "ნათლიმამად" ჩამოყალიბებაში ხედავს და არა - ერთპალატიანი პარლამენტის მორიგ გაყალბებულ არჩევნებში. **"ერთპალატიანი პარლამენტის არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობას ნაკლები საერთო აქვს კრიზისთან. თვითონ აკაევმა განვლო განვითარების უკუღმართი გზა: სსრკ-ს სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს ყველაზე ავტორიტეტული დემოკრატი ლიდერიდან ბიშკეკსა და ჩუში საკუთარი კლანის "ნათლიმამამდე"**,- წერს "ფრანკფურტერ რუნდშაუ".

**"როგორც უკრაინული "ნარინჯისფერი რევოლუციის" შედეგად გამოწვეულმა გიგანტურმა პოლიტიკურმა ცუნამიმ, რომელიც გზად შემხვედრ დიქტატურებს ანადგურებს, ისე დაფარა რევოლუციურმა ტენდენციამ ცენტრალური აზია. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, ამგვარი ძვრების შედეგად გაჩნდება თუ არა სტაბილური და წარმატებული დემოკრატიები"**, - წერს ამერიკული "იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლ"-ი.

ცხადია, პოსტსაბჭოთა სივრცეში გავრცელებულ "რევოლუციურ ვირუსს" უარყოფითად აფასებენ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში. თუმცა, როგორც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი და დსთ-ს საკითხებში კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილე სერგეი ანტუფიევი აცხადებს, რუსეთი მზადაა, ითანამშრომლოს ყირგიზეთის ახალ ხელისუფლებასთან, მიუხედავად იმისა, თუ ვინ მოვა სათავეში.

მანამდე კი, სანამ აკაევი გადადგებოდა, ოფიციალური მოსკოვი ყირგიზეთისთვის საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში აუცილებელი დახმარების გაწევაზე საუბრობდა. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თქმით, "რუსეთს არ შეუძლია უბრალო დამკვირვებლის როლში ყოფნა. მან უნდა იმოქმედოს კოლექტიური უსაფრთხოების ინტერესების შესაბამისად - დასაწყისისთვის დიპლომატიური საშუალებებით, რომელშიც ყირგიზეთის მეზობელი ქვეყნები მიიღებენ მონაწილეობას, ხოლო შემდგომში უკვე სამხედრო გზით". დეპუტატის განცხადებით, რუსეთის ქმედებაში არაფერი არალეგიტიმური არ იქნება, რადგან ყირგიზეთი, იქ არსებული რუსული სამხედრო ბაზების გამო, მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია, მით უმეტეს, რომ ამ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები აშშ-საც აქვს.

ოპოზიციის პოლიტიკურ კონტროლს მიღმა დარჩენილად აფასებდნენ რუსი ექსპერტები ყირგიზეთში შექმნილ მდგომარეობას. **"ყირგიზეთში ამზადებდნენ "ნარინჯისფერ რევოლუციას", მაგრამ, ხავერდოვანის ნაცვლად, მან საგანგაშო აზიური ელფერი მიიღო"**, - აცხადებდა პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელი სერგეი მარკოვი. გარდა ამისა, ყირგიზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ, რატომღაც, განზე დგომა არჩია მაშინ, როცა ამერიკულ არხ სი-ენ-ენ-ზე უწყვეტი პირდაპირი ტრანსლაცია მიმდინარეობდა. როგორც ჩანს, პოსტსაბჭოთა სივრცეში ყოველი ახალი რევოლუციის განვითარებისას რუსეთის პოლიტიკური ელიტის განდგომა უკვე ტენდენციად იქცა.

ყირგიზეთის ოპოზიციას, ასევე, აკრიტიკებდა პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის ექსპერტი სერგეი მიხეევი. მისი თქმით, ყირგიზი ლიბერალი პოლიტიკოსები უპასუხისმგებლოდ მოიქცნენ, როდესაც ქართული და უკრაინული მოდელის გადაღება სცადეს. **"მათ ხავერდოვანი რევოლუცია სურდათ და გამოუვიდათ ბუნტი"**, - აღნიშნა მიხეევმა.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**ესტონეთი**. პრემიერ-მინისტრი იუჰან პარტსი თანამდებობიდან გადადგა. გადადგომის მიზეზი ის იყო, რომ პარლამენტართა უმრავლესობამ იუსტიციის მინისტრ კენ-მარტი ვახერის მიმართ უნდობლობა გამოხატა. ესტონეთის იუსტიციის მინისტრი ქვეყანაში "დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის საკონტროლო რიცხვების" პრაქტიკის დანერგვის მომხრე გახლდათ, რამაც ყველას სსრკ-ში მრავალი ათწლეულის წინ არსებული პრაქტიკა (ჩინოვნიკთა შორის არსებულ კორუფციის შესახებ მიმდინარე სასამართლო პროცესებზე კვოტების შემოღება) გაახსენა. სწორედ ამიტომ, პარლამენტარებმა იუსტიციის მინისტრს უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადეს. გუშინდელმა მოვლენამ აშკარა გახადა, რომ სამთავრობო კოალიციაში უწინდელი ერთსულოვნება აღარ არის. პრემიერ-მინისტრის გადადგომას პარლამენტის სხდომაზე მყოფი 86 დეპუტატიდან 54 დეპუტატმა დაუჭირა მხარი. ამჟამინდელი მთავრობა, რომელიც ხელისუფლებაში 2003 წლის აპრილიდან იმყოფება, მოვალეობის შესრულებას ახალი კაბინეტის ჩამოყალიბებამდე გააგრძელებს. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

**დიდი ბრიტანეთი.** 5 მაისს დიდ ბრიტანეთში საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული. სააღდგომო დღესასწაულების დასრულების შემდეგ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ბუკინჰემის სასახლეში დედოფალ ელისაბედ მეორეს ეწვევა, რათა მისგან ინგლისის ახლანდელი პარლამენტის დათხოვნის ნებართვა მიიღოს. ამ პროცედურის ჩატარებიდან ერთი კვირის შემდეგ წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყება. ნაციონალური აღმასრულებელი კომიტეტის აზრით, გაზაფხულზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტულ პარტიას გამარჯვების დიდი შანსი აქვს. **ნიუს.რუ**

■ ■ ■

**მაკედონია.** ბალკანური ქვეყნის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ლიუბე ბოსკოვსკი ჰააგაში გაემგზავრა. გასული წლის აგვისტოდან ბოსკოვსკი, რომელსაც მაკედონიისა და ხორვატიის მოქალაქეობა აქვს, ხორვატიის ციხეში იჯდა საქმეზე, რომელიც ჰააგის ტრიბუნალის ბრალდებებს არ უკავშირდებოდა. ჰააგა ბოსკოვსკის მაკედონელი ალბანელების წინაშე ჩადენილ სამხედრო დანაშაულში ადანაშაულებს. საუბარია მოვლენებზე, რომლებიც 2001 წელს სკოპიესთან ახლოს მდებარე სოფელ ლიუბოტენში დატრიალდა, მაკედონიაში ალბანური ამბოხების დროს. აღნიშნულ საქმეზე დაკავებულია ბოსკოვსკის ყოფილი პირადი მცველი იოჰან ტარკულოვსკი, რომელიც გაეროს ტრიბუნალის წინაშე ჰააგაში ორშაბათს წარდგა. დანაშაულის აღიარებისთვის ტარკულოვსკის 30-დღიანი ვადა მისცეს.

მაკედონიის პროკურატურაც ბოსკოვსკის ადანაშაულებს იმაში, რომ 2002 წელს მან ქვეყანაში აზიიდან შვიდი მუშა-მიგრანტი შეიყვანა, მათი მკვლელობა მოაწყო, რათა შემდგომში ისინი ალბანელების მხარეზე მებრძოლი "ალ-კაედას" ბოევიკებად წარმოეჩინა. ლიუბე ბოსკოვსკი ბოლო ეჭვმიტანილია, რომელსაც ჰააგის ტრიბუნალი ოფიციალურად ადანაშაულებს: 2008 წლამდე ტრიბუნალმა ყოფილი იუგოსლავიის საქმესთან დაკავშირებული ყველა პროცესი უნდა დაასრულოს, ხოლო 2010 წელს – ყველა აპელაციის განხილვა. **ბი ბი სი**

■ ■ ■

**ევროპა.** ბრიუსელში 22-23 მარტს გამართული ევროკავშირის საბჭოს სამიტის შედეგებით კმაყოფილია ევროკომისიის ხელმძღვანელი ჟოზე მანუელ ბაროზუ. "ევროპა გარკვეულ ნაბიჯებს უკვე დგამს თვით ყველაზე ფაქიზი პრობლემების მოგვარების საკითხებშიც", – აღნიშნა ბაროზუმ. მისი თქმით, სამიტზე სახელმწიფოთა წარმომადგენლები შეთანხმდნენ სტაბილურობის ევროპული პაქტის რეფორმაზე, ევროკავშირის საბჭოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე და, ასევე, საბაზრო მომსახურების ლიბერალიზაციის შესახებ ევროკომისიის დირექტივაში შესწორების შეტანაზე.

ზემოაღნიშნულ სამიტს ყველაზე ხანმოკლე უწოდა ევროკავშირში ლუქსემბურგის წარმომადგენელმა, პრემიერ-მინისტრმა ჟან-კლოდ იუნკერმა. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**აფრიკა.** დასრულდა ალჟირში გამართული არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სამიტი, რომელიც დასრულებამდე ერთი დღით ადრე რამდენიმე სახელმწიფოს წარმომადგენელმა დატოვა კიდეც. სამიტის შედეგების კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მონაწილენი შეთანხმდნენ არაბული სახელმწიფოთაშორისი პარლამენტისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხების დარეგულირებასთან დაკავშირებით საერთოარაბული ინიციატივების რეალიზაციის კომისიის შექმნის თაობაზე. გარდა ამისა, სამიტზე დამტკიცდა "საერთოარაბული ოჯახის სტრატეგიული დოკუმენტი" და არაბულსახელმწიფოთაშორისი თანამგზავრის გაშვება.

როგორც ლიგის გენერალური მდივანი ამრ მუსა აცხადებს, აღნიშნული სამიტი ინტეგრაციისაკენ არაბულ სახელმწიფოთა მისწრაფებასა და სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში ერთობლივი პროექტების განხორციელების სურვილს ადასტურებს. მისივე თქმით, **"შეხვედრის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველა არაბულ სახელმწიფოში მიმდინარე რეფორმების კურსის გაგრძელებას წარმოადგენს. არაბული სამყარო მომავალშიც აპირებს დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარებას, პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის გაზრდას". რიანოვოსტი**



# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1 შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურს სხვადასხვა სახის ზეთების (ან მისი ანალოგის) შესყიდვაზე.

1.1 მისაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა: მათ შორის:

- ■ ინდუსტრიული ზეთი И-20 - 4000კგ;
- ■ ტრანსფორმატორის ზეთი ТКП - 6500კგ;
- ■ ზეთი დიზელის ძრავისათვის API CC : CD SAE 10W30 - 3000kg;
- ■ ზეთი დიზელის ძრავისათვის API CC : CD SAE 15W40 - 5000კგ;
- ■ ავტომობილის ზეთი ნე-40 - 1000კგ;
- ■ დიზელის ზეთი M-14 - 20000კგ;
- ■ დიზელის ზეთი M-16 - 30000კგ;
- ■ ჰიდრავლიკური ზეთი TELUS-68 - 400კგ;
- ■ ჰიდრავლიკური ზეთი BARTRAN HV-46 - 6000კგ;
- ■ ჰიდრავლიკური ზეთი BARTRAN HV-68 - 2000კგ;
- ■ ჰიდრავლიკური ზეთი BARTRAN HV-32 - 500კგ;
- ■ ძრავის ზეთი BP VANELUS C5 - 12000კგ;
- ■ ENERGOL - QE-HT 30 - 200კგ;
- ■ ENERGOL - GR-XP 100 - 100კგ;
- ■ ENERGOL - GR-XP 220 - 300კგ;
- ■ ENERGEAL - 85W140 - 200კგ;
- ■ ENERSYN - MPS32 - 100კგ

1.2 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: ეტაპობრივად 2005 წლის 22 აპრილიდან 2006 წლის 22 აპრილამდე.

2. მოსაწოდებელი საქონლის სავალდებულო ადგილი - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 4 აპრილისის $17^{00}$ საათამდე.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

4.1 იურდიული პირებისათვის;

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

გ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.3 იურდიული და ფიზიკური პირებისათვის

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი.

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური საქონლის მიწოდება და ღირებულება.

დ. უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების ფორმები (ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება, აუდიტორული დასკვნები).

ე. ზეთის მოსაწოდებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები.

ვ. კონკურსში მონაწილე ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის გაცემა იწარმოებს 2005 წლის 6 აპრილის 1000 საათიდან 2005 წლის 11 აპრილის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება საკონტაკტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ენაზე (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი), წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2005 წლის 11 აპრილის 1800 საათი, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს კანცელარია ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52,

9. კონკურსში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

10. კონკურსში დასაშვებია ერთი ალტერნატიური წინადადების წარმოდგენა.

11. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

12. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

13. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

ა. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

14. პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის სერთიფიკატი შესაბამისობის სერთიფიკატი, წარმოშობის სერთიფიკატი და შესაბამისი ლიცენზია.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48.

**შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ხოხობაია**

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურს პორტალური ამწე "GANZ" ტიპი "N" ტვირთამწეობა 5/6 ტონა ინვ/N30-ის ისრის ლითონკონსტრუქციის რემონტის მომსახურეობის შესყიდვაზე.

1.1 მომსახურეობის გაწევის სავალდებულო ვადა: 2005 წლის 20 აპრილიდან 2005 წლის 20 მაისამდე. (გაწეული მომსახურეობის შემდეგ - გარანტია ერთი წელი)

2. მომსახურეობის გაწევის ადგილი: შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია. 2005 წლის 04 აპრილის $17^{00}$ საათამდე.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

4.1 იურდიული პირებისათვის;

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.3 იურდიული და ფიზიკური პირებისათვის

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი.

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურეობის რაოდენობა და ღირებულება.

დ. კონკურსში მონაწილე უნდა იყოს რეგისტრირებული "საქტექზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ამწე მექანიზმების, ორთქლის ქვაბების და თბოელექტრო სადგურებზე ზედამხედველობის სამმართველოში" და უნდა ჰქონდეს ლიცენზია ამწის მზიდი ლითონკონსტრუქციის დამზადება და რემონტზე (დაურთეთ ასლი).

ე. კონკურსში მონაწილეს უნდა ჰქონდეს რემონტისათვის საჭირო ამწის ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა მასალა.

ვ. კონკურსში მონაწილეს უნდა ჰქონდეს სათანადო ორგანიზაციის მიერ დიპლომირებული მუშა ხელი და ინჟინერ ტექნიკური პერსონალი.

ზ. კონკურსში მონაწილეს უნდა შეეძლოს და ჰყავდეს უფლება ისრის გარემონტებული ნაწილების შემოწმებაზე, სათანადო ხელსაწყოებით და აქტის გაფორმებით.

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის გაცემა იწარმოებს 2005 წლის 06 აპრილის 1000 საათიდან 2005 წლის 11 აპრილის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48),

საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადაა: 2005 წლის 11 აპრილის 1800 საათი, საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე: შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს კანცელარია ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52,

8. საკონკურსო წინადადება წარმოდგელი უნდა იყოს შემდეგ ენაზე (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი)

9. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

10. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

11. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;

**შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ხოხობაია**

# სემეკის თავმჯდომარე "თელასს" შანტაჟში ადანაშაულებს

*ელექტროენერგიის ტარიფის საკითხი საქართველოში კვლავ აქტუალურია. მას შემდეგ, რაც მარეგულირებელმა კომისიამ ტარიფში თელასის წილის შესაძლო შემცირებასთან დაკავშირებით გააკეთა დასკვნა, "თელასის" ხელმძღვანელობამ ტარიფის მოსალოდნელ ზრდაზე დაიწყო საუბარი და შესაბამისი წერილები მთავრობაში აფრინა. გუშინ კი აღნიშნულ საკითხს სემეკის ხელმძღვანელობა გამოეხმაურა.*

თამარ ივანიძე

ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზართან "თელასის" კონფრონტაციას დამღუპველი შედეგები მოჰყვება. ამის შესახებ გუშინ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ განაცხადა.

მისი თქმით, კომპანია "თელასის" წარმომადგენლების მიერ ენერგეტიკისა და ეკონომიკის მინისტრების სახელზე გაგზავნილი წერილი შანტაჟის ხასიათს ატარებს და ენერგოსექტორისათვის დამღუპველ შედეგებს მოიტანს.

**"კომპანია "თელასს" ურჩევნია, ის ვალდებულებები შეასრულოს, რომელიც სემეკის წინაშე აკისრია. კერძოდ, "თელასს" ჯერ კიდევ არ წარმოუდგენია სემეკში ის გაანგარიშებები, რომელთა მიხედვით კომისიამ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი უნდა დაადგინოს,"** - განაცხადა თავაძემ.

მისი თქმით, სემეკი არ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მომხმარებლის ინტერესების საწინააღმდეგო ან "თელასის" საწინააღმდეგო იქნება.

ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ თებერვლის ბოლოს კომპანია "თელასის" წილი 0,3 თეთრით შეამცირა, თუმცა როგორც "თელასის" წარმომადგენლები აცხადებენ, "თელასის" წილის შემცირების მიუხედავად, სამომხმარებლო ტარიფი შეიძლება მაინც გაიზარდოს.

"თელასის" წარმომადგენლებმა ენერგეტიკისა და ეკონომიკის მინისტრების სახელზე წერილები გაგზავნეს, სადაც აღნიშნავენ, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია მათ ტარიფს არასწორად ითვლის.

# "ბრიტიშ პეტროლიუმის" ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში აფეთქება მოხდა

აშშ-ში, ტეხას-სიტიში "ბრიტიშ პეტროლიუმის" ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ძლიერი აფეთქების შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა, 100-ზე მეტმა ადამიანმა სხეულის დაზიანება მიიღო, მათ შორის 70 ჰოსპიტალიზებულია.

შემთხვევის ადგილზე მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები.

ქარხნის მენეჯერმა დონ პარუსმა არ გამორიცხა ტერაქტის ვერსიაც, რადგან იმ დროს ტეხასის შტატში მიმდინარეობდა სამმხრივი სამიტი, რომელშიც აშშ პრეზიდენტი, კანადის პრემიერ-მინისტრი და მექსიკის პრეზიდენტი მონაწილეობდნენ.

მომხდართან დაკავშირებით, აშშ-ს ადმინისტრაციას კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

"ბი-პის" ტეხას-სიტის ქარხანა აშშ-ში ერთ-ერთი უმსხვილესია. იგი ამერიკული ბენზინის 3 პროცენტს აწარმოებს. ყოველდღიურად ეს ქარხანა 460 ათას ბარელ ნედლ ნავთობს ამუშავებს.

ქარხნის ადმინისტრაციის მონაცემებით, აფეთქება მოხდა დანადგარზე, რომელიც ბენზინის ოქტანთა რიცხვს ზრდის.

აფეთქების მიზეზებს გამოძიების ფედერალური ბიურო, აშშ შიდა უსაფრთხოების სამინისტრო და სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი იძიებენ.

აღნიშნულმა ფაქტმა უკვე გამოიწვია ნავთობის ბაზარზე რყევები. გუშინ საინფორმაციო საშუალებები ავრცელებდნენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ აშშ-ში გუშინ ნავთობზე ფასები უკვე გაიზარდა.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე გუშინ, "ბრიტიშ პეტროლიუმის" აქციებმა დაახლოებით 2-პროცენტიანი ვარდნა განიცადა.

*24 საათი*

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

**პროკრედიტ ბანკი** აცხადებს კლიენტთა მომსახურების განყოფილების (ბანკის ფილიალის ან სერვის-ცენტრის საოპერაციოს) უფროსის ვაკანსიებს.

**მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლების დიპლომი, სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის ან ფინანსების დარგში
- ბანკში კლიენტთა მომსახურების დეპარტამენტში მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება
- საბანკო ოპერაციების კარგი ცოდნა
- კლიენტთა მომსახურების პრინციპების სიღრმისეული ცოდნა
- მართვის, ორგანიზაციული და პრობლემათა გადაჭრის ეფექტური უნარ-ჩვევები
- კომუნიკაბელობა
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების ცოდნა

დაინტერესებულმა პირებმა დოკუმენტები უნდა გამოაგზავნონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე

- CV ფოტოთი
- დიპლომის და/ან სერტიფიკატების ასლები
- რეკომენდაციები

პროკრედიტ ბანკი, საქართველო
სათავო ოფისი, ალმაშენებლის გამზირი N 154, თბილისი 0112 ან შემდეგ ელექტრონულ მისამართზე carrier@ procreditbank.ge

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა: 30 მარტი 2005 წ.
გთხოვთ, თქვენს CV-ში ან ელექტრონულ ფოსტის გრაფაში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განაცხადი არ განიხილება.

ქალაქ თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის
**საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი**
Tbilisi City Service - Tbilisi Corps

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 აპრილიდან იწყებს განაცხადების მიღებას თბილისის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად საჭირო თანხების მოთხოვნის მიზნით.

დაფინანსების მოთხოვნით, თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

1992 წლის შემდგომ, როდესაც საქართველოში დაიწყო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინების პრივატიზება, მობინადრეთა უმრავლესობა ბინის მესაკუთრე გახდა. მრავალბინიანი სახლის ეზოს, მიმდებარე მიწის ნაკვეთის, კიბის უჯრედების, სხვენის, შენობის მზიდი კონსტრუქციების, ლიფტების, საძირკვლის და სახურავის მოვლა-პატრონობა ბინის მესაკუთრეთა მოვალეობაა.

ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, ის არარეგისტრირებული კავშირია. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობაა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტ გვერდზე - www.tbilisicorps.ge**
**მისამართი: აღმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული.**
**ტელ.: 952034**

# პარლამენტარებს ნიდერლანდური კრედიტის პირობები არ მოსწონთ

## ირაკლი კოვზანაძე მთავრობას პარლამენტის ფორს-მაჟორულ სიტუაციაში ჩაყენების გამო საყვედურობს

თამარ ივანიძე

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ფოთის პორტის რეაბილიტაციისათვის გამიზნული კრედიტის პირობებით უკმაყოფილოა. ფინანსთა სამინისტროს მიერ პარლამენტართა წინაშე წარდგენილ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით დეპუტატებს სერიოზული კითხვები უჩნდებათ. თუ ამ კითხვებზე პასუხები 31 მარტამდე ვერ მოინახა და ხელშეკრულების რატიფიცირება ამ ვადამდე ვერ მოხერხდა, საქართველო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგრანტო თანხას - 5,35 მილიონ ევროს ველარ მიიღებს.

საფინანსო-საბიუჯეტო და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებმა ერთობლივად განიხილეს საქართველოსა და ნიდერლანდების "აი-ენ-ჯი ბანკს", აგრეთვე, საქართველოსა და "აი-ენ-ო ბანკს" შორის დადებული ხელშეკრულებები, რომელიც პარლამენტში სარატიფიკაციოდ არის წარდგენილი.

"აი-ენ-ჯი ბანკისაგან" საქართველო 9,9 მლნ ევროს სესხს მიიღებს, "აი-ენ-ო ბანკისგან" კი გრანტს - 5,35 მლნ ევროს. ეს ფინანსური საშუალებები ერთიანი პროექტის სახით ფოთის პორტის დამცავი მოლის რეაბილიტაციას მოხმარდება.



*კომიტეტი კრედიტის საკითხს კიდევ ერთხელ დაუბრუნდება.*

აღნიშნული კრედიტი 2,2-პროცენტიანია, რაც კომიტეტების წევრების აზრით, საკმაოდ მაღალია. აღნიშნულ თანხებს ფინანსთა სამინისტრო ფოთის პორტზე გადაასესხებს. კრედიტის დაბრუნებაზე ნიდერლანდების მთავრობის წინაშე პასუხისმგებელი ფინანსთა სამინისტრო იქნება, რომელმაც თანხები, თავის მხრივ, ფოთის პორტისგან უნდა მიიღოს.

კომიტეტების წევრები ეჭვობდნენ, შეძლებს თუ არა რეალურად ფოთის პორტი ასეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთიანი სესხის გასტუმრებას, თუმცა პორტის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ორგანიზაცია ლიკვიდურია და თანხების გასტუმრებას შეძლებს.

პროექტი, რომელსაც ნიდერლანდური ფირმა "ბოსკალისი" განახორციელებს, 18 თვეში უნდა დასრულდეს. როგორც ფოთის პორტის ხელმძღვანელი თემურ მიმინოშვილი აცხადებს, აღნიშნული თანხებით მოხდება პორტის 1800-მეტრიანი წყალგამყოფი მოლიდან 800 მეტრის რეაბილიტაცია და შეკეთება.

მიმინოშვილი აცხადებს, რომ თუ აღდგენითი სამუშაოები ოპერატიულად არ ჩატარდება, პორტიც და ქალაქის ნაწილიც კატასტროფის წინაშე დადგება.

კომიტეტებს დღეს ამ პროექტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის თქმით, (რომელიც ამ ახალ რანგში კომიტეტის პირველ სხდომას ატარებდა) არის საკითხები, რომლებიც დამატებით გარკვევას ითხოვს და კომიტეტი 25 მარტს კიდევ ერთხელ შეიკრიბება, რის შემდეგაც ხელშეკრულებები სარატიფიკაციოდ პლენარულ სხდომაზე გავა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა უკმაყოფილება იმის გამოც გამოხატა, რომ დოკუმენტები პარლამენტში მხოლოდ გუშინ საღამოს შევიდა და დეპუტატები ფორს-მაჟორულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ.

თუ კრედიტის რატიფიცირება 31 მარტამდე არ მოხდება, საქართველო თანხის იმ ნაწილს დაკარგავს, რომელიც პროექტში გრანტის სახით არის წარმოდგენილი (5,35 მილიონი ევრო). კოვზანაძე მთავრობას აფრთხილებს, რომ მომავალში პროექტების ასეთი დაგვიანებით შემოტანის შემთხვევაში, კომიტეტი მათ პლენარულ სხდომაზე გატანას აღარ დაუშვებს.

# საქართველოში ისევ "ბნელა"

*2-3 წელია, თბილისში ასეთი ენერგოკრიზისი არ ყოფილა, - აცხადებენ ენერგეტიკოსები. თუმცა, ელექტროენერგიით "განებივრებულ" ქართულ მოსახლეობას უკვე ველარაფრით გააკვირვებ.*

დიანა ჩაჩუა

### ენერგოსისტემა კვლავ მკაცრი შეზღუდვებით მუშაობს

საქართველოს ენერგოსისტემას კვლავ მკაცრი შეზღუდვის პირობებში უწევს მუშაობა. როგორც გუშინ საქართველოს "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებდნენ, ქვეყნის ენერგოდეფიციტი 230 მეგავატს შეადგენს, თუმცა პიკის საათებში ის კიდევ გაიზრდება და, საშუალოდ, 300 მეგავატს შეადგენს.

ამჟამად სისტემაში ელექტროენერგიის მთლიანი რესურსი 890 მეგავატია, საიდანაც 750 მეგავატი ადგილობრივ გენერაციაზე მოდის, დანარჩენი კი - სომხეთიდან განხორციელებულ იმპორტზე.

კვლავ ძალიან დაბალია წყლის დონე ენგურჰესზე, სადაც 100 მეგავატი სიმძლავრის მხოლოდ ერთი აგრეგატი მუშაობს.

თბილსრესის მე-3 ენერგობლოკი, რომელიც 23 მარტს ჩაირთო, სისტემაში მიერთებიდან 1 საათში კვლავ ავარიულად გამოირთო, რაც 220-კილოვატსაათიანი ამომრთველის დაზიანებამ გამოიწვია. მის შეკეთებას კიდევ რამდენიმე დღე დასჭირდება.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ენგურჰესის გაჩერება, რომელიც მარტში ან აპრილის დასაწყისისთვის იგეგმებოდა, შესაძლოა, მომავალი წლისთვის გადაიდოს. ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის თქმით, საკითხი მაშინ გადაწყდება, როცა "კავკასიონის" ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენის ვადები დაზუსტდება.

"კავკასიონის" ელექტროგადამცემ ხაზს კი დამატებითი პრობლემები გაუჩნდა - ზვავების გამო, დამატებით ორი ანძაა წაქცეული. ამის გამო "კავკასიონის" ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენა კიდევ კარგა ხანს ვერ მოხერხდება.

**"საქართველოს ენერგოსისტემაში დამატებითი რესურსები თუ არ გაჩნდება, კრიზისი კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს,"** - "ოპტიმისტურ" განცხადებებს აკეთებდნენ "სახელმწიფო ელექტროსისტემაში".

**"გასათვალისწინებულია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ენერგოსისტემიდან ელექტროენერგიით მარაგდება აფხაზეთი, რომელიც დღე-ღამეში 4,200 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას იღებს, რაც 175 მეგავატის სიმძლავრეა. ეს კი, თავისთავად, გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ რესურსებზე,"** - ასე ცდილობდნენ "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" შექმნილ კრიზისში დამნაშავის პოვნას.

საქართველოს რეგიონებში შექმნილი კრიზისული ენერგეტიკული მდგომარეობის გამო მოსახლეობამ აქციების გამართვა დაიწყო. შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში რეგიონებში ელექტროენერგია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებსაც არ მიეწოდებოდა. წალენჯიხაში დაწყებული საპროტესტო აქციების მონაწილეთა განცხადებით, მათ დენი, უკვე ერთი თვეა, არ მიეწოდება, რის გამოც 24 მარტს საცხობების მუშაობაც კი შეჩერდა. შესაბამისად, მოსახლეობა პურს ვერ ყიდულობს. პარალიზებულია რაიონის ყველა სახელმწიფო უწყება, მათ შორის - სკოლები და საავადმყოფოები. გარდა ამისა, შეჩერებულია ბავშვების ვაქცინაციის პროცესიც, რადგან, ექიმების განცხადებით, ელექტროენერგიის გარეშე ისინი ვაქცინების სათანადო პირობებში შენახვას ვერ უზრუნველყოფენ. აქციის მონაწილეები დღე-ღამეში დენის მიწოდებას 3 საათით მაინც ითხოვენ.

### დედაქალაქის 70 პროცენტი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი

რეგიონების მსგავსად, თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელშიც გრძელდება მკაცრი შეზღუდვები. თბილისის 70 პროცენტი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. დედაქალაქის ელექტრომომარაგება დღის საათებში - 150, ხოლო საღამოს პიკზე 100 მეგავატით არის შეზღუდული.

"სახელმწიფო ელექტროსისტემა" უკვე ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიერ თბილისისთვის დადგენილი დღე-ღამური განაწილების ლიმიტის შესრულებასაც ველარ უზრუნველყოფს.

ორი დღის წინ კომპანია "თელასმა" 6 355 000 კილოვატსაათი ელექტროენერგია მიიღო. "თელასის" მიერ პირდაპირი ხელშეკრულებით შესყიდული ელექტროენერგიის მოცულობა 4,892 ათას კილოვატსაათს შეადგენს. მიღებული სიმძლავრე თბილისს არ ყოფნის, თუმცა, იგივე მდგომარეობაშია საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, რომელიც სისტემიდან 3,339 მლნ. კილოვატსაათს იღებს.

### "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ურჩ მომხმარებლებს ჩაჭრის

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 220-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზ "სალხინოზე" იმპორტის ლიცენზია გასცა. გუშინ სემეკის სხდომაზე ლიცენზია საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ მიიღო.

გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ სემეკს ლიცენზიის გაგრძელება ჯერ კიდევ გასული წლის 26 ნოემბერს სთხოვა, თუმცა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ამის მიზეზი კი ამ ელექტროგადამცემ ხაზზე აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობა იყო. თუმცა, როგორც სემეკში განაცხადეს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ მოწერილი ინფორმაციით, ხაზზე აღრიცხვიანობა მოწესრიგებულია.

საქართველოში "სალხინოს" გადამცემი ხაზის მეშვეობით, სავარაუდოდ, 80 მეგავატის სიმძლავრე შემოვა.

"სალხინოს" გადამცემი ხაზი საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემებს აფხაზეთის ტერიტორიის გავლით აკავშირებს. წლების განმავლობაში, ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები გამუდმებით საუბრობდნენ "სალხინოს" მეშვეობით აფხაზეთიდან რუსეთში ელექტროენერგიის უკანონო გადინების თაობაზე.

როგორც "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებენ, "სალხინოს" გადამცემ ხაზზე აქამდე არსებული აღრიცხვიანობის პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა, რადგან დამონტაჟებულია მრიცხველი, რომელიც შემოტანილი ელექტროენერგიის ოდენობას აღრიცხავს.

"სალხინოს" გადამცემ ხაზზე არსებული მრიცხველის მსგავსი უნდა დამონტაჟებულიყო ბზიფის ქვესადგურშიც. ამის შესახებ შეთანხმებას ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა აფხაზეთის თვითაღიარებული ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს მიაღწია კიდეც, თუმცა, როგორც "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებენ, ბზიფის ქვესადგურზე მრიცხველის დამონტაჟება მაინც ვერ ხერხდება.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ დღეიდან "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქუთაისის მომსახურების ცენტრი არგადამხდელი მომხმარებლების მიმართ ზომების გამკაცრებას იწყებს - იმ აბონენტების ინდივიდუალური ჩაჭრა განხორციელდება, რომლებიც მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს არ იხდიან ან უარს აცხადებენ გამრიცხველიანებაზე. მათივე თქმით, ინდივიდუალური გათიშვები შეეხება იმ ფიდერებსაც, რომლითაც ე.წ. სასიცოცხლო ობიექტები მარაგდებიან და ამის გამო მიმდებარე ქუჩების მოსახლეობა პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფება.

არგადამხდელების მიმართ ზომების გამკაცრების გადაწყვეტილება ქუთაისის ენერგოკომპანიამ მას შემდეგ მიიღო, რაც ცნობილი გახდა, რომ ქუთაისში ელექტროენერგიის დანახარჯი გადახდის მაჩვენებელს ათჯერ აღემატება.

# ეკონომიკის სამინისტრომ ვაკის სახანძროს შენობა გაყიდა

*ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გუშინ ჩატარებული აუქციონის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტი კიდევ 3 მილიონ 543 ათასი აშშ დოლარით გამდიდრდა. წარმოდგენილი 16 ობიექტიდან სამინისტრომ გუშინ მხოლოდ 6-ის გაყიდვა მოახერხა. აქედან, ყველაზე დიდი მოთხოვნა ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე სახანძროზე იყო.*

მარიამ ჭაჭვაძე

ოთხსართულიანი შენობა, რომელიც 3145 კვადრატული მეტრის მიწის ფართობზეა დამაგრებული, 3 მილიონ 40 ათას აშშ დოლარად ბრიტანულ-ქართულმა შპს. "ტრანსინვესტ კაპიტალ ჯორჯიამ" იყიდა. ვაკის რაიონის სახანძრო სამსახური, დღეიდან, საბურთალოს რაიონის სამსახურს შეუერთდება და ამ ორი რაიონის მოსახლეობას მოემსახურება.

ამ შენობაზე, რომლის საწყის ფასად ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 1 მილიონ 500 ათასი აშშ დოლარი გამოაცხადა, პრეტენზიას 5 კომპანია გამოთქვამდა. "პირველი კომერციული ბანკი", "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა", შპს "ელჩის სასახლე", შპს "ტრანს ინვესტ კაპიტალ ჯორჯია" და შპს "ვორლდვაით თრეიდინგი". როგორც გუშინ აუქციონში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენელმა ირაკლი ქათამაძემ განაცხადა, ბრიტანელი ბიზნესმენები სახანძროს შენობის ადგილას დიდი სავაჭრო ცენტრის გახსნას აპირებენ, რისთვისაც ისინი დამატებით კიდევ ოთხი-ხუთი მილიონი დოლარის ინვესტიციების განხორციელებას გეგმავენ.

გუშინდელ აუქციონზე ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კიდევ 5 ობიექტის გაყიდვა მოახერხა. ხუთივე მათგანზე თითო-თითო განაცხადი იყო შეტანილი. აგროფირმა "მუხროვანი", რომელიც 295 ათას აშშ დოლარად (საწყის ფასზე 5 ათასით მეტად) გაიყიდა, კორპორაცია "ვორლდვაიდი თრეიდინგის" საქართველოში წარმომადგენლობამ შეიძინა.

გუშინ გაყიდული დანარჩენი ოთხი ობიექტის მყიდველები ფიზიკური პირები იყვნენ.

ფოთში მდებარე შენობა, თავისი მიწის ფართით, 21 ათას დოლარად, ქობულეთში ალმაშენებლის გამზირზე მდებარე დაუმთავრებელი ორსართულიანი შენობა, 1000 კვადრატული მეტრის მიწის ფართით - 26 ათასად და შპს. "ბაზა" - 51 ათასად გუშინ გამოცხადებულ ფასზე ზუსტად ათასი დოლარით მეტად გაიყიდა.

საწყის ფასზე 5 ათასით მეტად, 110 ათას დოლარად გაიყიდა თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე მდებარე საწყობის შენობა და მასზე დამაგრებული 5242 კვადრატული მეტრის მიწის ფართი.

გუშინ გაუყიდავ ობიექტებს შორის დარჩა 113 ათას დოლარად შეფასებული სს. "მარმარილოს" აქციათა 53 პროცენტი, 77-ათასიანი სს. "ჰიდროენერგომონტაჟი", 180 ათას დოლარად ღირებული სს. "საჩხერგაზის" აქციების 96 პროცენტი და 135-ათასიანი სს."ზეტონკონსტრუქციის" აქციების 64 პროცენტი. არც ერთ მათგანს გუშინდელ დღემდე მსურველი არ გამოსჩენია.

გუშინვე, ეკონომიკის სამინისტრომ იმ 6 ობიექტის პრეზენტაციაც მოაწყო, რომლის გაყიდვა 31 მარტის აუქციონზე არის დაგეგმილი. ესენია: შპს "მექანიზატორი" – 97.83 პროცენტი სახელმწიფო წილით, რომლის საწყისი ფასი სამინისტრომ 65 ათასი დოლარით განსაზღვრა, სს. "წნორის მანქანათმშენებელი ქარხანა 2003"-ის საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული შენობები 3360 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, საწყისი ფასი 16 ათასი დოლარია; შპს „პროგრესი" 5137 კვ.მ. მიწის ნაკვეთით - 200 ათასი დოლარი; სს "საქსურსათმანქანის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული სასადილოს შენობა - 30 ათასი დოლარი; სს „საქსურსათმანქანის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ძველი საწარმოო შენობა - 155 ათას დოლარი და დაბა გომბორში მდებარე სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული N2 და N59 შენობები - 72 ათასი დოლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროექტი: "ქართული ენის სწავლების მხარდაჭერა არაქართულენოვან სკოლებში"
**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
აცხადებს კონკურსს
**ქართული ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოს შესაქმნელად**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არაქართულენოვანი სკოლების საბაზო და დამამთავრებელ კლასებში ქართული ენის სწავლების მხარდაჭერის მიზნით გეგმავს ქართულის, როგორც მეორე ენის, სახელმძღვანელოს შექმნას ენის ცოდნის დონეების მიხედვით (დამწყებთათვის, საშუალოს წინა, საშუალო, საშუალოს შემდგომ დონეზე მყოფთა და დაწინაურებულთათვის).

I დონის (დამწყებთათვის) სახელმძღვანელოს შესაქმნელად შერჩეული იქნება: 4 ავტორი, 1 მხატვარ-დიზაინერი.

**ავტორთა მოვალეობანი**

- სახელმძღვანელოს ტექსტის შემუშავება
- მასწავლებლის წიგნის დაწერა

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**

- უმაღლესი ფილოლოგიური განათლება
- ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების გამოცდილება
- სახელმძღვანელოზე მუშაობის გამოცდილება
- მეთოდურ სახელმძღვანელოზე მუშაობის გამოცდილება

**მხატვარ-დიზაინერის მოვალეობა**

- შესაბამისი ილუსტრაციებისა და წიგნის დიზაინის შექმნა

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**

- სახელმძღვანელოს ილუსტრირებისა და დიზაინის შექმნის გამოცდილება

**სამუშაოს ხანგრძლივობა**

ხელშეკრულება დაიდება 4 თვის ვადით. ანაზღაურება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები და სამოტივაციო წერილი ქართულ ენაზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია), გარდა ამისა, ავტორებმა უნდა წარმოადგინონ სახელმძღვანელოს კონცეფცია, მხატვარ-დიზაინერმა მის მიერ გაფორმებული სახელმძღვანელოები.

Gგანაცხადის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 11 აპრილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,
0102 თბილისი, უზნაძის ქ.N52, ოთახი N204,
ტელეფონი: 95-70-49

# ქუთაისში ყოფილი მაღალჩინოსნების დაჭერების სერია დაიწყო

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

ქუთაისის ფინანსური პოლიცია მერიის კონტრაქტორი ფირმების საქმიანობის შესწავლასა და მათთან კორუფციულ გარიგებებში გასვრილი სახელმწიფო მოხელეების გამოვლენას აგრძელებს. შპს "საქართველოს გზების", ინდმეწარმე "ჯანხოთელისა" და შპს "არმაზის" წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს ფინანსურმა პოლიციამ შპს "ტენზორის" საქმე დაუმატა. 23 მარტს განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად ფინანსურმა პოლიციამ ქუთაისის საფინანსო სამსახურის ყოფილი უფროსი ლევან გოგელაშვილი, ინფრასტრუქტურის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი გერმანე ხურციძე და შპს "ტენზორის" კომერციული დირექტორი ავთანდილ ობოლაძე დააკავა.

**"დაკავებულები ეჭვმიტანილები არიან და თუკი მათ ბრალი დაუმტკიცდებათ, ვთვლი, რომ ამ საქმეში ისინი ლიფსიტები არიან, ამიტომ გამოძიება ზედა მიმართულებით უნდა წავიდეს. ვიცი, რომ უახლოეს ხანში კიდევ რამდენიმე პირი გამოვლინდება და ძალიან დიდი ცვლილებები იქნება ქუთაისის მერიაში",** - აცხადებს ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ გულორდავა "24 საათთან" საუბარში.

ლევან გოგელაშვილი და გერმანე ხურციძე თანამდებობებიდან მას შემდეგ გათავისუფლდნენ, რაც ქუთაისის მერის მოვალეობის შესრულებას ბესიკ გულორდავა შეუდგა. გოგელაშვილის უწყებას რამდენიმე თვის მანძილზე ქუთაისის საგადასახადო სამსახურიც ამოწმებდა; ფინანსურმა პოლიციამ კი საქმის მოკვლევა ორი თვის წინ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო და სპეცოპერაციით დაასრულა.



ქუთაისის საფინანსო სამსახურის ყოფილი უფროსი ლევან გოგელაშვილი.

დაკავებულ ეჭვმიტანილებს ფინანსური პოლიცია ორი მუხლის საფუძველზე ედავება. ეს გახლავთ პირთა ჯგუფის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება და საბიუჯეტო თანხების მითვისება-გაფლანგვა.

**"შპს "ტენზორს" ბრალად ედება ბიუჯეტიდან მიღებული 2277 ლარის მითვისება; ამავე დროს, იკვეთება პირთა ჯგუფის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება და უკანონო გარიგება შპს "ტენზორთან". შესწავლის პროცესშია მერიის გადახურვის საქმეც, რომელშიც, ასევე, "ტენზორი" ფიგურირებს",** - აცხადებს ქუთაისის ფინანსური პოლიციის უფროსი სოსო გაბრიჩიძე.

2277 ლარი შპს "ტენზორმა" ნიუპორტის ქუჩა N25-ში ხანძრისგან დაზარალებული სახურავების კაპიტალური შეკეთებისთვის მიიღო ქუთაისის მერიის სარეზერვო ფონდიდან. აღნიშნული თანხა მერიიდან გაცემულია ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

**"ამ შემთხვევაში დაირღვა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონი, რადგან ამ კანონის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც არ სცილდება 10 ათას ლარს, ექვემდებარება ერთ პირთან მოლაპარაკების ტიპის ხელეშკრულების გაფორმებას. 10 ათასიდან 50 ათასამდე შესყიდვისთვის ფასთა კოტირების წესით უნდა გაფორმდეს ხელეშკრულება, ანუ - სატენდერო კომისიის შექმნის გარეშე უნდა შეირჩეს ყველაზე დაბალი ფასებით მომსახურე ორგანიზაცია. 50 ათას ლარს ზევით კი ტენდერის წესით უნდა შეირჩეს ფირმა, რაც აქამდე არ განხორციელებულა ქუთაისის მერიაში",** - აცხადებს ქუთაისის ადგილობრივი მმართველობის აპარატის უფროსი მანუჩარ ჩიტაიშვილი "24 საათთან" საუბარში.

2004 წლის განმავლობაში ქუთაისის მერიას შპს "ტენზორთან" ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, რომლის საფუძველზეც, "ტენზორს" ბიუჯეტიდან 7435 ლარი აქვს მიღებული, 2005 წელს კი - 30277 ლარი.

**"ტენზორი" აკეთებდა მერიაში ყველაფერს – შიდა რემონტებს, სახურავის რემონტებს, ელექტროჯიხურებსა და რბილ სკამებსაც კი. ეს ფირმა ამ ყველაფერს ტენდერის გარეშე ახორციელებდა ისე, რომ შესაბამისი ლიცენზიაც კი არ ჰქონდა",** - აცხადებს მერის მოვალეობის შემსრულებელი.

შპს "ტენზორთან" გაფორმებულ ხელშეკრულებებს ხელს აწერს ქუთაისის მერის მოვალეობის მაშინდელი შემსრულებელი გია გიორგაძე. სავარაუდოდ, გამოძიება სწორედ გიორგაძის მიმართულებით განაგრძობს მოკვლევას; მოკვლევის ორგანოები აღნიშნულ საქმეში ყოფილი ვიცე-მერის გივი ჯიბლაძისა და კეთილმოწყობის სამსახურის მაშინდელი და ამჟამინდელი უფროსის ირაკლი ბერაძის წვლილითაც დაინტერესდებიან.

**"ამჟამად აუცილებელია, რომ ექსპრეტიზამ დაგვიდასტუროს, აქვს თუ არა "ტენზორს", რეალურად, 2277 ლარის სამუშაო შესრულებული",** - აცხადებს ქუთაისის ფინანსური პოლიციის უფროსი.

ფინანსური პოლიციის ძიების ქვეშ არსებულ სხვა საქმეებს რაც შეეხება, ექსპერტიზის დასკვნით, ფირმებს - შპს "საქართველოს გზები", "არმაზი" და ინდმეწარმე "ჯანხოთელი" - მიღებული თანხების შესაბამისი სამუშაოების შესრულება დაუდასტურდათ. ამასთან, ქუთაისის მერიაში არსებობს სახელმწიფო მიმღები კომისიის დადებითი დასკვნა "ტენზორის" მიერ ნიუპორტის ქუჩაზე გაწეული საქმიანობის შესახებ. სახელმწიფო მიმღები კომისიის სახელით, დასკვნას ხელს აწერენ - მერის მოვალეობის მაშინდელი შემსრულებელი გია გიორგაძე, აპარატის ყოფილი უფროსი გოგა კლდიაშვილი, არქიტექტურის სამსახურის უფროსი დავით ლეონიძე, მერიის ბუღალტერი დარეჯან ნიკოლაძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი კახა ქორიძე და თვით "ტენზორის" კომერციული დირექტორი ავთანდილ ობოლაძე.

დაკავებული პირებისადმი ბრალის წასაყენებლად ფინანსურ პოლიციას კიდევ რამდენიმე საათი რჩება. საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე მერის მოვალეობის შემსრულებელი უკვე ღიად მიანიშნებს, რომ შპს "ტენზორი" მერიის დაკვეთებს ამიერიდან ველარ შეასრულებს. თუმცა, შპს "ტენზორის" სამი განაცხადი ქუთაისის მერიის სატენდერო კომისიამ 22 მარტს მიიღო. აღნიშნული ფირმა 2005 წელს ბიუჯეტიდან გზის საფარის შესაკეთებლად 3 მლნ 300 ათასი ლარის, ფასადების შესაკეთებლად - 445 ათასი ლარისა და გარე განათების ბოძების დადგმა-დამონტაჟებისთვის 230 ათასი ლარის მოსაპოვებლად იბრძოლებს ტენდერის გზით.

ქუთაისში ყოფილი და მოქმედი ჩინოვნიკების დაჭერების სერიალის გაგრძელებას კიდევ ელოდებიან; უფრო მას შემდეგ, რაც კონტროლის პალატა მერიის რამდენიმეთვიან შემოწმებას დაასრულებს. მერიაში არსებულ დარღვევებს პროკურატურაც იკვლევს. ქუთაისში ამბობენ, რომ საბოლოოდ გამოძიების კვალი შეიძლება იმერეთის ყოფილ გუბერნატორამდე დავით მუმლაძემდეც მივიდეს.

# იუსტიციის სამინისტრო ესტონეთის გამოცდილებას გაიზიარებს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია, მინისტრის მოადგილის ეკატერინე ტყეშელაშვილის ხელმძღვანელობით, ერთკვირიანი ვიზიტით ესტონეთში იმყოფებოდა.

ვიზიტი, რომელიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის" ფარგლებში განხორციელდა, ესტონეთის პენიტენციური სისტემის გაცნობას ისახავდა მიზნად. ეკა ტყეშელაშვილის განცხადებით, პენიტენციური სისტემის რეფორმისას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ესტონეთის გამოცდილებას გაიზიარებს. **„ესტონეთში სასჯელაღსრულების სისტემაში რამდენიმე წლის წინათ კომპლექსური რეფორმა განხორციელდა. ასეთივე ღონისძიება იგეგმება საქართველოშიც, ამიტომ იყო მნიშვნელოვანი, ამ ქვეყანაში ჩატარებულ ცვლილებებს გავცნობოდით,"** - განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, რომლის თქმითაც, **"საქართველოში სისტემური ცვლილებების განხორციელება იგეგმება. პირველ რიგში, ქვეყანაში არსებული სასაჯელაღსრულების დაწესებულებები საკნური ტიპის სისტემაზე გადავა. ამგვარი ციხეები იქნება რუსთავისა და ქუთაისის სასაჯელაღსრულების დაწესებულებები."**




"საქართველოში სისტემური ცვლილებების განხორციელება იგეგმება".

"სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის" პროექტის კოორდინატორის სიმონ პაპუაშვილის განცხადებით, ესტონეთის პენიტენციურ სისტემაში რამდენიმე წლის წინ არსებული სიტუაცია ძალიან ჰგავს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში დღეს შექმნილ ვითარებას. ესტონეთში ვიზიტი სწორედ ამ მსგავსების გამო გადაწყდა.

ერთკვირიანი ვიზიტისას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაციის წევრებს შეხვედრები ჰქონდათ ესტონეთის იუსტიციის სამინისტროში, რომელსაც, ქართული მოდელის მსგავსად, პენიტენციური სისტემა ექვემდებარება. გარდა ამისა, მათ ვიზიტის ფარგლებში, ტარტუს, მურუსა და პარნუს საპყრობილეები დაათვალიერეს.

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის ჯგუფის შეხვედრა, რომელიც ევროკომისიის პროექტის ფარგლებშია დაფინანსებული, გუდაურში გაიმართება. სემინარი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ იუსტიციის სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და უცხოელი ექსპერტები, მიზნად ისახავს საქართველოში სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის პროექტის განხილვასა და საბოლოო ვარიანტზე შეთანხმებას.

*24 საათი*

# განმუხურის ინციდენტს ქართულ-რუსული საგამოძიებო ჯგუფი შეისწავლის

*ბოლო დროს გალის რაიონის ქართულ სოფლებში აფხაზური კრიმინალური დაჯგუფებების შეჭრისა და ქართველთა მძევლად აყვანის ფაქტებმა შედარებით იკლო. თუმცა, ხანმოკლე შესვენების შემდეგ, აფხაზი კრიმინალები გუშინ გამთენიისას კვლავ დაესხნენ თავს გალის რაიონის სოფლებს. მათ სოფელ ნაბაკევიდან ნათესავებთან სტუმრად მყოფი ორი ქართველი – წყაროზია და ღურწკაია გაიტაცეს და ქართველების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე გადაიყვანეს.*

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეიარაღებულმა აფხაზმა კრიმინალებმა ქართველები გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გამტაცებლებმა გატაცებულთა ოჯახებს გუშინვე შეატყობინეს მძევლების გამოსასყიდი თანხის ოდენობა, რაც დაახლოებით 100 ათას დოლარს შეადგენს. მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ გატაცებულთაგან ერთ-ერთი გამტაცებლებმა მხოლოდ იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ ოჯახთან მოლაპარაკებას თავად აწარმოებდა და თავისუფლების სანაცვლოდ მოთხოვნილ თანხასაც თავად გადასცემდა გამტაცებლებს. ეს ინფორმაცია ჩვენთან საუბარში დაადასტურა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის ხელმძღვანელმა ვალერი ჯაფარიძემ. მისი ინფორმაციით, გათავისუფლებულ ქართველს აფხაზმა კრიმინალებმა გამოსასყიდი თანხის გადასაცემად სამდღიანი ვადა მისცეს. **"დილით მომხდარ გატაცებასთან დაკავშირებით, აფხაზურ მხარეს თანამშრომლობა მოვთხოვე, რაზეც თანხმობა მივიღეთ. გადაწყდა, რომ ღურწკაიასა და წყაროზიას გატაცებას ქართულ-აფხაზური ერთობლივი ჯგუფი გამოიძიებს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ვალერი ჯაფარიძემ.

ჭუბურხინჯის გუშინდელი ოთხმხრივი შეხვედრა საკმაოდ წარმომადგენლობითი გახლდათ, შეხვედრაში ქართული მხრიდან კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული გიგი უგულავაც მონაწილეობდნენ. რუსული მხრიდან კი ჭუბურხინჯის შეხვედრას ქართული მხარის მიერ სპეციალურად მიწვეული, რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალი ევტეევი ესწრებოდა. მხარეებს შორის სასაუბრო ძირითადი საკითხი რამდენიმე დღის წინ სოფელ განმუხურში სამშვიდობო ძალების კუთვნილი ჯავშან-ტექნიკის ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად, თვითნებურად გადაადგილების ინციდენტი იყო. შეგახსენებთ, რომ მოსახლეობის დასაცავად გახსნილ ქართულ ბლოკ-საგუშაგოს სამშვიდობო ძალებმა ალყა შემოარტყეს. პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულთან გიგი უგულავასთან სატელეფონო საუბრისა და შეხვედრის შემდეგ კი რუსი სამშვიდობოების სარდლობამ განმუხურიდან სამხედრო ტექიკის გაყვანის ბრძანება გასცა.

გუშინ მხარეებს შორის შეთანხმება შედგა – განმუხურის ინციდენტს სპეციალურად შექმნილი ერთობლივი ჯგუფი გამოიძიებს. **"ეს შეთანხმება ძალაში 15.00 საათიდან შედის. შესაბამისად, ორმხრივი, ქართულ-რუსული საგამოძიებო ჯგუფი მუშაობას სწორედ ამ დროიდან შეუდგება,"** - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ გიორგი ხაინდრავამ.

*24 საათი*

# მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე

*ყვარლის რაიონში, დღის სამ საათზე, შემზარავი მკვლელობა მოხდა. ნოდარ მანანაძე ეჭვმიტანილია მეგობარი ქალისთვის ყელის გამოჭრაში.*

ზვიად რუაძე
კახეთი

ამ დღეებში ყვარლის რაიონში უკვე მეორე მკვლელობა მოხდა. გამოძიების წინასწარი ინფორმაციით, სოფელ სანავარდოს მკვიდრმა, 27 წლის ნოდარ მანანაძემ შელაპარაკების დროს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ანანაურის მკვიდრი, 27 წლის ნინო გაჩეჩილაძე მოკლა. როგორც "24 საათს" სოფელ ანანაურის მოსახლეობამ განუცხადა, ნოდარ მანანაძეს და გარდაცვლილ ნინო გაჩეჩილაძეს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ, მაგრამ რამდენიმე წლის წინ ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. გაჩეჩილაძე ბოლო წლების მანძილზე თურქეთში ცხოვრობდა და გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოში დაბრუნდა. წინასწარი ინფორმაციით, მეგობრებს შორის კონფლიქტი ეჭვიანობის საფუძველზე მოხდა. თუმცა, კონკრეტულად რა გახდა მანანაძესა და გაჩეჩილაძეს შორის უთანხმოების საფუძველი, ამაზე არავინ საუბრობს. მკვლელობაში ეჭვმიტანილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, რის გამოც, პოლიციას მისი დაკავება უძნელდება. განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილ მანანაძეზე ძებნაა გამოცხადებული და მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით მოკვლევას გურჯაანი-ყვარელის პროკურატურა აწარმოებს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში კახეთის რეგიონში უკვე ათობით მკვლელობა მოხდა. აქედან მხოლოდ სამი დანაშაულია გახსნილი.

# დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს

შს სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა, მცხეთის რაიონის სოფელ ნარეკვავში, ავტომაგისტრალზე დააკავეს „ვოლვოს" მარკის ავტომანქანა, რომელშიც იმყოფებოდნენ ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, თბილისში მცხოვრები, ყაჩაღობისთვის ნასამართლევი, 47 წლის მურად სოხაძე, რომელსაც აღმოაჩნდა „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი მჭიდით და 8 ვაზნით. დაკავებული არიან მანქანის სხვა მგზავრებიც - რუსთავში მცხოვრები, ადრე ყაჩაღობისთვის ნასამართლევი 53 წლის ლევან ჟღენტი, რომელსაც აღმოაჩნდა „მაკაროვის" სისტემის უნომრო მაყუჩიანი პისტოლეტი მჭიდით და 7 ვაზნით, დაკავებულია ასევე, ე.წ. ქურდული ტრადიციების მიმდევარი, ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში მცხოვრები, ადრე ნასამართლევი, 54 წლის ვახო თორია, რომელსაც აღმოაჩნდა „ტტ"-ს სისტემის უნომრო პისტოლეტი მჭიდით და 8 ვაზნით.

ავტომანქანაში აღმოჩენილია სამი ნიღაბი, „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტის ხუთი და ავტომატის 10 ცალი ვაზნა. საქმეს იძიებს მცხეთის საგამოძიებო დეპარტამენტი. **24 საათი**


# უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**.............................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**.............................................

**საკონტაქტო ტელეფონი** .............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# პოლიციის განვითარების სტრატეგია

პირველი გვერდიდან

## 1. შესავალი

პოლიციის რეფორმა ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. მყარი პოლიტიკური ნება, რომელიც საქართველოში "ვარდების რევოლუციის" შემდგომ შეიქმნა, ამ სფეროში სწრაფი და წარმატებული რეფორმების საწინდარია. ამასთან, 2004 წელს განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა ღონისძიებებმა და საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბებამ აჩვენა, რომ ხელისუფლება რეფორმების სურვილის არა მხოლოდ დეკლარირებას ახდენს, არამედ რეალურ და ქმედით ნაბიჯებს დგამს ძირეული ცვლილებების მიმართულებით. აღსანიშნავია მნიშვნელოვანი ძვრები კორუფციის დაძლევის საქმეში, პოლიციელთა შრომის ღირსეულად ანაზღაურების, პოლიციელთა რაოდენობის შემცირების და ორგანიზაციის ოპტიმიზაციის კუთხით.

კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული პოლიციელების რაოდენობა 53 691-დან შემცირდა 22 229-მდე. 2004 წლიდან სამინისტროს თანამშრომელთა ხელფასებმა შეადგინა 350-500 ლარი, ადრე საშუალო ხელფასის ოდენობა 80-90 ლარი იყო. 2004 წლის თებერვლიდან საზღვრის დაცვის დეპარტამენტი შს სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. ამასთან, სისტემის დემილიტარიზაციის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა შინაგანი ჯარების თავდაცვის სამინისტროსათვის გადაცემით.

ეს პოზიტიური ძვრები მართლაც შეუძლებელი იქნებოდა, თუ არა პოლიტიკური ხელმძღვანელობის კეთილი ნება. მაგრამ აღნიშნული რეფორმები არ უნდა იყოს ფრაგმენტული და არ უნდა იფარგლებოდეს მხოლოდ ცალკეული სფეროთი. აუცილებელია, შეიქმნას მთლიანად პოლიციის სისტემის განვითარების ერთიანი და ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნება პოლიციის სისტემის სრულყოფისა და გაჯანსაღებისკენ, იმ ერთიანი და ნათელი ხედვის ჩამოყალიბებისაკენ, რომელიც განსაზღვრავს სისტემის იმ მოდელს, რაც რეფორმების შედეგად უნდა იქნეს მიღებული.

რეფორმის წარმატებული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყოველი ცვლილება და ღონისძიება შეესაბამებოდეს სტრატეგიას. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული დოკუმენტი კორექტირებას არ დაექვემდებაროს. ცხადია, დროის მოთხოვნებიდან და შეცვლილი რეალობიდან გამომდინარე, მან შეიძლება შესაბამისი ცვლილებები განიცადოს, მაგრამ პოლიციის განვითარების სტრატეგია ის დოკუმენტია, რომელმაც სისტემის რეფორმირების გზამკვლევის და ძირითადი ორიენტირის როლი უნდა შეასრულოს.

წარმოდგენილი სტრატეგია ემყარება პოლიციის სისტემის რეფორმირების ორ უმთავრეს ამოცანას. პირველი – პოლიცია უნდა ჩამოყალიბდეს როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია და მეორე – პოლიცია უნდა გახდეს ეფექტურად ფუნქციონირებადი ორგანიზაცია.

პირველი მიზნის მიღწევა პოლიციისათვის ნიშნავს ისეთი რეპრესიული ორგანიზაციის იმიჯისაგან განთავისუფლებას, რომელიც პოლიციას საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ჩამოუყალიბდა. ამ ტრადიციებით მუშაობდა ქართული პოლიცია დღემდე პოსტსაბჭოთა პერიოდშიც. სოციალური სიდუხჭირის ფონზე იგი უფრო და უფრო ძალმომრე და აგრესიულ ხასიათს იძენდა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად შეამცირა პოლიციის ნდობის ხარისხი საზოგადოებაში.

**პოლიციის რეფორმის უმთავრესი მიზანია, განხორციელდეს ტრანსფორმირება პოლიციის რეპრესიული ორგანოდან ისეთ ორგანიზაციად, რომელიც მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და დაცვის საიმედო გარანტი გახდება.** პოლიცია უწინარეს ყოვლისა უნდა გახდეს მოსახლეობის დამხმარე სტრუქტურა და იგი არ უნდა გაიგივდეს მხოლოდ იმ ორგანოდ, რომელიც დამნაშავეთა დევნას ახორციელებს.

**პოლიციის რეფორმის მეორე ძირითადი მიზანია პოლიციის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ეფექტურად მომუშავე ორგანიზაციის სახით ჩამოყალიბება.** ეს კი დამოკიდებულია სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტორზე.

პირველ რიგში აუცილებელია პოლიციის სისტემის ფარგლებში **ორგანიზაციული კულტურის** არსებობა. პოლიციის სისტემის თანამშრომელთა პროფესიონალიზმი, ინიციატივისა და თავდადების უნარი ხელს უწყობს ურთიერთთანადგომისა და ერთიანობის გრძნობის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ ამაღლებს თითოეულში ორგანიზაციული კულტურის დონეს.

სისტემის ეფექტური მუშაობა დამოკიდებულია ასევე დასახული მიზნის განსახორციელებლად **ფუნქციების რაციონალურ განაწილებაზე** და მათი შესრულებისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის ზუსტ განსაზღვრაზე. მნიშვნელოვანია, თითოეული სფეროს მენეჯმენტი ორიენტირებული იყოს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაზე და თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე.

პოლიციის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სწორ საკადრო პოლიტიკაზე და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაზე. აღნიშნულმა მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს თითოეული თანამშრომლის პროფესიული განვითარების კონტროლი, მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება ორგანიზაციის მიზნების მიღწევაში. ამისთვის აუცილებელია თანამშრომელთა პერიოდული წვრთნის და კვალიფიკაციის ამაღლების შესაბამისი მექანიზმის ამოქმედება.

პოლიციის რეფორმის ამ ორი უმთავრესი ამოცანიდან გამომდინარეობს პოლიციის სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები.

## 2. პოლიციის ფუნქცია

პირველ რიგში უნდა განისაზღვროს პოლიციის ფუნქცია, რათა პოლიციის სისტემის ფარგლებში შესაძლებელი გახდეს წმინდა პოლიციური ფუნქციების გამიჯვნა არაპოლიციური ფუნქციებისაგან.

პოლიციის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს დანაშაულის პრევენცია, ხოლო დანაშაულის არსებობის შემთხვევაში - მისი გახსნა და გამოძიება.

## 3. დანაშაულის პრევენცია

დანაშაულის პრევენცია ფართო გაგების ცნებაა, რომელიც წმინდა პროფილაქტიკურ ღონისძიებებთან ერთად უმთავრესად საზოგადოებაში შესაბამისი სოციალური პირობების შექმნასა და მოქალაქეებში პოლიციასთან თანამშრომლობის მოტივაციის გაზრდას ისახავს მიზნად.

ქვეყანაში უნდა არსებობდეს დანაშაულის პრევენციის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესების ძირითად მიმართულებებს, მოსახლეობასთან თანამშრომლობასა და განსაკუთრებით არასრულწლოვანებთან მუშაობის ასპექტებს. აღნიშნული პროგრამის განხორციელების საქმეში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას პოლიციამ ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

დანაშაულის პრევენციის მნიშვნელოვანი ელემენტია პოლიციის მოსახლეობასთან პირდაპირი საუბარი. პოლიცია კარგად უნდა იცნობდეს მის სამოქმედო ტერიტორიას, უნდა იცოდეს ამ ტერიტორიის მოსახლეობის პრობლემები და დანაშაულის გამომწვევი მიზეზები. პოლიციასა და საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობამ უნდა გააქარწყლოს დანაშაულის მიმართ მოქალაქეების შიში. სასურველია აღნიშნულ ურთიერთობებს მიეცეს ორგანიზებული ხასიათი და ადგილობრივ დონეზე შეიქმნას **პრევენციული (საზოგადოებრივი) საბჭოები,** სადაც გაწევრიანდებიან ადგილობრივი პოლიციის, თვითმართველობის ორგანოები, სკოლის, ეკლესიისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

დანაშაულის პრევენციის უფლებამოსილება პოლიციის სისტემის ფარგლებში ძირითადად საპატრულო პოლიციას გააჩნია. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული როლი ენიჭება საპატრულო პოლიციის უბნის ინსპექტორებს, რომლის მთავარი ამოცანაა თავის სამუშაო ტერიტორიაზე მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. მისი მოვალეობაა დანაშაულის პრევენციული ხასიათის ღონისძიებებში ჩართოს მის ტერიტორიაზე არსებული თვითმართველობის ორგანოები, სასწავლო დაწესებულებები, საზოგადოების ფართო წარმომადგენლები და ყველა დაინტერესებული პირი. ყოველივე ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ უბნის ინსპექტორი კარგად გაიცნობს თავის სამუშაო ტერიტორიას, გაერკვევა დანაშაულის გამომწვევ მიზეზებსა და გარემოებებში და აქტიურად ითანამშრომლებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან.

საპატრულო პოლიციის საქმიანობის ძირითადად პრევენციული ხასიათის ფუნქციებით განსაზღვრა არ ნიშნავს იმას, რომ იგი თავის საქმიანობაში საერთოდ გამორიცხავს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილებას. მკაცრი ზღვრის გავლება პოლიციის პრევენციულ და რეპრესიულ ფუნქციას შორის არ არის მიზანშეწონილი. შემთხვევის ადგილზე მოსულ საპატრულო პოლიციელს უნდა ჰქონდეს პირველადი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილება.

## 4. ცალკეული დანაშაულების აღკვეთა

მიზანშეწონილია, შემუშავდეს ცალკეული დანაშაულების აღკვეთის განსაკუთრებული ღონისძიებები. ლაპარაკია, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე, ორგანიზებულ და ჩვეულებრივი დანაშაულების სახეებზე.

საქართველოსათვის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულების ზრდა. ეს მძიმე სოციალური პირობებითაა განპირობებული. მარტო პოლიციის შესაძლებლობები ამ პრობლემის მოგვარებაში შეზღუდულია. აუცილებელია, ადგილობრივ ორგანოებთან ერთად პოლიციის აქტიურობა არასრულწლოვანთა თავისუფალი დროის რაციონალურად გატარების განსაზღვრის საქმეში. "ბირჟებისა" და დროის პასიურად გატარების სხვა მანკიერ ფორმებს უნდა დავუპირისპიროთ მიზანმიმართული პოლიტიკა, სპორტული ნაგებობების, სათამაშო მოედნების აშენებისა, თუ ახალგაზრდებისათვის საინტერესო ადგილების ორგანიზებით.

დღეისათვის მოზარდი ახალგაზრდობის აღზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მათი დაინტერესება – გატაცება ე. წ. ქურდული სამყაროთი და კრიმინალურ ავტორიტეტებით. მოზარდთა თაობაში შეინიშნება ქურდული ტრადიციების და "კანონიერი ქურდების" ცხოვრებისეული წესის იდეალიზება, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მათთვის არაჯანსაღი ფსიქიკის ჩამოყალიბებისას.

მოზარდთა სწორი აღზრდის თვალსაზრისით აუცილებელია გატარდეს პრევენციულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც გულისხმობს როგორც სასწავლო დაწესებულებების გააქტიურებას, ასევე სამაუწყებლო კომპანიების მიერ სპეციალური შემეცნებითი პროგრამების შექმნას.

არასრულწლოვანებთან ურთიერთობა ითხოვს სპეციალურ ცოდნასა და უნარს. ამიტომ პოლიციელთა მომზადების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათთან კომუნიკაციის მეთოდების შესწავლას.

საქართველოსთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა. ნარკო დანაშაულთან, ტრეფიკინგთან, ფულის გათეთრებასთან, კონტრაბანდასთან, კორუფციასთან და სხვა ორგანიზებულ დანაშაულის სახეებთან ბრძოლა პოლიციის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურების კოორდინირებული მუშაობა, სპეციალური ტექნიკური სამუშაოებისა და საექსპერტო სისტემის გაუმჯობესება, მოწმეებისა და პოლიციელების დაცვა პირადი მონაცემების შეცვლის გზით, შესაბამისი ნორმატიული ბაზის დახვეწა და პოლიციელთა სპეციალიზებული ტრეინინგი.

ნარკომანია ქვეყნის უდიდესი სენია, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა საზოგადოების ფართო სპექტრის აქტიურობას მოითხოვს. განსაკუთრებით მასმედიის აქტიურმა როლმა უნდა დანერგოს საზოგადოებაში უარყოფითი დამოკიდებულება ნარკომანიასთან მიმართებაში. ნარკომანიასთან ბრძოლა უნდა გახდეს აღზრდისა და განათლების მნიშვნელოვანი ელემენტი.

ზოგადად დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვანია ის, რომ აღზრდამ და განათლებამ უზრუნველყოს მოქალაქეებში სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა და დათმობის უნარ-ჩვევების დაუფლება. ამ მიზნით უნდა განხორციელდეს ფართომასშტაბიანი საგანმანათლებო კამპანია, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ არასამთავრობო ოგანიზაციებმა, საგანმანათლებო დაწესებულებებმა და მასმედიამ.

სისტემის რეალური **დეცენტრალიზაციის** უზრუნველსაყოფად ადგილობრივი ხელისუფლება უფრო აქტიურად უნდა ჩაება პოლიციის მუშაობის დაგეგმვაში. პოლიციის გარდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დანაშაულთან ბრძოლა უნდა გახდეს როგორც ადგილობრივი მმართველობის, ისე ოჯახის, სკოლის, ეკლესიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის და ყოველი ადამიანის მოვალეობა. ამიტომ, მათთან თანამშრომლობა პოლიციის დანაშაულთან ეფექტური ბრძოლის წინაპირობაა.

## 5. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

დღეისათვის საქართველოს ქალაქების გზებსა და ავტომაგისტრალებზე არსებულ არასახარბიელო მდგომარეობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად იღუპება 500 და სხეულის სხვადასხვა დაზიანებას ღებულობს 2800-მდე ადამიანი.

აღნიშნული მძიმე შედეგის ძირითადი მიზეზი საგზაო მოძრაობის წესების არ ცოდნა, მისი უგულებელყოფა ან ავტოპარკის ტექნიკური გაუმართაობაა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია, რომ საპატრულო პოლიციისა და თვითმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ გატარდეს ერთობლივი ღონისძიებები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა შემუშავდეს სპეციალური პროგრამა მოსწავლეთათვის საგზაო მოძრაობის წესების შესასწავლად.

ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში საპატრულო პოლიციის სამსახურებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოხდეს ყველა ქუჩისა და გზაჯვარედინის მოწესრიგება შესაბამისი საგზაო ნიშნებით და შუქნიშნებით. ასევე შესაძლებლობის ფარგლებში უნდა განხორციელდეს გზის საფარის შეკეთება.

ავტოსაგზაო შემთხვევათა მნიშვნელოვანი ნაწილი ავტოპარკის ტექნიკური გაუმართაობის შედეგია. ამ საკითხის მოწესრიგების ერთადერთ საშუალებას დღეისათვის ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება წარმოადგენს. აუცილებელია უახლოეს მომავალში საპატრულო პოლიციის შესაბამისმა დანაყოფმა განაახლოს ამ მიმართულებით მუშაობა.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ნორმატიული ბაზის მოწესრიგება წარმოადგენს. აუცილებელია შეიქმნას სათანადო წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტომანქანის მართვისას მძღოლისა და მგზავრის უსაფრთხოებას (მაგალითად უსაფრთხოების ღვედების გამოყენება, შუშების გამჭვირვალობა და ა.შ.). ასევე უნდა გამკაცრდეს ადმინისტრაციული სახდელები აღნიშნული წესების დარღვევისათვის.

საგზაო მოძრაობის მოწესრიგების საქმეში თავისი როლი უნდა შეასრულოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმაც, რაც გულისხმობს სპეციალური სარეკლამო რგოლების, მცირემეტრაჟიანი თემატური ფილმების ჩვენებას. მიზანშეწონილია საპატრულო პოლიციის მიერ მომზადდეს სპეციალური საინფორმაციო ბროშურა უსაფრთხო საგზაო მოძრაობის შესახებ.

## 6. დანაშაულის გამოძიება

დანაშაულის გამოძიების უფლებამოსილება პოლიციის სისტემის ფარგლებში ძირითადად კრიმინალურ პოლიციას უნდა გააჩნდეს. დღემდე საქართველოში არსებული კრიმინალური პოლიცია ძირითადად დანაშაულის ფაქტებზე ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებით არის დაკავებული. შსს სისტემის ფარგლებში დანაშაულის გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტი ახორციელებს. მოქმედი კრიმინალური პოლიცია საგამოძიებო მოქმედებას (მოკვლევას), მხოლოდ დროის უმოკლეს ფარგლებში ახორციელებს (24 საათის განმავლობაში თუ ეჭვმიტანილი დაკავებულია და 7 დღე-ღამე, თუ იგი დაკავებული არ არის).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმის სტრატეგია ითვალსწინებს მოკვლევისა და გამოძიების გაერთიანებას. იმისთვის, რომ ამაღლდეს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლომდე გამოკვლევის ხარისხი და ეფექტურად განხორციელდეს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ერთიანი კრიმინალური პოლიციის სტრუქტურა, რომელშიც გაერთიანდება ოპერატიული და საგამოძიებო ფუნქცია. კრიმინალური პოლიცია განახორციელებს, როგორც მომზადებაში მყოფი დანაშაულის აღკვეთას და თავიდან აცილებას, ასევე მომხდარ დანაშაულის გახსნას და მის სასამართლომდე გამოძიებას.

შესაბამისად, აუცილებელია საგამოძიებო ფუნქციები პროკურატურის ზედამხედველობის ქვეშ კრიმინალური პოლიციის ერთიანმა სამსახურმა განახორციელოს. თუ რა სახის დანაშაულთა გამოძიება იქნება შსს-ს კრიმინალური პოლიციის კომპეტენცია, ამას ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს. დღევანდელი სახით კრიმინალური პოლიციისა და საგამოძიებო დეპარტამენტის არსებობა აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით მიზანშეწონილი აღარ იქნება.

## 7. პოლიციური და არაპოლიციური ფუნქციების გამიჯვნა

პოლიციის კლასიკური ფუნქციების განსაზღვრამ შესაძლებლობა უნდა მოგვცეს, პოლიციის სისტემის ფარგლებში ერთმანეთისგან გავმიჯნოთ პოლიციური ფუნქციების განმახორციელებლი სამსახურები არაპოლიციური სამსახურებისგან. პოლიციური სამსახურები შსს სისტემაში ძირითადად საპატრულო და კრიმინალური პოლიციის სახით იქნება წარმოდგენილი. პოლიციური ფუნქციები ექნება ასევე საზღვრის დაცვის სამსახურს. სწორედ აღნიშნული პოლიციური სამსახურის ფარგლებში უნდა მოხდეს პოლიციელთა რანგირებისა და პროფესიული კარიერის სისტემის ჩამოყალიბება.

### 7.1. პოლიციის თანამშრომელთა წოდებების სისტემა

აქამდე არსებულ სამხედრო რანგირების სისტემაზე უარი უნდა ითქვას და მის მაგივრად უნდა ჩამოყალიბდეს წოდებების სისტემა, რომელიც თანამდებობის შესაბამისი იქნება. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის შესაძლოა შემოღებულ იქნეს პოლიციის კომისრის წოდება. კვალიფიკაციის და ნამსახურობის წელთა შესაბამისად შესაძლოა განისაზღვროს უფროსი და პირველი (მთავარი) კომისრის წოდებები. ასეთივე გრადაცია კვალიფიკაციის, გამოცდილების და სპეციალიზაციის მიხედვით, შესაძლოა, დადგინდეს კრიმინალური პოლიციის თანამშრომელთათვის. მაგ. კრიმინალური პოლიციის კომისარი, კრიმინალური პოლიციის უფროსი, კრიმინალური პოლიციის მთავარი კომისარი; ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ცენტრალური კრიმინალური პოლიციის კომისარი და. ა. შ. იგივე პრინციპი უნდა იქნეს გამოყენებული მესაზღვრე პოლიციელებისთვის.

წოდებების ჩამონათვალს უნდა შეიცავდეს "პოლიციის შესახებ" ახალი კანონი. წოდებებთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად რეგულირებულ უნდა იქნეს "პოლიციის ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ" კანონში.

### 7.2. პოლიციის თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესი

პოლიციის ორგანოებში კვალიფიციური კადრების მოსაზიდად და შერჩევის პროცედურის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სამსახურში მიღების პროცედურის განსაზღვრა. უნდა შემუშავდეს სამუშაოს აღწერილობები, დადგინდეს მოთხოვნები კვალიფიკაციის და გამოცდილების და სხვ. შესახებ, რომელიც პრეტენდენტს მოეთხოვება, ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია უნდა გავრცელდეს პრესის საშუალებით, ასევე უნდა განთავსდეს სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე. კონკურსის პირველი ეტაპი წერილობით შემოსულ განაცხადების და თანდართული დოკუმენტების განხილვას და შერჩევას უნდა დაეთმოს. ის კანდიდატები, რომელნიც ვაკანსიის მოთხოვნებს ყველაზე უკეთ აკმაყოფილებენ, დაბარებულ უნდა იქნენ გასაუბრებაზე. სამსახურში აყვანილ პირთა სია ასევე საჯარო უნდა იყოს და სამინისტროს შესაბამის განცხადებების დაფაზე უნდა გამოიკრას.

### 7.3. შეფასება და სამსახურებრივი კარიერა

მიზანშეწონილია, რომ ჩამოყალიბდეს პოლიციის თანამშრომლის საქმიანობის შეფასების სისტემა. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებრივი პოლიციის ფილოსოფია მომავალი პოლიციის მოდელის განუყოფელი ნაწილი იქნება, ნდობა საზოგადოების მხრიდან და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები პოლიციელის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმები უნდა იყოს.

უნდა შემუშავდეს პროფესიული შეფასების სისტემა. პოლიციის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება ის რუტინაა, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც, ასევე ამა თუ იმ პოსტზე თანამშრომლის დანიშვნის დროს უნდა ხდებოდეს.

პოლიციის თანამშრომელთა სისტემატური და სავალდებულო შეფასება დადგენილი ფორმატის შეფასების კითხვარის მიხედვით უნდა გახდეს პოლიციელთა მოტივაციის გაზრდის საფუძველი, რადგან მისი მონაცემების საფუძველზე (კანონით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან ერთად) შესაძლებელი უნდა იყოს სამსახურებრივი დაწინაურება და სხვადასხვა სახის (მადლობის გამოცხადება, ფულადი ჯილდო და სხვ) წახალისება.

აღნიშნული საკითხი ასევე დეტალურად უნდა განისაზღვროს "პოლიციის ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ" კანონში.

## 8. პოლიციის სტრუქტურა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ფარგლებში პოლიციური ფუნქციების განმახორციელებელი (საპატრულო და კრიმინალური პოლიცია) უნდა გაერთიანდეს ერთი დიდი პოლიციური დეპარტამენტის ფარგლებში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იქნება.

პოლიციის დეპარტამენტის უფროსი უნდა იყოს პროფესიონალი, უმაღლესი რანგის პოლიციელი. იგი უნდა დანიშნოს საქართველოს პრეზიდენტმა შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით 4 წლის ვადით. გარკვეული ვადით პოლიციის პირველი პირის დანიშვნა, პოლიციის სტაბილური განვითარების გარანტია იქნება. პოლიციის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიციის დეპარტამენტს უნდა გააჩნდეს ასევე საკუთარი ბიუჯეტის ავტონომიური განკარგვის უფლებამოსილება.

მნიშვნელოვანია მოხდეს პოლიციის სტრუქტურის მართვის დონეების დიფერენციაცია.

მიზანშეწონილია, შეიქმნას პოლიციის სტრუქტურის მართვის სამი საფეხური (დონე). ესენია: პოლიციის სტრუქტურის მართვის სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული ანუ საშემსრულებლო დონე.

პოლიციის მართვის სტრატეგიულ დონეზე მდებარეობს შინაგან საქმეთა სამინსტრო, უშუალოდ მინისტრი, რომელიც სამოქალაქო პირია და პოლიციის დეპარტამენტის უფროსი, რომელიც პროფესიონალი პოლიციელია. მინისტრის მიერ განისაზღვრება პოლიციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, პოლიციის მუშაობის დაგეგმვა, შეიმუშავებს პრიორიტეტებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისა და დამნაშავესთან ბრძოლის საქმეში, რომლის საფუძველზეც პოლიციის დეპარტამენტი განსაზღვრავს პოლიციის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტებს. სტრატეგიულ დონეზე ხდება ასევე პოლიციის სამართლებრივი, საბიუჯეტო და ადმინისტრაციული საქმიანობის უზრუნველყოფა.

პოლიციის მართვის ტაქტიკურ დონეზე მდებარეობს პოლიციის დეპარტამენტი და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე პოლიციის სტრუქტურები, რომლებიც ასრულებენ სპეციფიკურ პოლიციურ ფუნქციას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ტექნიკური მართვის დონემ უნდა უზრუნველყოს ქვედაოპერატიული მართვის დონისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და მართვა, ასევე იგი წარმოადგენს სტრატეგიული და ოპერატიული მართვის დონეებს შორის აუცილებელ რგოლს, რომელიც ამუშავებს იმ ხერხებსა და მეთოდებს, რომელიც სტრატეგიული მართვის დონეზე მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების ოპერატიულ დონეზე განხორციელებას სჭირდება.

პოლიციის ოპერატიული მართვის დონეზე ხდება კონკრეტული პოლიციური ფუნქციების შესრულება და ხელმძღვანელობა. ლაპარაკია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, დანაშაულის პრევენციასა და გამოძიებაზე, რომელსაც საპატრულო და კრიმინალური პოლიცია ასრულებს რაიონული პოლიციის სტრუქტურის ფარგლებში.

### 8.1. პოლიციის მართვის დონეების სტრუქტურა

პოლიციის მართვის დონეები მიიღებს შემდეგ სტრუქტურულ სახეს.

#### 8.1.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატი:

აპარატის უფროსი;
განვითარებისა და რეფორმების ბიურო,
რეგიონული და განვითარების განყოფილება;
შიდა კონტროლის სამსახური;
იურიდიული სამსახური;
კადრების განყოფილება;
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
საინფორმაციო ანალიტიკური სამსახური;
საერთაშორისო ურთიერთობისა და ევროსტრუქტურებთან ინტეგრაციის სამსახური;
ინფოტექნოლოგიისა და კავშირგაბმულობის განყოფილება;
ლოგისტიკა;
ჯანდაცვის სამსახური;
კანცელარია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კოორდინაციას გაუწევს და მუშაობის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს განუსაზღვრავს, როგორც პოლიციის დეპარტამენტს, ასევე უშიშროების სამსახურს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტსა და შსს აკადემიას. აღნიშნული სამსახურების ხელმძღვანელ პირთა დანიშვნის წესი და ბიუჯეტის ავტონომიური განკარგვის უფლებამოსილება, პოლიციის უფროსის დანიშვნისა და ბიუჯეტის განკარგვის წესის ანალოგიური უნდა იყოს.

პოლიციის მართვის ტაქტიკურ დონეზე მდებარეობს პოლიციის დეპარტამენტი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე პოლიციის სტრუქტურები, რომლებიც ასრულებენ სპეციფიკურ პოლიციურ ფუნქციას რეგიონალური საზღვრების გარეშე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ესენია: ცენტრალური კრიმინალური და ცენტრალური საპატრულო პოლიცია. რეგიონებში პოლიციის მართვის ტექნიკურ დონეზე მდებარეობს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო (სასურველია მომავალში სახელწოდების შეცვლა) და რეგიონის სამხარეო პოლიციები. მათ არ უნდა გააჩნდეთ უშუალო პოლიციური ფუნქციების აღსრულების უფლებამოსილება, არამედ უნდა ჰქონდეთ მხოლოდ ქვედა საშემსრულებო რგოლის მართვის უფლებამოსილება.

პოლიციის დეპარტამენტი კოორდინაციას გაუწევს და მუშაობის სტრატეგიულ მიმართულებებს განუსაზღვრავს ცენტრალურ კრიმინალურ და ცენტრალურ საპატრულო პოლიციას, თბილისის მთავარ სამმართველოს და ასევე სამხარეო პოლიციის მთავარ სამმართველოებს.

#### 8.1.2. პოლიციის დეპარტამენტის აპარატი:

-აპარატის უფროსი;
-განვითარებისა და რეფორმების ბიურო;
-კადრების განყოფილება;
-საფინანსო განყოფილება;
-იურიდიული განყოფილება;
-ლოგისტიკა;
-საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
-შიდა კონტროლის სამსახური;
-საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილება;
-კანცელარია.

#### 8.1.3. ცენტრალური კრიმინალური პოლიცია

ცენტრალური კრიმინალური პოლიცია კოორდინაციას გაუწევს კრიმინალური პოლიციის მუშაობას მთელი ქვეყნის მასშტაბით და ამასთან ერთად განახორციელებს უშუალოდ სპეციფიკურ პოლიციურ ფუნქციებს (გარკვეული სახის დანაშაულთა გამოძიება) ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

*ცენტრალური კრიმინალური პოლიციის სტრუქტურული ერთეულები იქნება:*

-საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება (კოორდინაციის განყოფილება);
- ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილება;
-კორუფციასთან ბრძოლის განყოფილება;
-ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის განყოფილება;
-ოპერატიული დაზვერვისა და სპეციალური ტექნიკის განყოფილება;
-ოპერატიულ-ტექნიკური რაზმი;
-ინტერპოლის ეროვნული ბიურო;
-კადრების განყოფილება;
-საფინანსო განყოფილება;
-ლოგისტიკა;
-საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
-კანცელარია.

#### 8.1.4. ცენტრალური საპატრულო პოლიცია

ცენტრალური საპატრულო პოლიცია კოორდინაციას და კონტროლს უწევს საპატრულო პოლიციას მთელი ქვეყნის მასშტაბით და ამასთან განახორციელებს უშუალოდ პოლიციურ ფუნქციებს ცენტრალურ ავტომაგისტრალებზე (საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა) და მასობრივი თავშეყრის ადგილებში (საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა).

*ცენტრალური საპატრულო პოლიციის სტრუქტურული ერთეულები იქნება:*

-საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება (კოორდინაციის განყოფილება);
-ცენტრალური ავტომაგისტრალების განყოფილება;
-სპეციალური დანიშნულების რაზმი;
-ნებართვების, ლიცენზიებისა და რეგისტრაციის ბიურო;
-კანცელარია.

#### 8.1.5. სამხარეო პოლიცია

რეგიონებში სამხარეო პოლიცია გაუწევს კოორდინაციას და კონტროლს რაიონული პოლიციების მუშაობას. სამხარეო პოლიცია უშუალოდ არ შეასრულებს პოლიციურ ფუნქციებს.

*სამხარეო პოლიციის სტრუქტურული დანაყოფები იქნება:*

-საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო;
-საპატრულო პოლიციის განყოფილება (კოორდინაციის განყოფილება);
-კრიმინალური პოლიციის განყოფილება (კოორდინაციის განყოფილება);
-კადრების განყოფილება;
-ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება.

#### 8.1.6. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო კოორდინაციას და კონტროლს უწევს თბილისის რაიონულ პოლიციებს. მათ შორის შუა რგოლის არსებობა (როგორც ეს დღესაა რაიონული პოლიციის მთავარი სამმართველოების სახით) მიზანშეწონილი არ არის. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო არ შეასრულებს უშუალო პოლიციურ ფუნქციებს. ეს ფუნქცია პოლიციის სტრუქტურაში ძირითადად მართვის საშემსრულებლო დონეზე, რაიონული პოლიციების მიერ უნდა სრულდებოდეს.

*თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს სტრუქტურული ერთეულები იქნება:*

-საკორდინაციო ბიურო;
-საპატრულო პოლიციის განყოფილება (საკორდინაციო);
-კრიმინალური პოლიციის განყოფილება (საკორდინაციო);
-კადრების განყოფილება;
-ფინანსური და მეტერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება;
-საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
-კანცელარია.

#### 8.1.7. რაიონული პოლიცია

ოპერატიულ ანუ საშემსრულებლო დონეზე რაიონულ პოლიციებს ექნებათ უფლებამოსილება, უშუალოდ განახორციელონ პოლიციური ფუნქციები, კერძოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის გახსნა და გამოძიება. ამიტომ, პოლიციის (საპატრულო და კრიმინალური პოლიცია) პირადი შემადგენლობის 70-80 პროცენტი სწორედ რაიონულ პოლიციებში უნდა იყოს დასაქმებული. მნიშვნელოვანია ასევე, პოლიციის როგორც ერთიანი სტრუქტურის ინტერესებიდან გამომდინარე, მისი ძირითადი დანაყოფების (საპატრულო და კრიმინალური) ხელმძღვანელობა და კოორდინაცია განახორციელოს ერთმა პირმა, რაიონული პოლიციის უფროსმა.

*რაიონული პოლიციის სტრუქტურული დანაყოფები იქნება:*

-სამორიგეო ნაწილი;
-საპატრულო პოლიციის ბიურო;
-კრიმინალური პოლიციის ბიურო;
-კანცელარია.

რაიონული პოლიციის დონეზე შემოღებული იქნება უბნის რწმუნებულის ინსტიტუტი. უბნის რწმუნებული იქნება საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, რომელსაც განესაზღვრება სამოქმედო ტერიტორია. უბნის რწმუნებული მოსახლეობასთან განსაკუთრებით დაახლოებული პოლიციის თანამშრომელი უნდა იყოს. სწორედ ამიტომ მან შესაბამისი მომზადება უნდა გაიაროს კომუნიკაციის უნარ-ჩვევების დასახვეწად. უბნის ინსპექტორი განსაკუთრებული ნდობით უნდა სარგებლობდეს მის სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფ მოსახლეობას შორის. დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, რომ მან შეძლოს მოსახლეობასთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება. ამიტომ უბნის ინსპექტორი, პოლიციის ის თანამშრომელია, რომელმაც რეალურად ოპერატიულ დონეზე უნდა განახორციელოს საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის პრინციპები.

დასასრული შემდეგ ნომერში

დაბოლილი ამერიკელი ბულბულები



B2

სამი ქულისთვის ჩამოვიდნენ



B4

„ფიატი“ ძველ მოდელებს აცოცხლებს



B6

# ღია მიმართვა სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებს

## სამედიცინო განათლების მესვეურთ და საქართველოს სამედიცინო საზოგადოებას

გიორგი ჭაქარიშვილი
*ექიმი (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი (ბოსტონის უნივერსიტეტი), სოციალური პოლიტიკის დოქტორანტი (ოქსფორდის უნივერსიტეტი)*

პირველ რიგში, ბოდიშს ვიხდი ხმამაღალი სათაურისთვის. სრულიად ვიზიარებ იმას, რომ ჩემთვის გადაჭარბებული კადნიერებაა, პრესის საშუალებით მივმართო ათასობით კოლეგას, რადგან ამ უფლებას შესაბამისი დამსახურება სჭირდება. როგორც საქართველოს გარეთ მცხოვრები ამ ქვეყნის მოქალაქე, მაქსიმალურად ვცდილობ, ინფორმირებული ვიყო საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ამავე დროს, არავითარ შემთხვევაში გამართლებულად არ მივიჩნევ და, მით უმეტეს, ჩემს ფუნქციად არ აღვიქვამ, შორი მანძილიდან რჩევების გამოგზავნას, ან ცალკეულ მოვლენათა მიმართ კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმას. მაგრამ არის პრობლემათა ისეთი კატეგორია, რომელთა არსებობის შემთხვევაში არა მხოლოდ ზოგად-მოქალაქეობრივი, არამედ პროფესიული მოვალეობაც გვაიძულებს საკუთარი აზრის გამოხატვას. ეს წერილიც სწორედ ამ მოსაზრებით იწერება და გულწრფელი იმედი მაქვს, რომ მას არ მიეცემა არც "სხვა სხვის ომში ბრძენია"-ს ინტერპრეტაცია, და არც ვინმეს წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკად ჩაითვლება.

იმ უპრეცედენტო პოლიტიკური, ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი დინამიზმის გარემოშიც კი, რომელშიც ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა ცხოვრობს, ბოლო დღეებში განვითარებული დაძაბულობა, სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებსა და ხელისუფლებას შორის არსებული უთანხმოების გამო, განსაკუთრებით გამორჩეულია. მისი განსაკუთრებულობა განპირობებულია არა იმდენად ამ დაპირისპირების კონკრეტული მიზეზით, ან თუნდაც არსებული კრიზისის სიმწვავის ხარისხით (თუმცა, თვით ფაქტი თინეიჯერების მასობრივი საპროტესტო შიმშილობისა ნებისმიერ მოვლენას განსაკუთრებულობის რეიტინგს ანიჭებს), არამედ პირველ რიგში იმით, რომ ეს კრიზისი ზედაპირული და ხილული სიმპტომია იმ ღრმად ფესვგამდგარი პრობლემისა, რომელიც საქართველოს სამედიცინო განათლების სისტემაში წლების მანძილზე ყალიბდებოდა. შესაბამისად, ამჟამინდელი კრიზისის მართვის ის ფორმაც, რომელიც ამ დღეებში გამოიყენება არსებული საპროტესტო აქციის მიმართ, ანალოგიურად სიმპტომატურია იმ ძალისხმევისა, რომელიც მთელი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში გამოიყენებოდა სამედიცინო საგანმანათლებლო სისტემის გასაუმჯობესებლად.

ამ მხრივ, ყურადღებას იმსახურებს ის, თუ რა რეაქციას იწვევს არასრულწლოვანი ასაკის ბავშვების უკიდურესი პროტესტი პოლიტიკური ელიტის, სამედიცინო საზოგადოების, აკადემიური წრეების, მშობლების თუ ზოგადად უფროსი თაობის მხრიდან. ეს რეაქცია პირობითად შეიძლება ხუთ ჯგუფად დაიყოს: საზოგადოების ერთი ნაწილი (მათ შორის ხელისუფლებაც) პასიური მრჩევლის როლით კმაყოფილდება და ურჩევს სტუდენტებს, შეწყვიტონ შიმშილობა, თუმცა ამის სანაცვლოდ ვერ სთავაზობს მათ რაიმე ქმედით ალტერნატივას მათი ინტერესების დასაკმაყოფილებლად; უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობა წინააღმდეგია საგანმანათლებლო სისტემის რეფორმისა, თანაუგრძნობს სტუდენტებს და კონფლიქტში მოდის ხელისუფლებასთან, მაგრამ ასევე ვერ ახერხებს რაიმე ქმედითის განხორციელებას არსებული პრობლემის გადასაჭრელად; პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილი სოლიდარობას უცხადებს მოშიმშილეებს და ცდილობს საკუთარი პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებას ოპონენტთა დისკრედიტაციის ხარჯზე; სამედიცინო საზოგადოება საერთოდ იგნორირებს პრობლემას და განზე დგომის პოზიციას ირჩევს; დაბოლოს, მშობლების და ოჯახის წევრთა არმია აქტიურად გულშემატკივრობს ახალგაზრდებს და ყველა ძალით ცდილობს საკუთარი მიზნის მიღწევას - ე.ი. შვილის, შვილიშვილის თუ დისშვილის პრესტიჟულ პროფესიასთან ზიარებას.

ანუ იქმნება შთაბეჭდილება, რომ უფროსი თაობის ერთი ნაწილი უძლურია, დაეხმაროს ახალგაზრდებს გამოსავლის მოძებნაში, ან საერთოდ თავს არ იწუხებს, ან მხოლოდ დიდაქტიკური მოძღვრებით შემოიფარგლება; მეორე ნაწილი კი ცდილობს, საკუთარი პრაგმატული სარგებელი მოძებნოს არსებულ კრიზისულ მდგომარეობაში. ამ დროს კი, კრიზისის ყოველი დღე არა მარტო პროტესტანტთა ამ კონკრეტულ ჯგუფში, არამედ მთლიანად ამ თაობაში დაძაბულობის, მომავლისადმი უნდობლობის და გაურკვევლობის სინდრომს აძლიერებს. ჩემი აზრით, ზოგადად უფროს თაობას და არა კერძოდ მის რომელიმე ნაწილს, უფრო მეტი პასუხისმგებლობის აღება ჰმართებს, და არსებული კრიზისის დაძლევა, უპირველეს ყოვლისა, მის ამოცანას წარმოადგენს. კრიზისის დაძლევის ეფექტურ საშუალებად არა აქციის მონაწილეთა პასიური დამოძღვრა, და მით უმეტეს არა წაქეზება, არამედ მათთან კონსტრუქციული საუბრის გამართვა მიმაჩნია. განსაკუთრებით კი მათთვის იმგვარი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც, შესაძლოა, ობიექტური მიზეზების გამო არ ჰქონდეთ, და რომლის მიღებაც შეიძლება დაეხმაროთ საკუთარი მიზნების თუ ამ მიზნების განხორციელების ტაქტიკის გადახედვაში.

თავს უფლებას მივცემ, აქციის მონაწილეებს მივმართო, როგორც იმ თაობის წარმომადგენელმა, რომელმაც არცთუ დიდი ხნის წინ, თვითონ გაიარა ის გზა, რომელი გზის გავლის უფლების მოსაპოვებლადაც დღევანდელი აქციის მონაწილენი პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავენ.

ოთხმოციანი წლების ბოლოს, როდესაც ჩემი თაობა დაახლოებით დღევანდელი აქციის მონაწილეთა ასაკის იყო, საქართველოში განვითარებულმა რევოლუციურმა მოვლენებმა საზოგადოებას, პრაქტიკულად პირველად, საშუალება მისცა, აქტიურად ამოქმედებულიყო საკუთარი ინტერესების დასაცავად. ამგვარ თავისუფლებას, რომელიც ჯერ არ იყო დაბალანსებული საზოგადოების მხრიდან შესაბამისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობით, ლოგიკურად მოჰყვა საზოგადოების წევრთა თუ გარკვეულ ჯგუფთა მიერ საკუთარი სუბიექტური ინტერესების დაკმაყოფილების მცდელობები. სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება მაშინ არანაკლებ პრესტიჟულად ითვლებოდა, ვიდრე ახლა (ალბათ, მაშინ უფრო მეტად პრესტიჟულიც კი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ ერთი ამგვარი უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა). 1988-1989 წლებში, აბიტურიენტების დიდმა ნაწილმა, ისარგებლა რა იმჟამინდელი ხელისუფლების კატასტროფული სისუსტით, პროტესტის სხვადასხვა ფორმით მიაღწია იმას, რომ უკლებლივ ყველა მათგანი, მიუხედავად მისაღებ გამოცდებზე ნაჩვენები შედეგებისა, ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტში. ბუნებრივია, მე არ ვადარებ დღევანდელი აქციის მონაწილეთა და იმდროინდელ აბიტურიენტთა ქმედებებს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დღევანდელ აქციას გარკვეული იურიდიული ლოგიკა გააჩნია. თუმცა, მაშინდელი და დღევანდელი მიზნის მიღწევის როგორც საშუალებები (პროტესტი, შიმშილობა) და თვით მიზანიც (სამედიცინო განათლების მიღება) სავსებით ანალოგიურია. სამწუხარო რეალობა კი ის არის, რომ მაშინდელი პროტესტის შედეგად ჩარიცხული აბიტურიენტების დიდი უმრავლესობა (სულ მცირე, ალბათ, ნახევარი მაინც), მიზნის მისაღწევად თავდადებული ძალისხმევის გაღების და შესაბამისი წარმატების მიღწევის შემდეგაც კი, დღეს ექიმი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მათ დაამთავრეს სამედიცინო ინსტიტუტი და მიიღეს ექიმის დიპლომი. უფრო მეტიც, ერთადერთი რამ, რასაც მათ მიაღწიეს აქტიური და ხანგრძლივი პროტესტის შედეგად, აღმოჩნდა ის, რომ მათ დაკარგეს ცხოვრების საუკეთესო, ყველაზე პროდუქტიული ექვსი წელი მხოლოდ იმისთვის, რომ არ შეეძინათ პროფესია. დაკარგეს დრო, რომლის სხვაგვარად გამოყენება ალბათ მათთვისვე უფრო ეფექტური აღმოჩნდებოდა. დროის დაკარგვის გარდა მათ დაკარგეს მნიშვნელოვანი მატერიალური რესურსები, და რაც ყველაზე მთვარია, დაკარგეს შანსი იმისა, რომ დამოუკიდებლად გაეკეთებინათ საკუთარი პროფესიული არჩევანი. სამწუხაროდ, მეჩვენება, რომ დღევანდელი აქციის მონაწილენიც, ანალოგიური შეცდომის მსხვერპლნი შეიძლება აღმოჩნდნენ, მაგრამ ამის გაცნობიერებას მხოლოდ გვიან მოახერხებენ.

ზემოთ შემთხვევით არ აღმინიშნავს, რომ დღევანდელი საპროტესტო აქცია, ისევე როგორც 80-იანი წლების აქციები, უფრო აქციის მონაწილეთა ოჯახების უფროს წევრთა მიზნებს ემსახურება, ვიდრე თვით ამ ახალგაზრდების გააზრებულ გადაწყვეტილებას საკუთარი პროფესიული ცხოვრების დაგეგმვის თაობაზე. 16-17 წლის ასაკში, ცხოვრებისეული გამოცდილების უქონლობის და პროფესიის შესახებ ელემენტარული არაინფორმირებულობის გამო, ადამიანი, უბრალოდ, მზად არ არის სწორი, გააზრებული გადაწყვეტილება მიიღოს საკუთარი პროფესიული არჩევანის შესახებ. ეს ასაკი პიროვნების განვითარების ის ეტაპია, როდესაც ხდება ინტელექტუალური, ფიზიკური, სულიერი და საზოგადოებრივი კაპიტალის დაგროვება. იმ თვალსაწიერის ჩამოყალიბება, იმ ინტერესთა დახვეწა და საკუთარ თავში იმ უნარ-ჩვევების აღმოჩენა, რომელთა გათვალისწინების გარეშე პროფესიული არჩევანის დამოუკიდებლად გაკეთება ან შეუძლებელია, ან, უმეტეს შემთხვევაში, განწირულია შეცდომის დასაშვებად. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო სისტემის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს პიროვნების მრავალხმრივი განვითარებისადმი ხელშეწყობა და ახალგაზრდისთვის ფართო არჩევანის მიცემა საკუთარი ინტერესების შესაბამისი პროფესიის შერჩევისთვის. ამიტომ, ვფიქრობ, თვით გადაწყვეტილება სამედიცინო კოლეჯის შექმნის შესახებ, რომელიც ახალგაზრდას აიძულებს, საშუალო სკოლის დამთავრებამდე გააკეთოს პროფესიული არჩევანი, და შესაბამისად ვიწრო ჩარჩოებში აქცევს მას გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, ალბათ, თავისთავად არაწორი იდეა იყო. მაგრამ, ასე თუ ისე, კოლეჯი ფუნქციონირებს, და აშკარაა, რომ მისი არსებობა დღეს უფრო პრობლემურია, ვიდრე სასარგებლო. თუმცა, ეს საკითხი განათლების დარგის პროფესიონალთა განხილვის პრეროგატივაა და მისი ანალიზი ამ წერილის მიზანს არ წარმოადგენს.

და მაინც, რა პოტენციურ საბოლოო გამოსავალს უნდა ელოდებოდნენ აქციის მონაწილენი იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება? ბუნებრივია, სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვა მათ საბოლოო მიზანს არ წარმოადგენს. საბოლოო მიზანი ექიმის პროფესიის შეძენა და ამავე პროფესიით მუშაობაა. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ დღეს საქართველოში ყოველ დაკავებულ საავადმყოფო საწოლზე საშუალოდ 3-8 ექიმი მოდის, რამდენად დიდია შანსი, რომ მათი პროფესიული არჩევანი პრაგმატულად სწორია? იმის გათვალისწინებით, რომ ექიმის საშუალო ხელფასი ხშირად ოფიციალურად დადგენილ სიღარიბის ზღვარს არ სცილდება, რამდენად დიდია შანსი, რომ ისინი აღნიშნულ პროფესიაში დარჩებიან? იქნებ ღირდეს, საკუთარი ინტერესების გამო, და წინა თაობის მიერ მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მიზნების გადახედვაზე დაფიქრება?

ცალკე საკითხია იმ სამედიცინო განათლების ხარისხი, რომლის მიღებისკენაც აქციის მონაწილენი ესოდენ აქტიურად მიისწრაფვიან. მე არ მსურს, კრიტიკული ვიყო სამედიცინო უნივერსიტეტის მიმართ, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის პირადად ჩემი, და ასევე ჩემი ოჯახის უმეტეს წევრთა ალმა-მატერია, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი, დღევანდელ აბიტურიენტებს საკუთარი გამოცდილება გავუზიარო. ჩემი თაობის სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში საგანმანათლებლო პროცესი კატასტროფულად არაეფექტური იყო. საკმარისია ითქვას, რომ სტუდენტობის მთელი პერიოდის განმავლობაში, რიგითი სტუდენტი ალბათ მხოლოდ ათამდე პაციენტს თუ ატარებდა სრულყოფილად. და ეს მაშინ, როცა საუნივერსიტეტო, თუ ქალაქის კლინიკებში საწოლთა ფონდის დაკავებულობის კოეფიციენტი 80 პროცენტამდე იყო. დღეს, როცა საწოლთა ფონდი თითქმის განახევრებულია, დაკავებულობის კოეფიციენტი 30 პროცენტს არ აღემატება, და სტუდენტთა რაოდენობა სულ მცირე გასამმაგებულია, რა არის სრულყოფილი კლინიკური განათლების მიღების ალბათობა? ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ დღევანდელი სამედიცინო აბიტურიენტი ხვალ უნდა შეუერთდეს ქართველ ექიმთა იმ უზარმაზარ არმიას, რომელიც რაოდენობრივად 60-მილიონიანი ქვეყნის მოსახლეობას დააკმაყოფილებდა, ხოლო ხარისხობრივად ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს?

კლინიკური მედიცინა საკმაოდ დინამიკური დარგია. ცნობილია, რომ სამედიცინო კლინიკური ინფორმაციის საშუალოდ 20 პროცენტი, რომელსაც რიგითი ექიმი ფლობს, ყოველი 5 წლის განმავლობაში გამოუსადეგარი ხდება იმის გათვალისწინებით, რომ ან ახალი და უფრო ეფექტური სადიაგნოსტიკო თუ სამკურნალო მეთოდები ინერგება, ან მნიშვნელოვანი რაოდენობით იმგვარი სტატისტიკური მასალა გროვდება, რაც ზოგიერთი არსებული მეთოდის უკუეფექტებზე მიუთითებს, და შესაბამისად მათი პრაქტიკიდან ამოღებას მოითხოვს. ამდენად მედიცინაში, უფრო მეტად ვიდრე ნებისმიერ სხვა პროფესიაში, აუცილებელია ცოდნის მუდმივი განახლება და მომავალი პროფესიონალებისადმი უახლესი, თანამედროვე ცოდნის გადაცემა. მაგრამ, რა ინტენსივობით ხდებოდა უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში კლინიკური ცოდნის განახლება საქართველოში? ცოდნის განახლების ორი ძირითადი წყარო ტექნიკური ლიტერატურის მუდმივი გაცნობა და სამეცნიერო შეხვედრებში მონაწილეობაა. სამწუხაროდ, ქართული სამედიცინო საზოგადოების ხელმისაწვდომობა ამ წყაროთა მიმართ საკმაოდ შეზღუდულია ენობრივი ბარიერის თუ ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო. ეს ფაქტორი, უმაღლესი სამედიცინო განათლების დაბალ ხარისხთან ერთად, ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ პროფესიული კომპეტენციის თვალსაზრისით, დღევანდელი რიგითი ქართველი ექიმი, რბილად რომ ვთქვათ, სუსტია. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზია ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა სამედიცინო განათლების სფეროში, რაც ხელს უწყობს მედიცინის, როგორც დარგის ფრაგმენტირებას. ამ პირობებში სამედიცინო პროფესია იქცა ხელობად, სადაც ექიმისთვის პირველ პლანზე გამოდის ცალკეული სადიაგნოსტიკო თუ სამკურნალო მეთოდების ათვისება და მათი პრაქტიკა ეკონომიკური სარგებელის გამორჩენის მიზნით. დაიკარგა კლინიკური აზროვნების კულტურა, დაიკარგა მედიცინაში აკადემიზმის მნიშვნელობა. დაიკარგა დაავადების როგორც მრავალმხრივი, კომპლექსური მოვლენის განხილვა. ეს ყველაფერი არა მხოლოდ პროფესიული, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემებია, რადგან მათი არსებობა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსზე.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ თითქმის ყველა მკითხველი შეძლებს არაერთი მაგალითის დასახელებას, როცა საკუთარ, ან ნაცნობის ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი განუცდია უხარისხო სამედიცინო დახმარების მიღების გამო. ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში, მარტო მე ათამდე ასეთი შემთხვევა შემიძლია დავასახელო, რომელთაგან რამდენიმე მათგანი, სამწუხაროდ, ტრაგიკულად დასრულდა. ამ ფონზე შემცირდა ექიმისადმი ნდობის ხარისხი. იმ ოჯახებში, რომლებსაც მეტ-ნაკლებად რაიმე ფინანსური საშუალება გააჩნია, ოჯახის წევრის სერიოზული ავადმყოფობის შემთხვევაში უპირველესი რეაქცია უცხოეთის კლინიკების მოძიებაა. ჩვეულებრივ ამბად იქცა, როცა პრესის თუ ტელევიზიის საშუალებით საზოგადოება პერიოდულად იღებს ინფორმაციას საქართველოს მედიცინის მუშაკთა "მსოფლიო მასშტაბის სენსაციური მიღწევების" შესახებ, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა სინამდვილეში სრული პროფანაციაა, და მათი ავტორების თავდაჯერებული ლოგიკა ეფუძნება არა კლინიკურ-ეპიდემიოლოგიურ კვლევათა შედეგებს, არამედ "საკუთარ გამოცდილებას" პაციენტთა შეზღუდულ რაოდენობასთან მუშაობისას. ეს ყველაფერი მწარე სიმართლეა, მაგრამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, სულ ნაკლები, ამ სიმართლის აღიარებაა საჭირო. გარდა ამისა მსურს, იმ ახალგაზრდებს, რომლებიც დახურული კარის გამტვრევას ცდილობენ, დავანახო ის შესაძლო იმედგაცრუება, რაც მათ ელოდებათ კარს მიღმა არსებული რეალური სურათის ნახვის შემდეგ.

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ მრავლად დაშვებულ შეცდომათა შედეგებს, სამწუხაროდ, ხანგრძლივი მოქმედება ახასიათებს, რომელთა ზეგავლენას ქვეყნის მოსახლეობა დღესაც განიცდის. ერთ-ერთი ამგვარი სერიოზული შეცდომა სამედიცინო უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის არაორგანიზებულობა იყო, რის შედეგადაც განუზომელი რაოდენობის კერძო სამედიცინო უმაღლესი სასწავლებელი დაარსდა. დღეს ამ შეცდომის ყველაზე თვალშისაცემი შედეგი საეჭვო კომპეტენციის ექიმთა სიჭარბეა. დღევანდელი ხელისუფლება შეეცადა არსებული პრობლემის მოგვარებას უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა მკაცრი ლიცენზირება-აკრედიტაციის საშუალებით. ეს თავისთავად მისასალმებელი ინიციატივაა, მაგრამ, სამწუხაროდ, უმაღლესი სამედიცინო განათლების ხარისხის შეფასების კრიტერიუმებად გამოყენებულ იქნა მხოლოდ რესურსების შეფასება ე.წ. "შესავლის ინდიკატორების" საშუალებით, ისეთების, როგორიცაა სასწავლო დაწესებულების ინფრასტრუქტურა, პედკოლექტივის სამეცნიერო ხარისხები და ასე შემდეგ. ეს კრიტერიუმები შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო, როგორც კომპლექსური შეფასების კომპონენტები, მაგრამ მხოლოდ მათზე დაყრდნობით, ბუნებრივია, ვერ მოხერხდებოდა სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლის ხარისხოვნების სრულფასოვანი დადგენა. მათთან ერთად აუცილებელი იყო ე.წ. პროცესის და გამოსავლის ინდიკატორების გამოყენებაც, ანუ საფუძვლიანად გადასახედია სასწავლო პროგრამები და, რაც მთავარია, შესაფასებელია კურსდამთავრებულთა კომპეტენცია, არა მარტო ბაზისური და კლინიკური დისციპლინების თვალსაზრისით, არამედ შრომის კულტურის და კლინიკური უნარ-ჩვევების თვალსაზრისითაც. ამისათვის, ალბათ, სასარგებლო იქნებოდა სალიცენზიო პროცესში სამედიცინო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა, რაც, ჩემი აზრით, არასაკმარისად განხორციელდა.

ასევე არასაკმარისად მეჩვენა სამედიცინო საზოგადოების მონაწილეობა უმაღლესი განათლების კანონის შემუშავების პროცესში. ვფიქრობ, ნებისმიერი საღად მოაზროვნე ექიმი ვერ დაეთანხმება კანონის იმ მუხლს, რომლის მიხედვითაც ყველა უმაღლესი სასწავლებლის ცალკეულ ფაკულტეტს სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება ეძლევა. ეს კანონი აუცილებლად ხელს შეუწყობს ქართველი ფსევდო-დოქტორების, პროფესორების და აკადემიკოსების სიმრავლეს, რაც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირპროპორციულად დააკნინებს პროფესიული კომპეტენციის დონეს.

რამდენადაც სარისკო არ უნდა იყოს ამის თქმა, თავს უფლებას მივცემ, გამოვთქვა ვარაუდი, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში შეიმჩნევა ერთგვარი ტენდენცია, რომლის შედეგადაც ყალიბდება სამედიცინო საზოგადოების ერთგვარი რეგრესული ნაწილი. იგი კარგად ადაპტირებულია დღევანდელ მდგომარეობასთან და საკმაოდ კომფორტულად გრძნობს თავს იმ გარემოში, რომელიც ხელს არ უშლის მის მოღვაწეობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოღვაწეობა ხშირად საზიანო, რიგ შემთხვევებში კი, უბრალოდ, დანაშაულებრივია. ბუნებრივია, საზოგადოების ეს ნაწილი წინააღმდეგია ყოველგვარი ცვლილებისა და მაქსიმალურად ხელს უწყობს არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებას. რაც შეეხება სამედიცინო საზოგადოების პროგრესულ ნაწილს, რომელიც საბედნიეროდ საკმაოდ რიცხვმრავალია, მისი მოღვაწეობის ძირითად ფოკუსად მხოლოდ ვიწროდ პროფესიული, კლინიკური არეალი დარჩა. იმის გამო, რომ ეს წარმომადგენლები, როგორც ინტელიგენციის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლები, ირჩევენ კოლეგების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას, და ასევე სამედიცინო საზოგადოებისთვის დამახასიათებელი კონსერვატიზმის გამო, ისინი არ აიგივებენ საკუთარ თავთან შიდა პროფესიული პოლიტიკური გარემოს დარეგულირებაში მონაწილეობას. სამწუხაროდ, ამის შედეგად იკვრება მანკიერი წრე - სახელმწიფოს კომპეტენტური ტექნიკური დახმარების გარეშე არ ძალუძს უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემის სრულყოფა, უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემა და სამედიცინო საზოგადოების ნაწილი წინააღმდეგია ძირეული რეფორმის განხორციელებისა, ხოლო საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც გრძნობს ამ რეფორმების აუცილებლობას და ლოგიკურად სახელმწიფოს გულშემატკივარი და დამხმარე უნდა იყოს უმაღლესი სამედიცინო განათლების სრულყოფის მცდელობაში, მხოლოდ პასიური დამკვირებლის პოზიციას ირჩევს.

სასურველია, მოხერხდეს საქართველოს სამედიცინო საზოგადოების პროგრესული ნაწილის კონსოლიდაცია, რათა ერთიანი ძალისხმევის შედეგად მოხდეს არსებული მანკიერი წრის გარღვევა და სამედიცინო უმაღლესი განათლების სისტემის ძირეული რეფორმისადმი ხელშეწყობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველი დაკარგული წელი სულ უფრო დააშორებს ჩვენს საზოგადოებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მედიცინისგან, რომლის არსებობა ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. ვფიქრობ, ამ მიმართულებით წარმატების მნიშვნელოვანი საწინდარი ხელისუფლებასა და სამედიცინო საზოგადოებას შორის აქტიური თანამშრომლობა უნდა გახდეს, სადაც ხელისუფლება მზად იქნება არა მმართველის, არამედ რჩევის მიმღების როლის შესასრულებლად.

*ვაშინგტონი,*
*2005 წლის 23 მარტი.*



*შიმშილობის აქცია სამედიცინო უნივერსიტეტში*



## აფიშა

### კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
ვერდი
"ტრავიატა"
კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლი
ფასი: 1-2 ლარი.
დას: 19:00 სთ.

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა-2005"
დას: 19:00 სთ.

### თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
პეტრე ჩაიკოვსკი
"გედების ტბა"
(ბალეტი ორ მოქმედებად)
მარიუს პეტიპასა და ლევ ივანოვის ქორეოგრაფია;
ალექსეი ფადეეჩევის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა.
საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი: ნინო ანანიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
დარიო ფოს "თავისუფალი წყვილის" მიხედვით
"თავისუფალი სიყვარული"
რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პრემიერა
ლევან წულაძე
"სხვა მთვარე"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
ჯონ სინგი
"გმირი"
დამდგმელი რეჟისორი: ზურაბ გეწაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ნოდარ დუმბაძე
"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"პატარა უფლისწული"
მ. სურმავას სპექტაკლი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"ლაბირინთი"
ავტორი და რეჟისორი: კახა ბაკურაძე
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"ოცნების ჩიტი"
ავტორი და რეჟისორი: ლ. ჩხაიძე
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**ამირანი**
"გარეკილები"
დას: 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

**რუსთაველი**
"გარეკილები"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:00; 22:00 სთ.

### გალერეები

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ეროვნული გალერეა**
ვალერი მარგიანის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

**ვერნისაჟი**
პროექტი "ახალი ცხოვრების დასაწყისი"
(საერეაბილიტაციო ცენტრების: "ბელურები", "ცისარტყელა" და "ჯეჯილი", "ბილიკი" აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენა)

**ჰობი**
"კალეიდოსკოპი"
(თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა)

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**კოპალა**
ირაკლი ცაბაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ჩემი ცხოვრება ახდენილი ოცნებაა

ნინო სტავრიდი

"ჩემი ცხოვრება ახდენილი ოცნებაა" - ამბობს მხცოვანი მაესტრო - "ვოცნებობდი, ვყოფილიყავი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ხელმძღვანელი, დიდი თეატრის დირიჟორი. სპექტაკლები დამედგა ჩემს ისტორიულ სამშობლოში. ყველა სურვილი შემისრულდა, ასე რომ, გული არაფერზე მწყდება, ბედნიერი ადამიანი ვარ..."

**ოდისეი დიმიტრიადი**, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქართული სიმფონიური ორკესტრისა და საოპერო თეატრის ბრწყინვალე ხანა, ქართველ კომპოზიტორთა თაობების მუსიკის გატანა ფართო შემოქმედებით ასპარეზზე, წარმატებები მოსკოვის დიდ თეატრსა და ათენის მუსიკალურ წრეებში, მალე 97 წლის გახდება. ამჟამად იგი თბილისში ცხოვრობს, ქალაქში, სადაც აღიზარდა, შემოქმედებითად აყვავდა, მაესტროდ იქცა... ნოსტალგია ადამიანს თავისი ფესვებისკენ აბრუნებს. ოდისეის ფესვები კი საქართველოს მიწით იკვებება...

ზურაბ ანჯაფარიძე ხშირად იხსენებდა კალამბურს, რომელსაც მასთან ერთად პეტრე ამირანაშვილი, დიმიტრი მჭედლიძე, ბათუ კრავეიშვილი და თენგიზ მუშკუდიანი უმღეროდნენ მოსკოვის დიდ თეატრში გადაყვანილ მეგობარს:

"ამას ამბობდა ბერძენი,
რუსეთში გადახვეწილი,
რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ
მაინც დავრჩები ქართველი!"

ოთარ თაქთაქიშვილი წერდა: "ქართველი კომპოზიტორები დიდი მადლობელი ვართ ოდისეი დიმიტრიადის, ჩვენი მიწა-წყლის შვილის; ის, რაც მან გააკეთა ქართული მუსიკისთვის, არასოდეს ამოიშლება ჩვენი მუსიკის ისტორიის მატიანედან და უეჭველად გავლენას იქონიებს მის მომავალზეც".

საბერძნეთში კი, სადაც 90 წლის ოდისეი დიმიტრიადის დირიჟორობით პირველად შესრულდა ურთულესი ნაწარმოები - მოცარტის "რეკვიემი", იგი ყველა დროის ლეგენდარულ მაესტროდ აღიარეს. ამ კონცერტს მისი ქალიშვილი, ცნობილი პიანისტი ნანა დიმიტრიადი ესწრებოდა. იგი იხსენებსა: "დარბაზში ტაში არ ცხრებოდა... უცებ მამა გადაესვენა პიუპიტრზე და გაქვავდა. დარბაზში ტაში ქუხდა, მე კი სუნთქვა შემეკრა... რა ხდება? რატომ არ ახელს თვალებს? და აი, როგორც იქნა გაახილა თვალები, რომლებიც ცრემლით იყო სავსე."

ასეთი წარმატება და აღიარება შენს ქვეყანაში და ისტორიულ სამშობლოში ერთეულების ხვედრია.

მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, რუსეთ-თურქეთის ზავის შემდეგ, მცირე აზიიდან საქართველოში მრავალმა ბერძენმა პოვა თავშესაფარი. მათ შორის იყო აქილევს დიმიტრიადიც, რომელიც ბათუმში დასახლდა და იქვე იქორწინა. 1908 წელს დიმიტრიადების ოჯახში მერვე შვილი, ოდისეი გაჩნდა.

მაესტრო სიამოვნებით იგონებს განვლილ ცხოვრებას, ბავშვობას, ყრმობას:

**"მამამ ტრაპიზონში, ერთ-ერთ გიმნაზიაში მიიღო განათლება. მასწავლებელი იყო, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იძულებული გახდა, ვაჭრობისთვის მოეკიდებინა ხელი - დიდ ოჯახს რჩენა უნდოდა. მოგვიანებით მამა ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს ბათუმში, მას ყველა ჭკვიან და განათლებულ კაცად იცნობდა.**

**და-ძმანი ბავშვობიდანვე სწავლობდნენ ფორტეპიანოს, თუმცა, ჩემი უფროსი და, ლიზა, ყველასგან გამოირჩეოდა ნიჭიერებით. მახსოვს, სულ ხუთიოდე წლის ვიქნებოდი, გარინდებული რომ ვუსმენდი მის მიერ შესრულებულ შოპენსა თუ ბეთჰოვენს. პირველი მუსიკის გაკვეთილებიც სწორედ ჩემმა დამ ჩამიტარა. სამწუხაროდ, ლიზა ძალიან ახალგაზრდა, 16 წლისა გარდაიცვალა".**

მუსიკალური ნიჭი ოდისეის ყრმობაშივე გამოადგა. 15 წლისა მუნჯ კინოს უკეთებდა აკომპანემენტს, შეჰყურებდა შავ-თეთრ ეკრანს და საკუთარი ინტერპრეტაციით ასრულებდა რეპერტუარს - ლისტის, ბეთჰოვენის, მოცარტის ნაწარმოებებს... საყვარელი საქმით იყო დაკავებული, თანაც, მამას ეხმარებოდა ოჯახის შენახვაში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მშობლებმა ახალგაზრდა ოდისეის საბერძნეთში გაგზავნა მოისურვეს იურისპრუდენციის შესასწავლად, მაგრამ მან სულ სხვა გზა აირჩია. ასე აღმოჩნდა ბატონი ოდისეი თბილისის კონსერვატორიაში. ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ თბილისის კონსერვატორიას, სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრსა და ოპერის თეატრს დაუკავშირა. აქვე გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე.



**"პირველად ქართველი ქალი, ნადეჟდა ხარაძე შემიყვარდა და ცოლად შევირთე. ის ჩვიდმეტი წლის იყო, მე - ოცდაერთის. ნადეჟდა საქართველოს სახალხო არტისტი, საოპერო ხელოვნების ვარსკვლავი გახლდათ. მისგან მყავს ქალიშვილი ნანა დიმიტრიადი, ცნობილი პიანისტი. ნანას მეუღლე კინორეჟისორი ლევან თაქთაქიშვილი იყო. თუმცა, მე და ნადეჟდას დიდხანს არ გვიცხოვრია ერთად. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ სოხუმში გამგზავნეს, ის კი თბილისში დარჩა. ასე გაიყო ჩვენი გზები.**

**მეორე ცოლისგან მყავს ვაჟი ორესტ დიმიტრიადი. 65 წლის წინ აქ, ამ სახლში დაიბადა და გაიზარდა.**

**უმცროსი ვაჟი 25 წლის ასაკში დავკარგე. მახსოვს, მექსიკაში ვიყავით გასტროლებზე. პრემიერის წინ მაცნობეს, რომ სასწრაფოდ თბილისში უნდა ჩამოვფრენილიყავი, რადგან ჩემი ვაჟი ავად იყო. დილით ჩემი პატარა ბიჭი მოასვენეს, საღამოს კი მეც ჩამოვფრინდი. კავკასიის ქედზე, მთამსვლელობისას დაიღუპა. ფოტოებს იღებდა და ვერ შენიშნა, როგორ მოწყდა მთას ლოდი. მოწყდა და ისიც თან ჩაიტანა".**

1947-1952 წლებში ბერძენი მაესტრო ქართულ სიმფონიურ ორკესტრს ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი თბილისის საოპერო თეატრის ხელმძღვანელობა მიანდეს. მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცნობდა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებას, ნიჭიერმა ხელოვანმა კი შეძლო მოსკოვის მოხიბვლა ქართული კლასიკური მუსიკით. ქართველ შემსრულებლებს ჯერ მოსკოვის დიდ თეატრში უსმენდნენ. ამას მოჰყვა მოგზაურობა მთელ მსოფლიოში - ბრაზილია, არგენტინა, ჩილე, პერუ, ვენესუელა, ამერიკა, საბერძნეთი, საფრანგეთი, გერმანია... სწორედ ამ პერიოდში ბევრი ქართველი მომღერალი თუ მუსიკოსი გასცდა საქართველოს ფარგლებს და წარმატებულად განაგრძო მოღვაწეობა რუსეთსა თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

1965 წლიდან ოდისეი დიმიტრიადს უკვე რუსეთის დიდ თეატრში იწვევენ, სადაც დგამს "ევგენი ონეგინს", "პიკის ქალს", "აიდას", "დონ კარლოსს", "რიგოლეტოს", "ტრავიატას", "კარმენს"... მოსკოვში მაესტრომ თითქმის 20 წელი გაატარა.

ისტორიულ სამშობლოს პირველად 60 წლის ასაკში, 1959 წელს ესტუმრა. არა როგორც კომპოზიტორი, არამედ როგორც საბჭოთა საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელი. სწორედ მაშინ მოინახულა 35 წლის უნახავი და-ძმა და ნათესავები. საბერძნეთში აღფრთოვანებით მიიღეს - ის ხომ პირველი ბერძენი მაესტრო იყო, რომელიც დიდ თეატრში მოღვაწეობდა. ოდისეიმ ათენში ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შეასრულა, რომლებიც მანამდე იქ არასოდეს დაუდგამთ. 1974 წლიდან რეგულარულად მართავდა კონცერტებს საბერძნეთში. რამდენიმე წელიწადში კი ისტორიულ სამშობლოში დიდი ხნით გადასახლდა.

უცხოეთში ხელოვანს არასოდეს ავიწყდებოდა ქვეყანა, რომელმაც გაზარდა იგი. ოდისეის არაერთი ქართველი მომღერალი მიუწვევია საბერძნეთში. იქ ჩასულ ქართველ ხელოვანთა შემოქმედებას ყოველთვის დიდი გულისყურით ეკიდებოდა. ბატონი ოდისეი სიამოვნებით იხსენებს ათენში გამართულ კლასიკური მუსიკის საღამოს, რომელზეც საქართველოს სიმებიანი კვარტეტი გამოდიოდა. მაშინ თაყვანისმცემლებით სავსე დარბაზში თვითონაც იჯდა, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ კი უთქვამს - ამ საღამოს ჩემს ბიჭებს ვუსმენდი და ჩემი ახალგაზრდობა, ჩემი თბილისი მახსენდებოდაო:

**"თავისთავად კვარტეტში შესანიშნავი შემსრულებლები უკრავენ, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, მათ ათენში ქართული ატმოსფერო, ქართული სული ჩამოიტანეს. მე კინაღამ ვიტირე, როდესაც ცინცაძის რეპერტუარი შეასრულეს".**

**"საბერძნეთში ვამაყობდი, რომ საქართველოდან ჩამოვედი. ვამაყობდი იმით, რომ მშობლიური ქვეყანა საქართველოა, სადაც გარკვეული წვლილი შევიტანე მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში და მუსიკოსთა არაერთი თაობა გავზარდე. მე ხომ ქართველიც ვარ და ბერძენიც. ჩემი ოჯახის წევრთა უმრავლესობა უკვე ქართველია და ქართულ გვარს ატარებს. როდესაც მეკითხებიან, თუ სად მირჩევნია ცხოვრების დარჩენილი დროის გატარება, მიჭირს ამორჩევა. თუმცა, როგორც ხედავთ, დღეს მე ისევ აქ ვარ!"**

# Jazzerati

## თეთრი ბაფთის ელჩები ჯაზის სახელით

ვერა ნეფარიძე

*კავკასიის თანამედროვე მუსიკის ფესტივალის ეგიდით მორიგი კონცერტი ქართველმა ჯაზშემსრულებლებმა "შერატონ-მეტეხი პალასში" გამართეს. "საერთაშორისო ქალთა დახმარების ფონდმა" ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ* Jazzerati*-ით (ასე ერქვა კონცერტს) გაილაშქრეს.*

კავკასიის თანამედროვე მუსიკის ფესტივალს ორგანიზაცია "საერთაშორისო ქალთა დახმარების ფონდი" სხვადასხვა სოციალურ დატვირთვას აძლევს. პირველი მუსიკალური საღამო სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში "ცოცხალი მუსიკოსების" ("ზუმბა", "სოფთ ეჯექტი", ნინო ქათამაძე და "ინსაითი", "33ა", "მწვანე ოთახი") მონაწილეობით აივ-შიდსის წინააღმდეგ იყო მიმართული; შემდეგი კონცერტი ახლახან კონსერვატორიის დიდ დარბაზში ქართველმა და სომეხმა კლასიკური მუსიკის შემსრულებლებმა გამართეს; კონცერტის იდეა იყო ამიერკავკასიური მუსიკალური კულტურის პოპულარიზაცია და აღმოსავლური მუსიკალური ტრადიციების შეჯერება დასავლურთან; უკანასკნელად კი ფესტივალმა ჯაზური მუსიკის მოყვარულებს უმასპინძლა. კონცერტმა ჩაიარა "თეთრი ბაფთის" მოძრაობის ნიშნით და მოწოდებით: შეწყვიტონ მამაკაცებმა ქალებზე ძალადობა...

სოციალური თემატიკა ფესტივალის ორგანიზატორებისთვის ერთგვარი ფარიცაა მხატვრული ხარვეზების ასასხლეტად. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფესტივალის ფარგლებში მოქცეული ცალკეული მუსიკალური ღონისძიებები ერთგვარი აქციებია; ეს უკვე უფრო სოციალური მოვლენაა და, შესაბამისად, მის მხატვრულ დონეზე - მუსიკოს-შემსრულებელთა შერჩევის კრიტერიუმები, საკონცერტო პროგრამა, დარბაზის შერჩევა და ა.შ. ორგანიზატორები ნაკლებად არიან პასუხისმგებლები. სამაგიეროდ, ნაკლებად ეპატიებათ ტექნიკური, თუნდაც აპარატურასთან დაკავშირებული ხარვეზები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ბევრი არ მიფიქრია იმაზე, თუ რატომ გადაწყვიტეს ჯაზი ამ საღამოს წარმოედგინათ თბილისის ბიგ-ბენდით (რომელიც, უდავოდ, პროფესიული ორკესტრია) და დათო ილურიძის ბენდით (რომელიც ფართო საზოგადოებისა და მუსიკის მოყვარულებისთვისაც "ღამის შოუს" წყალობით გახდა ცნობილი). ილურიძის ბენდის გამოჩენა კონცერტის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. ბენდის სახალისო რეპერტუარმა შეძლო დარბაზის იმ ნაწილის გამოცოცხლება, ვინც აპარატურის ხანგრძლივ აწყობას დაელოდა. თუმცა, მე თუ მკითხავთ, Jazzerati-ის მთავარი ღირსება მაინც თბილისის ბიგ-ბენდის მოწვევა იყო. თბილისის მუნიციპალიტეტის ორკესტრს (რომელიც 1997 წელს გაიოზ კანდელაკის ინციატივით შეიქმნა და რომელსაც კომპოზიტორი და დირიჟორი გივი გაჩეჩილაძე ხელმძღვანელობს) ხომ არც ისე ხშირად ვხედავთ კონცერტებზე; უფრო ხშირად უწევთ საკონცერტო გამოსვლები მის ცალკეულ წევრებს (დავით ჯაფარიძე, ოთარ მაღრაძე, დინი ვირსალაძე, მაია ბარათაშვილი, უჩა კორძაია, ნოდარ ექვთიმიშვილი, კახა ჯაგაშვილი, ზაურ შავგულიძე). "შერატონ-მეტეხი პალასში" გამართულ საღამოზე კი ორკესტრი თითქმის სრული შემადგენლობით წარდგა, რამაც ორკესტრის გამოსვლაზე სათანადოდ იმოქმედა.



# დაბოლილი ამერიკელი ბულბულები

## კინოთეატრ "რუსთაველში" "გარეკილები" ჩამოვიდნენ

ია ვეკუა

ისინი მთელ დღეებს უსაქმურად ატარებენ, არ იციან, როგორ დახარჯონ უამრავი თავისუფალი დრო და ვერაფრით ხსნიან, რატომ გაჩნდნენ ის ადამიანები, ვისთვისაც სამუშაო უმთავრესი საზრუნავია. თუმცა, საზრუნავი მათაც აქვთ - დილიდან იწყებენ იმაზე ფიქრს, სად იშოვონ "მოსაწევი"... ისინი ჰაროლდი და კუმარი არან! ეს ორი ყმაწვილი სწორედ იმ ფილმის გმირებად გვევლინებიან, რომლის სლოგანი ქართულად ასე ჟღერს: "ევროტურის" შემქმნელებისგან".

ვინც იშვიათად აკლდება კინოთეატრ "რუსთაველის" კინოსეანსებს, არ დაავიწყდებოდა ქუჩურ-თინეიჯერული ქართულით ამეტყველებული ამერიკელი მოზარდები (მათ საუბარს თავად გამხმოვანებლები მოფერებით "ხულიგნურსაც" ეძახიან), რომლებიც მეგობრის ვირტუალური სატრფოს საძებნელად თითქმის მთელ ევროპას გადასერავენ და საბოლოოდ რომის პაპის რეზიდენციაშიც ამოყოფენ თავს. მსგავსი კომედიების ქართულად გახმოვანების ტრადიციას "რუსთაველი" ახლა უკვე "ამირანთან" ერთად აგრძელებს და მორიგ როუდ-კომედია "გარეკილებს" გვთავაზობს.

ფილმი ორივე კინოთეატრში დღეიდან გამოვა, თუმცა, მსგავსი ჟანრის მოყვარულებს, ალბათ, წარმოდგენილი აქვთ, რასთან ექნებათ საქმე. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ "გარეკილების" რეჟისორი ავტორია ფილმისა "ბიჭო, სად არის ჩემი მანქანა?" ფილმში დაკავებული მსახიობებიც გარკვეულ შთაბეჭდილებას ქმნიან: ჯონ ჩოუ (ჰაროლდი) სამივე "ამერიკული ნამცხვრის" ვარსკვლავია, თუმცა, მის მცირე კინოკარიერაში ერთი გამონათება მაინც იყო, როდესაც სემ მენდესმა "ამერიკულ სილამაზეში" ეპიზოდური როლი მისცა. კუმარის როლის შემსრულებელ კელ პენს კი ნაკლებად გაუმართლა - იგი თინეიჯერულ პართი-მუვის ვერაფრით გასცდა.

"გარეკილები", ისევე როგორც ამ ჟანრის ფილმების უმეტესობა, თინეიჯერთა ცხოვრების ერთ პატარა ეპიზოდზე მოგვითხრობს. ჩინელი და ინდუსი მეგობრები - ჰაროლდი და კუმარი მარიხუანას მოყვარულები და ხშირი მომხმარებლები არიან, რის გამოც ხანდახან გონების წამიერი დაბინდვა, რეალობის შეგრძნების დაკარგვა და წარმოუდგენელი ფანტაზიები ახასიათებთ.

ერთ მშვენიერ დღეს შეიტყობენ, რომ რამდენიმე შტატის დაშორებით, სწრაფი კვების კაფე "თეთრ სასახლეში" ჩინებულ ჰამბურგერებს ამზადებენ. ამ ჰამბურგერების გასინჯვა მათი ცხოვრების მიზნად იქცევა და სამოგზაუროდ გაემართებიან. როგორც ფილმის შემქმნელები ირწმუნებიან, გზად მეგობრებს უამრავი სასაცილო და თავშესაქცევი ამბავი გადახდებათ, რაც მეტწილად შეცვლის მათ ერთფეროვან ცხოვრებას. თუმცა, მიაღწევენ თუ არა სანუკვარ მიზანს, ამას მხოლოდ ფილმიდან შევიტყობთ.




როგორც კინოთეატრ "რუსთაველის" ბიზნესგანვითარების მენეჯერი ირაკლი ჩიკვაიძე ამბობს, ფილმის ქართული გახმოვანება ორიგინალურ ტექსტზე გაცილებით უფრო სასაცილოა. თუ გავითვალისწინებთ, რომ "გარეკილები" ამჯერადაც შონზომ, ზვიომ, ირაკლი სალინაძემ და მათმა გუნდმა გადმოაქართულა, მის სიტყვებში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ. ფილმის გმირებს გია ჭანტურია, ქრისტინე იმედაძე და ნეკა სებისკვერაძე ახმოვანებენ.

შესაძლოა, ფილმის მიმართ გარკვეული პრეტენზია გაუჩნდეთ მარიხუანას პროპაგანდის მოწინააღმდეგეებს, რადგან, როგორც აღინიშნა, ჰაროლდი და კუმარი საათი და 27 წუთის განმავლობაში (სწორედ ამდენ ხანს გრძელდება ფილმი) არაფხიზელ მდგომარეობაში არიან. ირაკლი ჩიკვაიძე ამ შემთხვევაშიც იცავს ფილმის ინტერესებს და აცხადებს, რომ ფილმის გმირები ხანდახან ისე "ცუდად" იქცევიან, რომ, შესაძლოა, "გარეკილები" მარიხუანის ანტირეკლამადაც მოგვევლინოს.

# ძველი და ახალი ტრადიციები

ნინო სტავრიდი

წალკა თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ კარგავს საქართველოს ლიბერალური კულტურული მემკვიდრეობა მის ერთ-ერთ მშვენიერ მარგალიტს - პონტოურ ეთნოსს და ტრადიციებს, რომელმაც სწორედ აქ და არა ისტორიულ სამშობლოში შეინარჩუნა თვითმყოფადობა. მაგრამ პარალერულად მკვიდრდება ახალი ტრადიცია - პილიგრიმობა.

## დაკარგული ტრადიციები

"ზუზუკი" - მისი ხმა იმდენად მგრძნობიარეა, რომ ბერძენი დიდხანს ვერ ძლებს და საცეკვაოდ გამოდის. ტრადიციულად ცეკვას ჭარმაგი მამაკაცი იწყებს. "ზუზუკი" უბრალო ცეკვა კი არა, ცხოვრების ფილოსოფიაა. ბერძენი ცეკვავს ნელი სვლით. შემდეგ კი სწრაფად დატრიალდება... ისევ ნელი მოძრაობა, ჩაჯდომა, კვლავ გამართული სვლა ცეკვით და ტრიალი... გარშემო მყოფნი მოცეკვავეს ტაქტში ტაშს აყოლებენ, თუ მოსწონთ, - უფრო აღტაცებით. ასე "ხურდება" ცეკვა, რომელშიც თანდათან ყველა ერთვება. ბერძნები ხელიხელჩაკიდებულნი ცეკვავენ, რაც ეროვნული ერთობის თავისებური გამოხატულებაა...

■ ■ ■

წალკაში ახლა მხოლოდ მოგონებებში შემორჩა აღდგომის, შობის მხიარული დღესასწაულები, სოფლის ზეიმები, ის დრო, როცა ოქროს ძაფებით ნაქარგ პონტოურ კოსტიუმებში გამოწყობილი ბერძნების ცეცხლოვანი ცეკვები და გულშიჩამწვდომი სიმღერები დილამდე არ წყდებოდა. ფოლკლორული ჯგუფები და პატარა თეატრები ყველა სოფელში ყოფილა. ძველ ახალ წელს ნიღბების ზეიმი ეწყობოდა. მოხუცები იგონებენ, თუ როგორ ირთვებოდნენ მამაკაცები. ზოგი მეფე იყო, ზოგიც ანგელოზი ან ეშმაკი. ასე დადიოდნენ სოფლის ორღობეებში. უკრავდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ხუმრობდნენ და ყველას ულოცავდნენ ახალ წელს.

■ ■ ■

ქორწილი ნამდვილი დღესასწაული იყო. მხიარულება სამ დღეს გრძელდებოდა და შაბათ საღამოს ნეფე-დედოფლის ოჯახებში ერთდროულად იწყებოდა. სუფრის თავში თამადა და ოჯახის უფროსი ჯდებოდა. იქვე ახლოს დიდ სინს დებდნენ საჩუქრებისთვის. მოგვიანებით მეგობრებს პატარძალი გამოჰყავდათ და იწყებოდა "ფერხისიას" ცეკვა, რომელსაც სიმღერები ენაცვლებოდა. მეორე დღეს ხუთი-ექვსი მხედარი სასიძოს სახლიდან პატარძლის ოჯახისკენ გააქროლებდა ცხენს. მათ უკან მაყრიონი მიჰყვებოდა. ქალის ნათესავები მახარობლებს ყელზე საჩუქრებს ჰკიდებდნენ. მაყრიონს კი თოფით გზას გადაუჭრიდნენ და მანამ არ გაატარებდნენ, ვიდრე გამოსასყიდს არ გადაიხდიდნენ. მთელი სოფელი ზეიმის მონაწილე იყო. შარაგზაზე არ წყდებოდა ხუმრობა და ცეკვათამაში... ეკლესიაში ჯვრისწერის შემდეგ მაყრიონი ნეფის სახლს მიაღწევდა. ჭიშკართან მამამთილი სარძლოს ტკბილეულს და კაკალს აყრიდა ფეხებში.

ქეიფი დილამდე გრძელდებოდა. გამთენიისას პატარძალი მეჯვარეებს დასასვენებლად გაჰყავდათ. ნეფე კვლავ სუფრასთან რჩებოდა.

ქორწილის მესამე დღე ახალგაზრდების იყო, რომლებიც სანთლებით გაჩირაღდნებულ ოთახში სასიყვარულო სიმღერებს ასრულებდნენ და ცეკვავდნენ. საღამოს სიძის სახლში ქალის მშობლები მოჰყავდათ, რომლებსაც ამ დღისთვის საგანგებოდ დამზადებული ჰალვა მოჰქონდათ.

ეს ყველაფერი უკვე წალკის ეთნოკულტურის ისტორიის ნაწილია, მივიწყებული ტრადიცია ქართველი ბერძნების სამშობლოში, სადაც, იცით, როდის გაიმართა



უკანასკნელი ქორწილი? ხუთი წლის წინ!..

## ბერძენი ქვისმთლელები

პონტოელი ბერძნები ოდითგანვე განთქმული იყვნენ როგორც ქვაზე მუშაობის საუკეთესო ოსტატები. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან საქართველოში არ აშენებულა თითქმის არც ერთი ტაძარი საუკეთესო წალკელი ხელოსნების გარეშე. ბერძნები აშენებდნენ ხიდებს, შენობა-ნაგებობებს. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ავრანლოელმა ოსტატებმა.

იოანის ასლანიდი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ცნობილ კალატოზებთან ერთად ვარძიისა და სიონის ფერისცვალების ეკლესიების სარესტავრაციო სამუშაოებში ჩართეს. მისი ოსტატობა შეუმჩნეველი არ დარჩა საქართველოს მღვდელმთავარს, რომელმაც ჭაბუკს სიონის ტაძარში დარჩენა შესთავაზა. იოანისი ბერად აღიკვეცა და მთელი ცხოვრება ღვთისმსახურებაში გაატარა. მე-19 საუკუნეში მისი ხელმძღვანელობით ბერძენმა ქვისმთლელებმა მრავალი ქართული ტაძარი აღადგინეს.

წინაპართა ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებდნენ ახალი თაობები, გასული საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული ოსტატი სოფელ ბეშთაშენიდან მიხაილ არისტიდისი, თანასოფლელებთან ერთად, მუშაობდა ჯვრის კომპლექსის რესტავრაციაზე. 1981 წელს იგი ქართული კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეული ძეგლის ბაგრატის ტაძრის აღდგენას იწყებს. ტაძრის გუმბათის აღდგენა სწორედ მისი ესკიზებით დაიწყო. ცნობილ ოსტატს ქუთაისის ტექნიკურ სასწავლებელში პედაგოგად იწვევენ, სადაც ათობით ქართველ ახალგაზრდას შეასწავლა პონტოელთა ტრადიციული ხელობა. ბერძენი ქვისმთლელების ჯგუფი ქუთაისში 1991 წლამდე აგრძელებს საქმიანობას. მანამდე, ვიდრე პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამო სამუშაოები ბაგრატის ტაძართან საერთოდ არ შეწყდა. მიხაილი კი თავის ისტორიულ სამშობლოში გადასახლდა, სადაც კარგად იციან მისი ოქროს ხელების ფასი... ამიტომაც მიანდეს სათუთი და საპასუხისმგებლო საქმე - სალონიკის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ძველ ქალაქში არქაული კოლონების დამზადება და აღდგენა.

ირაგა - ამ სოფლის ხელმარჯვე ოსტატებმა ჯერ კიდევ ტრაპიზონში გაითქვეს სახელი. საქართველოში მამაპაპისეული ტრადიცია ირაკლი პაპუნიდისის ოჯახმა გააგრძელა. 1991 წელს ირაკლის ვაჟის დიმიტრი პაპუნიდისის ბრიგადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ თბილისში მიიწვია წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობაზე.

ამით დამთავრდა ბერძენი ქვისმთლელების მისია საქართველოში... დრო გადიოდა, არც ქვა სჭირდებოდა ვინმეს და არც ხელოსანი. წალკაში დაიხურა ქვის გადამამუშავებელი საამქროები. დაცარიელდა სოფლები. აქ ახლა აღარც შეგირდია და აღარც ოსტატი...

## ახალი რიტუალი - პილიგრიმობა

ყოველწლიურად აღდგომიდან ამაღლებამდე წალკაში უჩვეულო გამოცოცხლებაა.

ჩამოდიან ელინები საბერძნეთიდან, კვიპროსიდან, რუსეთიდან... მშობლების, ახლობლების საფლავების მოსანახულებლად, მათი სულების მოსახსენიებლად წინაპართა მიერ ნაშენ სალოცავებში.

ჩამოდიან ელინები საკუთარი დანაზოგით თუ საბერძნეთში შეგროვილი თანხით, წალკის დაზიანებული ეკლესიების აღსადგენად, ახალი სამლოცველოების ასაშენებლად. საბერძნეთში თრიალეთის ქედი, მთის სტეპები და ქვაბულები, კანიონისებური ხეობები, მშობლიური სოფლები ესიზმრებათ, აქვთ ხილვები, მერე კი უზენაესის ნებას აღასრულებენ - ზოგი მარტო, ზოგი შვილებთან ერთად სალოცავის მშენებლობას იწყებს. ერთი წელიც რომ გაგრძელდეს საქმე, ჯერ დაამთავრებენ და უკან მერე ბრუნდებიან...

გიორგი სამურგანოვი კი არსად არ აპირებს წასვლას. ენაწყლიანი ბერიკაცი ხალისით გვიამბობს თავის ისტორიას. მეუღლე 16 წლის წინ გარდაეცვალა. 5 ვაჟი და 2 ქალიშვილი ჰყავს. ახლა ისინი საბერძნეთში ცხოვრობენ და მამასაც ეპატიჟებიან. ერთხელ უკვე გაემგზავრა, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლო, რადგან წალკას არაფერი ურჩევნია დედამიწაზე. აქაურობას მთელ ევროპაში არ გაცვლის!

ერთხელ ძილში ანგელოსი გამოეცხადა და სასწაული იხილა. რა ნახა, ამაზე არავისთან საუბრობს, მაგრამ მას შემდეგ 6 წელი აგროვა ფული, წალკის შესასვლელთან ქრისტეს ჯვარცმა რომ დაედგა. ამ ადგილას ახლა ხშირად ანთებენ სანთლებს. მოხუციც სულ იქ ტრიალებს, უვლის, ალამაზებს ტერიტორიას და კომპლექსის გაფართოებაზე ფიქრობს.

- თუ ღმერთი ჯანმრთელობას მომცემს, მოვაწყობ აქაურობას, მერე ერთ პატარა ოთახს ავაშენებ და ვიქნები აქ გარდაცვალებამდე. ბედნიერი ვარ, რადგან ღმერთს ვემსახურები.

■ ■ ■

სადაც არ უნდა იყვნენ აქაური ბერძნები, ფესვები მაინც იმ მიწაში აქვთ გადგმული, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, სადაც წინაპართა ძვალთშესალაგი და სალოცავები ეგულებათ. გავა დრო და წალკა მათთვის წმინდა ადგილი გახდება. პონტოურ ტრადიციებში კი ჩაეწერება ახალი რიტუალი - პილიგრიმობა, დაბრუნება წმინდა ადგილების მოსალოცად!..

ისარგებლეთ ლაი·ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

24 საათი 3 ლაი·ლაი

აქციის ვადაა: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |

ნინია კაკაბაძის სვეტი

# ვინ არის დამნაშავე?



უკვე ყოველგვარ ზღვარს გასცდა ის, რაც სამედიცინო კოლეჯის ირგვლივ ხდება. საიდან დავიწყო, არც კი ვიცი. ერთი გამოცდის ჩასაბარებლად ატეხილი ამბავი უკვე ნებისმიერი აბსურდის ჟანრის მხატვრული ნაწარმოებისთვის გამოდგება. ამ საკითხზე სერიოზული ლაპარაკიც კი გაჭირდებოდა, რომ არა სინამდვილეში მოშიმშილე ახალგაზრდების ჯანმრთელობა მომავალში. ამიტომ ვეცდები, ყველაფერი, რაც ამ საკითხს ეხება, პუნქტ-პუნქტად, მოკლედ განვიხილო.

**მშობლები.** მაკვირვებს და მაშფოთებს მათი მდგომარეობა. მესმის, 16 წლის მოზარდი უკვე დამოუკიდებელი ადამიანია და ის მთლიანად არ ექვემდებარება მშობლის თხოვნას თუ განკარგულებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერავინ დამარწმუნებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს მოზარდები პირველ რიგში მშობლების შეცდენილი არ არიან და მათი მოწოდებით არ დაიწყეს ეს მოძრაობა და შემდეგ მოძრაობის რადიკალური ფორმა - შიმშილობა. ამაში ისევე ვარ დარწმუნებული, როგორც იმაში, რომ მშობლებს კოლეჯში შესატანი ოფიციალური საფასურის გარდა კიდევ საკმაოდ დიდი თანხა აქვთ გადახდილი როგორც "მოწყობაში", ისე კურსიდან კურსზე გადასვლაში ("ჩაწყობაში"). რასაკვირველია, თუ 15 ათასი დოლარი მაქვს გადახდილი, ძნელად შევეგუები იმ აზრს, რომ, შესაძლოა, ეს ფული დამეკარგოს. იმას კი არ ფიქრობენ, რომ ექიმობისთვის მხოლოდ ფული არ არის საკმარისი. ეს ის პროფესიაა, რომელიც სხვა ადამიანის მომავალ არსებობას განკარგავს. ამიტომ, იქნებ მოვახერხოთ და სამედიცინო თუ ნებისმიერ სხვა ფაკულტეტზე ეს თაობა იყოს პირველი და მაგალითი მომავალი თაობებისთვის, ვინც მოწყობის, ჩაწყობის, ქრთამის და პრივილეგიის გარეშე გახდება პროფესიონალი. გარდა ამისა, მხოლოდ გაღებულ თანხებს და მომავალში დიპლომის ყდას ნუ შევწირავთ მომავალი თაობის ჯანმრთელობას. მიკვირს, როდესაც ვხედავ გაავებულ მშობელს, რომელიც მინისტრს თუ ხელისუფლების სხვა წარმომადგენელს სთხოვს კომპრომისს და აზრად არ მოსდის, რომ საკუთარი შვილის საკეთილდღეოდ თავად შეიძლება წავიდეს კომპრომისზე და ახლა უქმად ყოფნას შვილის გამოცდისთვის მომზადებას შეუწყოს ხელი. ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარია - თუნდაც წლევანდელი წელი არ იყოს საკმარისი და თუნდაც ერთი წელი აკადემიური იყოს მოშიმშილე მოზარდისთვის.

**ოპოზიცია**. მსგავს სიტუაციას ნებისმიერი ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელი საკუთარი მიზნებისთვის რომ გამოიყენებს, ეს ფაქტია. დღევანდელი ხელისუფლება რომ ოპოზიციაში ყოფილიყო, ალბათ ისიც ასე იყვირებდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც დანაშაულთან გვაქვს საქმე, რადგან ისევ მოზარდების ჯანმრთელობას ეხება. მათი ჯანმრთელობის ხარჯზე კი ოპოზიცია ერთი სერიოზული პოლიტიკური სახის მოცილებას ცდილობს მოწინააღმდეგე ბანაკში. თუ დღეს ამ თამაშით ოპოზიცია გარკვეულ ქულებს იწერს, ამ ბინძურ თამაშს მათ არც მოშიმშილე ბავშვი აპატიებს და არც საზოგადოება.

კიდევ ერთი. დარწმუნებული ვარ, ოპოზიციის მეტად თუ ნაკლებად პოპულარული სახეები მოშიმშილე ჯგუფს იმ დაპირებებით აქეზებენ, რასაც მათი გამარჯვება ჰქვია. "არ შეწყვიტოთ, ცოტა დარჩა, გაუძელით, ხელისუფლება აუცილებლად წავა დათმობაზე", - ასეთი უნდა იყოს წაქეზების სავარაუდო ტექსტი. ამ ახალი იდეის ავტორებიც ეს უკანასკნელნი უნდა იყვნენ: მოითხოვეთ თავშესაფარი და ეს სახელმწიფოს სირცხვილი იქნება, ამით კი მათ შეაშინებთ. მოშიმშილეები ვერ აცნობიერებენ, რომ თავშესაფრის მოთხოვნა არ გულისხმობს სხვა ნებისმიერ უკეთეს ქვეყანაში, სამედიცინო უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩარიცხვას. იქ სტუდენტს გაცილებით დიდი თანხის (ოფიციალური გადასახადის) გადახდა მოუწევს, ქრთამი იქ არ ჭრის, მათი შიმშილობის კი არავის შეეშინდება. იქ, ჩვენგან განსხვავებით, კანონი არის უზენაესი. ასე რომ, მინდა ახსოვდეს ყველას, ვინც ასეთი უკიდურესი და აბსურდული იდეებით კვებავს მოზარდებს: მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს და არა მათ მომავალზე.

**მინისტრი.** შესაძლოა, ლომაიამ ნაკლები წინდახედულება გამოიჩინა, როცა ახალგაზრდებს თავიდანვე არ ამცნო იმის შესახებ, რომ მათ ყველა შემთხვევაში მოუწევდათ საერთო ეროვნული გამოცდის ჩაბარება. მაგრამ ფაქტია: მაშინაც ასეთი მდგომარეობა იქნებოდა, ოღონდ მესამეკურსელების ნაცვლად პირველი და მეორე კურსის სტუდენტები იშიმშილებდნენ და მათი მშობლები იყვირებდნენ. ამის წინაპირობა უკვე არსებობდა. ამიტომ, ვფიქრობ, საუკეთესო გამოსავალია, ყველა ერთი კანონის ფარგლებში მოვაქციოთ და ერთხელ და სამუდამოდ გაიგონ: ყველას მოუწევს ეროვნული გამოცდის ჩაბარება, სადაც მათი გვარი მითითებული არ იქნება.

უკანასკნელ დღეებში კახა ლომაიას საჯაროდ ეუბნებიან, რომ მისი რეიტინგი, მისი პოპულარობა ნულამდე დავიდა. არ ვიცი, რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს, მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს მხოლოდ მის კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს. არ ვიცი, რამდენად პოპულარულია ის, მაგრამ პოპულისტი რომ არ არის, ეს ნამდვილად ვიცი. მას არც ერთი პოპულისტური ნაბიჯი არ გადაუდგამს, მას არ სჭირდება ხალხის მოტყუება, ის ნამდვილად საქმეს აკეთებს. დარწმუნებული ვარ, მისი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ საქართველოში განათლების სისტემა კორუფციისგან გაიწმინდოს და ყველას შეეძლოს სწავლა "სანაცნობო" პრივილეგიისა და ქრთამის გარეშე. განათლების რეფორმა მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. თუ რეფორმის განხორციელება ვერ მოხერხდა, საქართველო კიდევ რამდენიმე წლით თუ ათწლეულით უკან დაბრუნდება, რადგან შენება, პირველ რიგში, მომავალი თაობით, პერსპექტივაში მზერით უნდა დაიწყოს. კახა ლომაია კი დღეს თავისი პრინციპულობის კიდევ ერთ გამოცდას აბარებს. ჩემთვის, როგორც გარედან დამკვირვებლისთვის, მას ბრძოლა უწევს ოპოზიციის პოპულისტ პოლიტიკოსებთან, ნერვულ მშობლებთან (სოროსისა და ფაშისტების მოწინააღმდეგეებთან) და არა მოშიმშილე ბავშვებთან.

**დაბოლოს**. ერთადერთი გამოსავლი არსებულ სიტუაციაში ის არის, რომ მოშიმშილე მოზარდები დავარწმუნოთ: არც ერთი გამოცდის ჩაბარება და არც თუნდაც ერთი წლის გაცდენა პრობლემა არ არის. ოპოზიციონერებმა და მშობლებმა, რომლებიც შიმშილობაში ხედავენ გამოსავალს, მოზარდები შინ გაუშვან და მათ ნაცვლად იშიმშილონ. მერწმუნეთ, ეს მათ პროტესტს უფრო დამაჯერებელს გახდის და, რაც მთავარია, უფრო კეთილშობილური ნაბიჯი იქნება, რადგან შექმნილ სიტუაციაში მთავარი დამნაშავეები სწორედ ისინი არიან.

ფეხბურთი

# სამი ქულისთვის ჩამოვიდნენ



საბერძნეთის ეროვნული ნაკრები თბილისს გუშინ ჩარტერული რეისით ეწვია. შაბათს ელინები კიდევ ერთხელ დაუპირისპირდებიან ქართველებს. გუნდები ოფიციალურ დონეზე შესარჩევ ტურნირში ადრეც შეხვედრიან ერთმანეთს. ბერძნებმა ორივე მატჩი შინ და გარეთ მოგვიგეს. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, მაშინ ბერძნები, ქართველებისა არ იყოს, ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდნენ. გუნდი (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) რომ გვყოლოდა, იმ თამაშს არ წავაგებდით.

ვიგებდით კიდეც, მაგრამ ბოლო 20 წუთში გავუშვით ორი გოლი და დავმარცხდით. ცოდვა გამხელილი ჯობს და ვაღიაროთ, რომ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს გუნდი არ ჰყავდა. ის უფრო ფეხბურთელთა კრებულს ჰგავდა, რომლისგანაც სერიოზულ წარმატებას არ უნდა ელოდო. დღეს რამდენადმე განსხვავებული სიტუაციაა.

ჩვენი ქვეყნის ნაკრებს პირველ რიგში მწვრთნელი ჰყავს და მისი ხელმძღვანელობით გუნდმა გააკეთა ის, რაც თავისი არსებობის მანძილზე არასოდეს ჩაუდენია - ორჯერ შემოაბრუნა წაგებული თამაში თურქეთში და თბილისში, დანიის წინააღმდეგ. თანაც, საგულისხმო ის არის, რომ იმ მატჩს ჩვენებურები ორჯერ აგებდნენ, მაგრამ ორივე შემთხვევაში მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. ორჯერვე ფენომენალური თამაშით საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა მალხაზ ასათიანმა გამოიჩინა თავი. ერთი გოლი თვითონ გაიტანა და ერთიც მის შეტევას მოჰყვა.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ მალხაზ ასათიანის გამოჩენით გუნდმა სხვაგვარად დაიწყო თამაში. ეს მოსალოდნელიც იყო. თუმცა, მხოლოდ კარგი და კვალიფიციური მწვრთნელის ხელში. ჟირესი კი ჯერჯერობით ასეთი სპეციალისტის შთაბეჭდილებას ტოვებს. და თუ მან ოტო რეჰაგელის მანქანასავით აწყობილ მექანიზმს ფრანგული ორგანიზაცია დაუპირისპირა, საქართველოს ნაკრებს შანსი ექნება, დადებით შედეგს მიაღწიოს. ეს კი, შეიძლება ითქვას, ძირფესვიანად შეცვლის არა მარტო საქართველოს ნაკრების ავტორიტეტს, არამედ ქართული ფეხბურთის ბედის ჩარხსაც წაღმა დაატრიალებს.

ბევრი მიიჩნევს, რომ ფრანგ სპეციალისტს ამის შანსი და რესურსი აქვს. მის განკარგულებაში რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგალითად, კალაძე, კობიაშვილი და, რა თქმა უნდა, მალხაზ ასათიანი, რომელიც დიდი ფუფუნებაა საქართველოს ნაკრებისთვის. სიმართლე რომ ითქვას, დავით ყიფიანის შემდეგ ქართველებს მისი მონაცემების ორგანიზატორი აღარ გვყოლია. თუ ამ სამეულის შემოქმედებით უნარს სწორად გამოვიყენებთ, ბერძნული მანქანა იძულებული იქნება, აირ-დაირიოს და შეცდომები დაუშვას.

სწორედ ამიტომ აცხადებს ოტო რეჰაგელი: "საქართველოში ურთულესი მატჩი მოგვიწევს. ბიჭებს მუდმივად ვუმეორებ: მეტოქე ისე ითამაშებს, რის საშუალებასაც ჩვენ მივცემთ. მათ ისეთი ფეხბურთელები ჰყავთ, რომლებიც უცხოეთის კლუბებში გამოირჩევიან. კარგად ვიცნობ ბუნდესლიგაში მოასპარეზე ქართველებს. დღეს "შალკე 04" ბუნდესლიგის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია. ამ საქმეში დიდია ლევან კობიაშვილის დამსახურება. ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში თამაშობს კახა კალაძე. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ურთულესი მატჩი გვექნება დიდი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყნის გუნდთან. ჩვენ სამ ქულას ვგეგმავთ, მაგრამ ფრეც მისაღები ვარიანტი იქნება.

- სამწუხაროდ, არ გვეყოლება ტრაიანოს დელასი. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, ვინ შეცვლის მას. რაც შეეხება დანარჩენ ფეხბურთელებს, საბედნიეროდ, ისინი ჯანმრთელად არიან.

- თბილისში დამარცხება ჩვენთვის კატასტროფა იქნება. დავკარგავთ მეორე ადგილს, რომელიც ჯგუფიდან გასვლის საშუალებას იძლევა და სამომავლოდ საგრძნობლად გავიუარესებთ სატურნირო მდგომარეობას. ამიტომ ამ თამაშს თავისი მნიშვნელობით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს შევადარებდი - ჩრდილოეთ ირლანდიასა და ესპანეთთან.

რეჰაგელმა გუშინ საღამოს დახურული ვარჯიში ჩაატარა. მედიის წარმომადგენლებს 10 წუთით მისცეს ფეხბურთელებთან მიახლოებისა და გადაღების საშუალება. შემდეგ კი მწვრთნელმა გერმანული რუდუნებით დაიწყო გუნდთან ვარჯიში. რეჰაგელი თბილისიდან სამი ქულის წასაღებად ჩამოვიდა და დახურული ვარჯიშიც იმისთვის მოიწადინა, რომ ბერძნებს ახალი ტაქტიკური ნახაზები დაამუშავებინოს.

ტრადიციულად, ბერძნები კარგად იყენებენ სტანდარტულ მდგომარეობებს და კონტრშეტევებზე თამაშს ამჯობინებენ. თუმცა, ხვალ შეიძლება სიურპრიზიც შემოგვთავაზონ. შეგვიტევს თუ არა დაცვითი სტილის მქადაგებელი საბერძნეთის ნაკრები, ამას ხვალ ვნახავთ.



ბესო გულაშვილის ფოტოები

# მერაბ ჟორდანია - პლატინის თანაგუნდელი მწვანე მინდორზე და მის გარეთ

მიხეილ აბაიშვილი

"ჩემო ძვირფასო მეგობარო მერაბ", - ასეთი სიტყვებით იწყებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიასადმი გაგზავნილ ოფიციალურ საქმიან წერილს მსოფლიოში ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა, ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი. ბლატერის მეგობარი, პლატინის თანაგუნდელი და საარჩევნო შტაბის აქტივისტი, უეფას ყველაზე მნიშვნელოვანი - საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე - ასეთი ანტურაჟით ბევრი წამყვანი საფეხბურთო ქვეყნის ფედერაციის პირველი პირი ვერ დაიკვეხნის.

მოგეხსენებათ, ქართული საფეხბურთო სამყარო ერთგვარი რუბიკონის წინაშე დგას. ეროვნულ ნაკრებს ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის - ჯერ ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს, ხოლო შემდეგ - მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორ თურქეთს ვმასპინძლობთ. ამ თამაშების მაღალ დონეზე ორგანიზაცია, უამრავი უცხოელი სტუმრის მიღება, შეხვედრები სამთავრობო დონეზე - მიხვდებით ალბათ, რა გაწამაწიაში იქნება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. მოუცლელობის მიუხედავად, მერაბ ჟორდანიამ "24 საათისთვის" დრო მაინც გამონახა და ექსკლუზიურ ინტერვიუზე დაგვთანხმდა.



ბესო გულაშვილის ფოტო

მერაბ ჟორდანია: "სერიოზულ წარმატებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ფედერაციაში ჩემი მოღვაწეობის პერიოდში ერთ-ერთ საუკეთესო და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად ალენ ჟირესის მოწვევა მიმაჩნია".

**- არაერთხელ დადასტურებულა, რომ სიჯიუტემდე პრინციპული ადამიანი ხართ. ეს პრინციპულობა ცხოვრებაში უფრო ხელს გიშლით თუ გეხმარებათ?**

- ჩემთვის არსებობს გარკვეული ღირებულებები და ამ ღირებულებებს ვიცავ როგორც საქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში. არასდროს არ ვღალატობ ცხოვრებისეულ პრინციპს. ჩემმა პრინციპულობამ, შესაძლოა, ზიანიც კი მომიტანოს - ასე არაერთხელ მომხდარა, მაგრამ ესეც არ გამხდარა იმის საბაბი, რომ არჩეულ ღირებულებებზე, ცხოვრებისეულ კრედოზე უარი მეთქვას. ეს ჩემი ცხოვრების წესია და სინდისთან კომპრომისზე წასვლას არ ვაპირებ.

**- დღეს ფედერაციისა და მისი პრეზიდენტის მთავარი საზრუნავი ეროვნული ნაკრების ორი უახლოესი მატჩია. მოდით, ჯერ ამ თამაშებს თავი გავანებოთ და უკვე განვლილ გზაზე ვთქვათ. რამდენად კმაყოფილი ხართ ნაკრების მიერ ჩატარებული წინა ოთხი შესარჩევი მატჩით და მათი შედეგებით?**

- სერიოზულ წარმატებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ფედერაციაში ჩემი მოღვაწეობის პერიოდში ერთ-ერთ საუკეთესო და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად ნაკრების უფროს მწვრთნელად ალენ ჟირესის მოწვევა მიმაჩნია. საქართველოში ალბათ არ არსებობს გულშემატკივარი, რომელიც არ თვლის, რომ ეს ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მართლაც, გვჭირდებოდა ჟირესის დონის სპეციალისტის მოწვევა, რათა დიდი მიზნები დაგვესახა და, საერთოდ, დაწყებულიყო ეროვნული გუნდის მშენებლობის სერიოზული პროცესი. თუ უკვე ჩატარებულ ოთხ შესარჩევ მატჩს გადავავლებთ თვალს, შეიძლება ითქვას, რომ შედეგი აშკარაა. მე მატჩებს შედეგს და დაგროვილ ქულებს არ ვგულისხმობ. ფეხბურთის სამყაროში ძალიან კარგად ესმით და დამოუკიდებლად შეუძლიათ დასკვნების გამოტანა. ყველა კარგად ხედავს, თუ რა მიმართულებით ვითარდება ეროვნული ნაკრები. შეიძლება ითქვას, რომ ნაკრები სწორ გზაზე დგას და ეს, რასაკვირველია, ჟირესის უდიდესი დამსახურებაა. დღევანდელზე უკეთესად დაკომპლექტებული ნაკრები გვყოლია, მაგრამ ეს დაკომპლექტება მხოლოდ ცალკეულ თამაშზე თუ ასახულა, სტაბილურობაზე საუბარიც არ იყო. დღეს საქართველოს ნაკრები სერიოზული, ანგარიშგასაწევი ძალაა. მიუხედავად იმისა, როგორი შედეგით დასრულდება მომდევნო ორი მატჩი, დარწმუნებული ვარ, თამაშის ხარისხის, სტაბილურობის თვალსაზრისით პროგრესი კიდევ უფრო თვალნათელი იქნება.

**- ამ წინსვლის მიუხედავად, ეროვნული ნაკრები ფიფას რეიტინგში ჯერჯერობით მე-100 ადგილზეა. საკლუბო დონეზეც საერთაშორისო ასპარეზზე მეტისმეტად უარყოფითი შედეგები გვაქვს. დამეთანხმებით, "დინამოს" შარშანდელი წარმატება უფრო გამონაკლისი და სენსაციაა, ვიდრე კანონზომიერება. რაში ხედავთ გამოსავალს?**

- ნახტომისებურად ვერ განვითარდები. რომ ვთქვა, უახლოესი ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში საქართველოში შეიქმნება კლუბი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მუდმივ ბინადრებს სპორტული ოსტატობით, გნებავთ, შედეგებით გაუტოლდება-მეთქი, მართალი არ ვიქნები. იმისთვის, რომ საკლუბო ფეხბურთი განვითარდეს, პირველ რიგში, უზარმაზარი კაპიტალდაბანდებაა საჭირო. საუბარი არ არის მხოლოდ მაღალი კლასის ლეგიონერებისა და მწვრთნელების ჩამოყვანაზე. გასავითარებელია საფეხბურთო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისი, მენეჯმენტი და ინფრასტრუქტურა. ბოლო დროს ამ მიმართულებით ქართულ საკლუბო ფეხბურთში გარკვეული სასიკეთო ძვრები შეინიშნება. ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში უკვე ხუთი-ექვსი ისეთი გუნდია, რომლებიც ფინანსურადაც და სხვა ასპექტებითაც საკმაოდ წელგამართულები არიან, სერიოზული მეპატრონეებიც ჰყავთ და განვითარების ბიზნესგეგმები არათუ შედგენილი აქვთ, პუნქტობრივად ცდილობენ ამ გეგმების ხორცშესხმას. ეს ყველაფერი ეროვნულ ჩემპიონატში კონკურენციის არსებობის საძირკველია. ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებისა და საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული გამოსვლის მთავარი წინაპირობაც სწორედ კონკურენციაა. დარწმუნებული ვარ, საქართველოში საშუალოევროპული დონის კლუბების შექმნა არცთუ შორეული პერსპექტივაა, რასაც "დინამოს" შარშანდელი გამოსვლაც ადასტურებს.

**- ბილეთების ფასებთან დაკავშირებულმა სკანდალმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. სანამ თანადამფინანსებელი არ გამოჩნდა, ფასის დაწევა ვერ მოხერხდა. გასაგებია, რომ დაბალი რეიტინგის გამო სოლიდურ კომპანიებს ნაკლებად აინტერესებთ ეროვნული ნაკრების სპონსორობა. და მაინც: უფრო მეტი აქტივობა ხომ არ არის საჭირო, რომ მეტი სპონსორი მოიზიდოთ და მსგავს სიტუაციებში აღარ აღმოჩნდეთ?**

- ამ მიმართულებით განსაკუთრებით ბოლო პერიოდში სერიოზული ნაბიჯები გადავდგით. ვსარგებლობ შემთხვევით და პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდი ბატონ გოგი თოფაძეს. "ყაზბეგი" პირველი იყო იმ კომპანიებს შორის, რომლებმაც ეროვნული ნაკრების ფინანსური მხარდაჭერის გადაწყვეტილება მიიღო, რითაც სხვა კომპანიებსაც მისცა ბიძგი. ბატონ ილია კოკაიას აქტიურობით ფედერაციას "ფეროც" გვერდში დადგა.

იმისთვის, რომ ფეხბურთში უფრო მეტი ინვესტიცია ჩაიდოს, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა უნდა შემუშავდეს და სპორტის ამ ყველაზე პოპულარულ სახეობას მთავრობაც გვერდში უნდა დაუდგეს. იმედი მაქვს, საქართველოში მალე შეიქმნება ისეთი ვითარება, რომ ფეხბურთის სპონსორობისა და მასში ინვესტიციის ჩადების სურვილი უფრო მეტ კომპანიას გაუჩნდება.

**- 29 მარტს თბილისში მიშელ პლატინი ჩამოდის. გასაგებია, რომ ამ მეგობრული ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი მისი მეგობრის ალენ ჟირესისა და საქართველოს ნაკრების მხარდაჭერაცაა. თუმცა, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ პლატინის ჩამოსვლა სხვა საკითხებსაც უკავშირდება. რას ელის ამ ვიზიტისგან პლატინი, რომელიც ძალიან მალე უეფას პრეზიდენტის პოსტზე იყრის კენჭს და რას ელით თქვენ?**

- ფეხბურთის ისეთი ლეგენდის სტუმრობა, როგორიც მიშელ პლატინია, ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებას, მოზარდებში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას ძალიან შეუწყობს ხელს. პლატინი დაესწრება საქართველო-თურქეთის მატჩს და, რაღა თქმა უნდა, ეს დამატებითი სტიმული იქნება საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებისთვის. რასაკვირველია, ფეხბურთის მატჩზე დასწრების გარდა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც განვიხილავთ. პირველ რიგში, ეს იქნება უეფას პრეზიდენტის არჩევნების თემა. მოგეხსენებათ, მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ კენჭი იყაროს ამ პოსტზე. მიმაჩნია, რომ პლატინი მართლაც ღირსეული კანდიდატია და ეს პოზიცია უკვე დაფიქსირებული გვაქვს. მაგრამ მხოლოდ ერთი ხმით არ გავუწევ დახმარებას. მე პლატინის საარჩევნო შტაბში ვარ და საარჩევნო კამპანიის დროს გვერდით დავუდგები. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ისეთ ღირსეულ კანდიდატს, როგორიც პლატინია, სერიოზული კონკურენტი არ ეყოლება და იოლად გაიმარჯვებს, მაგრამ ეს ასე არ არის. ჯერჯერობით ოფიციალურად არ გაცხადებულა, თუმცა, არსებობს ინფორმაცია, რომ მსოფლიოში ძალზე ცნობილი ორი-სამი საფეხბურთო მოღვაწე გეგმავს ამ პოსტზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას.

**- მათ შორის, ფრანც ბეკენბაუერიც...**

- არის ასეთი ინფორმაცია, თუმცა, ბეკენბაუერს ჯერ ოფიციალურად არ წამოუყენებია თავისი კანდიდატურა.

**- ცნობილია, რომ პლატინისთან ერთად არა მხოლოდ საარჩევნო, არამედ საფეხბურთო მატჩშიც მოგიწევთ პარტნიორობა...**

- მე და პლატინი შეგიძლიათ ჩაგვთვალოთ თანაგუნდელებად როგორც მწვანე მინდორზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც. სექტემბერში მაროკოში გაიმართება მატჩი უეფას და აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის საფეხბურთო ფუნქციონერებს შორის. ამ თამაშზე მიწვევა უკვე მივიღე და პლატინის გვერდით ვითამაშებ.

**- თუ იგეგმება პლატინის შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან?**

- დიახ, იგეგმება და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ეს შეხვედრა შედგება.

BRITISH AIRWAYS

მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ 24საათის და მისი პარტნიორი ავიაკომპანია ბრითიშ ეარვეისის ვიქტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონში მიმართულებით!

1. რამდენ რეისს ... თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
1. კვირაში ერთ რეისს
2. კვირაში სამ რეისს
3. ყოველდღიურ რეისებს

2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible] 1. 320 2. 747 3. [illegible]
6. [illegible] 1. [illegible] 2. [illegible] 3. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible] (World Traveller) (Club World)
10. [illegible] BMED GB

ინფორმაცია ვიქტორინის მონაწილის შესახებ:

საფეხბურთო გალერეა

# კაფუ: "მინდა, პელეს გავუტოლდე!"

***კაფუ***
*მარკოს ევანჯელისტა კაფუ*
***დაიბადა** 1970 წლის 7 ივნისს*
***სიმაღლე:** 176სმ*
***წონა:** 75კგ*
*მცველი*
***კლუბები:** "სან პაულუ" (სან პაულუ, ბრაზილია, 1987-1994), "სარაგოსა" (სარაგოსა, ესპანეთი, 1994-1995), "პალმეირასი" (სან პაულუ, ბრაზილია, 1995-1997), "რომა" (რომი, იტალია, 1997-2003), "მილანი" (მილანი, იტალია, 2003)*
***ტიტულები:** ბრაზილიის ჩემპიონი - 1991, პაულისტას შტატის ჩემპიონი - 1991, 1992, იტალიის ჩემპიონი - 2002, 2004, იტალიის სუპერთასი - 2002, 2004, ლიბერტადორესის თასი - 1992, 1993, სამხრეთ ამერიკის სუპერთასი (ლიბერტადორესის თასის მფლობელთა ტურნირი) - 1993, რეკოპას თასი (ლიბერტადორესის თასის და სუპერთასის მფლობელთა მატჩის გამარჯვებული) - 1992, 1993, თასების მფლობელთა თასი - 1995, ევროპის სუპერთასი - 2003, საკონტინენტთაშორისო თასი - 1992, 1993, მსოფლიოს ჩემპიონი - 1994, 2002, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი - 1998, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი - 1997, 1999, სამხრეთ ამერიკის ვიცე-ჩემპიონი - 1991, ფიფას კონფედერაციათა თასი - 1997, სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი ("ელ პაისი", ურუგვაი) - 1994, "სან პაულუს" მეოცე საუკუნის სიმბოლური გუნდის წევრი - 2000, ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ზედიზედ სამ ფინალში ითამაშა - 1994, 1998, 2002*
*ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 130 მატჩში გაიტანა 5 გოლი, გუნდის რეკორდსმენი ჩატარებული მატჩების მიხედვით*

მარკოს ევანჯელისტა კაფუს გულშემატკივრები მხოლოდ გვარით იცნობენ - კაფუ თითქმის თხუთმეტი წელიწადია უმაღლეს დონეზე თამაშობს და ამ ხნის მანძილზე არაერთ ჩინებულ გამარჯვებას მიაღწია და წარმოუდგენელი რეკორდებიც დაამყარა.

დღეს კაფუ კახა კალაძის თანაკლუბელია - "მეტეორად" წოდებული 34 წლის მცველი იტალიის ჩემპიონატის ლიდერ "მილანის" ღირსებას იცავს.

ბრაზილიელს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან ხელშეკრულება მომავალი წლის ივლისში ეწურება, თუმცა, არაა გამორიცხული, სილვიო ბერლუსკონის კლუბმა მასთან კონტრაქტი გაახანგრძლივოს.

ისევე როგორც ბევრი მისი თანაკლუბელი, კაფუც სანაკრებო შეკრებაზეა - მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში დაეხმარება თავისიანებს. აქვე დავძენთ, რომ კაფუ "სელესაოს" *(ბრაზილიის ნაკრების მეტსახელი - ლ.გ.)* რეკორდსმენია ჩატარებული მატჩების მიხედვით - თებერვალში, ჰონკონგელებთან 7:1 მოგებულ მატჩში, 130-ედ მოირგო ნაკრების მაისურა.

"ჟორნალ დო ბრაზილისთვის" მიცემულ ინტერვიუში კაფუმ ნაკრებისა და კლუბის შესახებ, ასევე განსახორციელებელ გეგმებზე ისაუბრა.

**- ბრაზილიის ნაკრები შესარჩევ ტურნირში მეორეა. დარჩენილ შვიდ მატჩს ადვილს ვერ უწოდებ - "სელესაოს" რთული გასვლითი მატჩები ელის ურუგვაიში, არგენტინაში, ბოლივიაში... თვლით თუ არა, რომ ბრაზილიის ნაკრები გერმანიის საგზურს უპრობლემოდ მოიპოვებს?**

- მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი მეტოქეები გვყავს, ჩვენი გუნდი დარწმუნებულია: გაისად მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებს. ბრაზილიის ნაკრები ყოველთვის იყო და რჩება უდიდესი საერთაშორისო ტურნირების ფავორიტად და ეს გასაკვირი სულაც არაა. რაც შეეხება მომავალ დაპირისპირებებს, დღესდღეობით მხოლოდ პერუსთან და ურუგვაისთან მატჩებზე ვფიქრობ. ახლა მთავარია, ორივე თამაში მოვიგოთ. დანარჩენზე კი მაშინ ვილაპარაკოთ, როცა იმ თამაშებისთვის შევიკრიბებით.

**- ბოლო ორ შესარჩევ მატჩში ნაკრებმა მხოლოდ ქულა მოიპოვა: კოლუმბიასთან შინ ფრედ ითამაშა, ეკვადორში კი დამარცხდა. რაც ყველაზე შემაშფოთებელია, გუნდმა გოლი ვერ გაიტანა. დასრულდება თუ არა წარუმატებლობათა სერია პერუსთან და ურუგვაისთან?**

- დავიწყოთ იმით, რომ თქვენს მიერ ნახსენები ორი მატჩი გასული წლის მიწურულს შედგა და მეეჭვება, იმ შედეგებმა ახლა ჩვენს თამაშზე რაიმე ზეგავლენა მოახდინოს. მეორე: ბრაზილიის ნაკრების წარუმატებლობა და უგოლობა, როგორც წესი, ერთი-ორი თამაშით "შემოიფარგლება". ასე რომ, ვფიქრობ, გოლებსაც გავიტანთ და ექვს ქულასაც მოვიპოვებთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენს შეტევაში რონალდინიო და რონალდო თამაშობენ! პირველი ფიფამ 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა, მეორე კი სამხრეთ ამერიკის ზონის საუკეთესო ბომბარდირია - უკვე ცხრა გოლი გაიტანა!

**- ტრავმის გამო ნაკრებს ვერ დაეხმარება ადრიანო. არაა გამორიცხული, მას საკმაო პერიოდი გაუცდეს. თვლით თუ არა, რომ მისი არყოფნა ნაკრებისთვის დიდი დანაკლისია?**

- ადრიანო ჩინებული თავდამსხმელი და მეგობარია. ცხადია, გული დამწყდა რომ ვერ ითამაშებს, მაგრამ ნაკრებში არიან ფორვარდები, რომლებიც მის შეცვლას შეძლებენ.

**- არაა გამორიცხული, ადრიანომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალებიც გამოტოვოს...**

- თუ ამას იზამს, ძალიან კარგი ბიჭი იქნება! "ინტერში" ახლა თუ ვინმეა სახიფათო, უპირველეს ყოფლისა, სწორედ ის!

**- ნაკრებს დავუბრუნდეთ. თქვენ "სელესაოს" რეკორდსმენი ხართ - 130 მატჩი რჩეულ ბრაზილიელ ფეხბურთელთა შორის არავის უთამაშია...**

- ეს ფაქტი ძალიან მახარებს და სანამ უმაღლეს დონეზე ვითამაშებ, ყოველთვის ვეცდები, ნაკრებში ადგილი მოვიპოვო. სიმართლე გითხრათ, ეს რეკორდი ჩემი თვითმიზანი არასდროს ყოფილა. უბრალოდ, ასე გამოვიდა - როცა წლიდან წლამდე მუდმივად თამაშობ გუნდში, სტატისტიკური მონაცემებიც უმჯობესდება...

**- თქვენ ერთადერთი ფეხბურთელი ხართ დედამიწის ზურგზე, ვისაც მსოფლიო ჩემპიონატის ზედიზედ სამ ფინალში უთამაშია. ამათგან ერთი წააგეთ, ორი კი მოიგეთ. როგორ ფიქრობთ, ბრწყინვალე სერია გერმანიაშიც გაგრძელდება?**

- თუ გერმანიაში თამაშის საშუალება მომეცა, არა მარტო მე, ყველა ბრაზილიელი ფეხბურთელი იბრძოლებს ფინალში გასვლისთვის. ძალიან მინდა, მეოთხედ გავიდე ფინალში და მესამედ მოვიგო მსოფლიო ჩემპიონატი. თუ ეს შევძელი, უზომოდ ბედნიერი ვიქნები - ამ შედეგით პელეს გავუტოლდები! თუმცა, მხოლოდ სამი ოქროს მედლით. სხვა მხრივ პელე მიუწვდომელია!

**- ნაკრები წელიწადის მანძილზე ოცამდე მატჩს ატარებს, თქვენ და ევროპის წამყვან კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები კი ნახევარზე მეტ მატჩებში არ თამაშობთ. რატომ?**

- ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი ისაა, რომ ევროპაში კალენდარი ძალიან გადატვირთულია: ეროვნული ჩემპიონატი, საკლუბო ტურნირები... ამას დაუმატეთ იტალიიდან, ესპანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ბრაზილიაში მგზავრობა და უკან დაბრუნება, რაც ფეხბურთელზე უარყოფითად მოქმედებს... თანაც, ბრაზილიაში არაერთი ჩინებული მოთამაშეა, რომელთა ნაკრებში გასინჯვა აუცილებელიცაა. მნიშვნელოვან მატჩებში - შესარჩევ ტურნირში ან კონტინენტურ პირველობაზე - მწვრთნელები გამოცდილ ფეხბურთელებს ენდობიან, ამხანაგური თამაშებისთვის კი ნაკრების კანდიდატებს იწვევენ. თუმცა, თუ ბრაზილია ევროპაში თამაშობს, ცხადია, მის ღირსებას ჩვენც ვიცავთ.

**- შარშან "სელესაომ" სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი მოიგო. "კოპა ამერიკაზე" თამაშზე თქვენ და არაერთმა ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა უარი თქვა. რატომ?**

- ისევ და ისევ გადატვირთული კალენდრის გამო. ევროპაში თამაში ფეხბურთელს დიდ ძალას ართმევს და როცა დასვენების შანსი გეძლევა, უნდა გამოიყენო. "კოპა ამერიკა" ივლისში გაიმართა. ამ დროს რომ არ დამესვენა და ძალა არ აღმედგინა, კლუბს ვერ დავეხმარებოდი... მგონი, ჩემი არყოფნით ნაკრებს არაფერი დააკლდა - ბრაზილია ხომ ჩემპიონი გახდა!



*კაფუ: "ძალიან მინდა, მეოთხედ გავიდე ფინალში და მესამედ მოვიგო მსოფლიო ჩემპიონატი."*

**- 17 აგვისტოს ბრაზილიის ნაკრები სპლიტში ხორვატიას დაუპირისპირდება. სავარაუდოდ, ამ მატჩში თქვენც ითამაშებთ...**

- ვნახოთ, ზაფხულამდე არაერთი მატჩია...

**- "მილანზე" გადავინაცვლოთ. თქვენი კლუბი იტალიის ჩემპიონატს ლიდერობს და ჩემპიონთა თასისთვისაც იბრძვის. თვლით თუ არა, რომ ორივე ტურნირის მოგება შეგიძლიათ?**

- ამქვეყნად ყველაფერი შესაძლებელია, უბრალოდ, ზოგის ალბათობა დიდია, ზოგიერთის - არა. ორივე ტურნირში გამარჯვება ძნელი იქნება, მაგრამ "მილანი" ბრძოლისთვის მზადაა! ჩემი აზრით, ჩემპიონთა ლიგის მოგება უფრო ადვილი იქნება - რაც უნდა იყოს, ხუთი კონკრეტული მატჩი გაქვს მოსაგები, სერია ა-ში კი ბრძოლა ტურიდან ტურამდე კი არა, წუთიდან წუთამდე გრძელდება.

**- ასაკის მიუხედავად, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი ხართ. როგორ ახერხებთ წლიდან წლამდე უმაღლეს დონეზე თამაშს?**

- ვარჯიშით და საქმის სიყვარულით! ფეხბურთი უზომოდ მიყვარს, თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ჩემთვის ვარჯიში საყვარელი საქმის კეთებაა, ეს კი მხოლოდ მახარებს!

**- თქვენ 34 წლის ხართ, პაოლო მალდინი ორი წლით უფროსია. არც იააპ სტამს, ალესანდრო კოსტაკურტას და ჯუზეპე პანკაროს ეთქმით ახალგაზრდები. მიუხედავად ამისა, "მილანის" დაცვა შესანიშნავია...**

- საიდუმლო გამოცდილებაშია. ყველა ჩვენგანმა შესანიშნავად იცის დაცვაში მოქმედება და უამრავი დიდებული ფეხბურთელის წინააღმდეგ უთამაშია. ერთ რამეს გეტყვით: ძალიან ძნელია ჩვენი გაკვირვება...

**- "მილანში" თქვენი სადებიუტო სეზონი ჩინებული გამოდგა - ევროპის სუპერთასი და იტალიის ჩემპიონატი მოიგეთ. წლევანდელი წლისგან მეტს ელით?**

- იტალიის სუპერთასი უკვე მოვიგეთ! ახლა მორიგი სკუდეტოს და ჩემპიონთა ლიგის დროა! სიმართლე გითხრათ, ლიგის მოგება მირჩევნია - მიმაჩნია, რომ საკლუბო დონეზე ამაზე ძლიერი ტურნირი და მნიშვნელოვანი ტიტული არ არსებობს!

**- "მილანთან" კონტრაქტი გაისად, მსოფლიო ჩემპიონატის წინ გეწურებათ. გინდათ თუ არა ხელშეკრულების გახანგრძლივება?**

- მინდა, მაგრამ სხვა საქმეა, რას გადაწყვეტს კლუბი. გუნდში შესანიშნავი სიტუაციაა, ჩინებული თანაგუნდელები მყავს, ყოველ წელიწადს ჯილდოებისთვის ვიბრძვით... სხვა რა არის საჭირო ფეხბურთისგან სიამოვნების მისაღებად? ვნახოთ, რას გადაწყვეტს ხელმძღვანელობა.

**- თუ ესაუბრეთ ადრიანო გალიანის?**

- მან იცის, რომ "მილანში" დარჩენა მინდა და მოლაპარაკებისთვის მზად ვარ. ესაა და ეს.

**- რამდენიმე დღის წინ კლუბის კაპიტანმა პაოლო მალდინიმ 2007 წლის 1 ივლისამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი...**

- პაოლო და "მილანი" განუყრელნი არიან. მალდინი კლუბის სიმბოლოა! არ გამიკვირდება კიდევ დიდხანს რომ დარჩეს გუნდში. სასიამოვნო იქნება, თუ მეც მის მხარდამხარ ვითამაშებ. ერთი სიამოვნებაა ამ დონის ფეხბურთელთან ერთად მოედანზე გასვლა!

**- ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდებოდით და "სან პაულუში" დაასრულებდით კარიერას. ახლაც ამავე აზრის ხართ?**

- რაც შეეხება თამაშის შეწყვეტას, მგონი, ფეხბურთიდან წასვლით გული დამწყდება. ამიტომ, არაა გამორიცხული, კარიერა გავაგრძელო. დავბრუნდები თუ არა ბრაზილიაში? ვნახოთ. მინდა, ევროპაში რაც შეიძლება მეტს მივაღწიო. "მილანში" უდავოდ მაქვს ამის საშუალება. რაც შეეხება "სან პაულუს", ეს კლუბი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, იმაზე მეტს, ვიდრე საყვარელი კლუბი!

**- დაბოლოს, ლიგის მეოთხედფინალში "ინტერს" ხვდებით. ჩემპიონატში თანაქალაქელებს უსწრებთ, მაგრამ სათასო ტურნირი სხვაა. აჯობებთ მეტოქეს?**

- დასაწყისში გითხარით, ადრიანო თუ არ ითამაშებს, კარგი იქნება-მეთქი. მისი არყოფნა "ინტერისთვის" აუნაზღაურებელი დანაკლისია, ოღონდ ეს კლუბი ერთი მოთამაშის გუნდი არაა. ურთულესი მატჩები იქნება, თუმცა მჯერა, ნახევარფინალში ჩვენ გავალთ! იმედია, ჩემპიონატის დარად, ევროსარბიელზეც ვაჯობებთ!

**მოამზადა ლაშა გოდუაძემ**

# ჩოლარია წესრიგს, უსაფრთხოებას და სავსე სტადიონს გვპირდება

მიხეილ აბაიშვილი

"ყველა საორგანიზაციო საკითხი გადაწყვეტილია და საქართველოს ნაკრების ორი უახლოესი შესარჩევი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაივლის. გუშინ ქალაქის პრემიერთან თემურ ქურხულთან გაიმართა სამუშაო თათბირი, სადაც საბოლოოდ შეთანხმდა ყველა საკითხი", - ასეთი განცხადება გააკეთა "24 საათთან" საუბარში ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ. ფედერაციამ უკვე გადარიცხა საჭირო თანხა და უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები იქნება მიღებული. "სტადიონზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დაცვის პოლიციის 450 თანამშრომელი, ქალაქის პოლიციის 150 წარმომადგენელი, დაცვის კერძო სამსახურის "დელტა სერვისის" 75 მუშაკი, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს 250 თანამშრომელი და საქართველოს პრეზიდენტის დაცვა. ხოლო სტადიონს გარეთ იმორიგევებს ქალაქის პატრული. წესრიგის დაცვაში მონაწილეობას მიიღებენ ფედერაციის მიერ დაქირავებული კონტროლიორები და სფფ-ს თანამშრომლები", - აღნიშნა ჩოლარიამ.

იმის შიშიც, რომ სიძვირის გამო ბილეთები არ გაიყიდებოდა, არ გამართლდა. მხოლოდ 5 ათასამდე ბილეთია დარჩენილი და, გენმდივნის ვარაუდით, თამაშის დაწყებამდე ისიც გაიყიდება.

"16 ათასამდე ბილეთი უკვე გაყიდულია. დარჩენილია 5 ათასამდე ბილეთი, თუმცა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბევრი გულშემატკივარი ბილეთს მატჩის წინა დღეს ან მატჩის დღეს ყიდულობს. ასე რომ, შეიძლება ვივარაუდოთ: საბერძნეთის ნაკრებთან მატჩში საქართველოს ნაკრებს სავსე სტადიონი უქომაგებს. ასევე შემიძლია გითხრათ, რომ მიღებულია გადაწყვეტილება თურქეთთან მატჩის ბილეთებთან დაკავშირებითაც. 14 ათასი ბილეთი ისევ 10 ლარი ეღირება, 40-ლარიანი ბილეთების ნაწილის ფასი კი დაწეულია. კერძოდ, 5 ათასი ბილეთი 20 ლარამდე ჩამოვაფასეთ. 40 ლარად მხოლოდ 2 ათასი ბილეთი გაიყიდება. 50-ლარიანი ბილეთი სულ 300 ცალი დაიბეჭდება და დღესვე დაგიდასტურებთ, რომ უკვე გაყიდულია", - განაცხადა გენერალურმა მდივანმა.

ქვეყანაში არსებული ენერგოკრიზისის მიუხედავად, ვალერი ჩოლარიას მტკიცებით, სტადიონს ჩაბნელება აღარ ემუქრება. "სტადიონზე დამონტაჟებულია ორი მძლავრი გენერატორი, რომელთა ტესტშემომწებაც უკვე განხორციელებულია. ამ გენერატორებს შეუძლიათ ოთხი საათის განმავლობაში სტადიონი უწყვეტი ელექტროენერგიით მოამარაგონ", - შეგვპირდა ჩოლარია.


სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

თქვენი ფოტოსურათი

# "ალფა რომეო" ახალ ცხოვრებას იწყებს



ალფა რომეო 159



ალფა რომეო ბრერა

მას შემდეგ, რაც წლის დასაწყისში "ჯენერალ მოტორსს" დაშორდა, "ფიატმა" თავისივე მფლობელობაში მყოფი "ფერარისგან" კომპანია "მაზერატი" გამოისყიდა და თავის კიდევ ერთ კუთვნილ კომპანიასთან, "ალფა რომეოსთან" დააჯგუფა. როგორც იტალიური კონცერნის ახალი შეფი, იტალიური წარმოშობის კანადელი ფინანსისტი სერჯო მარკიონე ამბობს, "ალფა რომეოს" გადარჩენისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება აშშ-ის ბაზარზე მის დაბრუნებას.

"ალფა რომეოსა" და "მაზერატის" დაჯგუფებას ერთი მთავარი მიზანი აქვს - ამიერიდან ეს კომპანიები საერთო პლატფორმებს გამოიყენებენ და თავიანთ პროდუქციას მეტწილად აშშ-ში გაასაღებენ. გარდა ამისა, იტალიურ და ამერიკულ კონცერნებს შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, "გენერლები" თავიანთი წარმოების ძრავ "ნორთსტარ V8-თი" ტურინელთა ავტომობილების მომარგებას კისრულობენ. ეს კი პირველ რიგში, "ალფა რომეოსა" და "მაზერატის" გამოადგებათ.

აშშ-ის ბაზარზე დაბრუნების გზაზე ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯი იქნება აშშ-ში გამოცდილი დილერების გადაბირება. დღეისათვის იქ "მაზერატის" თავისი დილერები კი ჰყავს, მაგრამ მათი რაოდენობა არასაკმარისია. თანაც, კომპანიაც მყიდველს ჯერჯერობით მხოლოდ ორ, ძვირად ღირებულ მოდელს სთავაზობს.

არცთუ შორეულ მომავალში, "მაზერატის" სამოდელო გამაში ორი ახალი ავტომობილი - შემდგომი თაობის სპაიდერი და ქროსოვერი "კუბანგი" გამოჩნდება და ორივე ეს ავტომობილი "ალფას" პრემიუმ პლატფორმაზე იქნება ბაზირებული.

რაც შეეხება "ალფა რომეოს" აშშ-ში დაბრუნებას, მარკიონე ამბობს, რომ იქაურ ბაზარზე მილანელები ოთხ მოდელს გაიტანენ. ესენია სედანი 159 და კუპე "ბრერა", რომელთა დებიუტი ჟენევის წლევანდელ ავტოსალონზე შედგა, ახალი "სპაიდერი", რომლის პრემიერაც ჟენევის მომავალი წლის ავტოსალონისთვისაა დაგეგმილი და უგზოობის ავტომობილი, რომელიც კონცეპტკარ "კამალის" მოდიფიცირებული ვარიანტი იქნება და სწორედ "ნორთსტარის" ძრავით აღიჭურვება.

ჟენევის ავტოსალონზე "ალფა რომეოს" ახალმა შეფმა, "როლს როისიდან" გადაბირებულმა კარლ-ჰაინც კალბფელმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში მისი კომპანია გაყიდვების წლიურ მოცულობას 300 ათასამდე გაზრდის, ეს კი დაახლოებით 60 პროცენტით მეტია მილანელთა მიერ შარშან რეალიზებულ (დაახლოებით 180 ათასი) ავტომობილებზე.

კალბფელის თქმით, აშშ-ის ბაზრის გარდა, "ალფა რომეო" გერმანიის ბაზარზეც აპირებს ექსპანსიას, სადაც დღეისათვის ამ იტალიურ მარკას ბაზრის მხოლოდ 0.5 პროცენტი აქვს დაკავებული.

ახლა კი უფრო ახლოს გავეცნოთ იმ ორ ავტომობილს, რომლებზეც კალბფელი და მისი კომპანია დიდ იმედებს ამყარებენ. ესენია სედანი "ალფა რომეო 159" და კუპე "ალფა რომეო ბრერა".

**ალფა რომეო 159**

მილანური კომპანიის სამოდელო გამის ფლაგმანი დღემდე მოდელი 156 იყო, თუმცა ის საკმაოდ მოძველდა და დიდი ხანია, შემცვლელს საჭიროებს. ასეთად თითქოს სედანი 157 მოევლინა, თუმცა მასაც მალე დასჭირდა შეცვლა და აი, ჟენევაში ავტოსალონის დამთვალიერებელმა ეს შემცვლელიც იხილა.

ესაა სედანი 159, რომლის მონახაზი ჯერ კიდევ ორი წლის წინ წარმოადგინა იტალიურმა ატელიე "ჯუჯარომ". იმ კონცეპტუალური ნამუშევრის შემდგომი დამუშავებისას ჯორჯეტო ჯუჯაროს "ალფა რომეოს" დიზაინერებთან ერთად მოუწია მუშაობამ და შედეგად იშვა სედანი 159.

ახალი ავტომობილი, სხვა "ალფებისა" არ იყოს, შორიდანვე იცნობა. წინიდან მას გამოარჩევს დიდი ზომის საფირმო რადიატორი, რომელსაც მილანის გერბი ამშვენებს და წინა მაშუქები, რომელთა ნიშა კაპოტს მთელ სიგანეზე გასდევს, მის პარალელურად კი ბამპერს ქვედა მხრიდან დიდი ჰაერის ამღები გაჰყვება. უკანა მხრიდან ავტომობილის განმასხვავებელი სტოპ-მაშუქებია, რომლებიც ასევე ვიწრო ზოლადაა შესრულებული და წინა მაშუქებისა არ იყოს, საკმაოდ ღრმად შედის საბარგულის მოყვანილობაში. უკანა ბამპერში ორიგინალური ფორმის სანომრე ნიშაა ამოკვეთილი.

ავტომობილი ბაზირებულია "ალფა რომეოს" ახალ პლატფორმა "პრემიუმზე", რომელზეც იტალიური კონცერნი დიდ იმედებს ამყარებს. 159 საგრძნობლად დიდია წინამორბედზე და თავისი გაბარიტებით ის უახლოვდება უფრო მაღალი კლასის სედან 166-ს. ახალი ავტომობილის გაბარიტებია: სიგრძე 4.66 მეტრი, სიგანე 1.83 მეტრი, თვლებს შორის ბაზა კი - 2.7 მეტრი. ამ ზომებით, "ალფა 159" საშუალო ზომის ევროპული სედანების კლასში გადაინაცვლებს.

როგორც ყოველთვის, მილანური კომპანია აქცენტს ბენზინის ძრავებზე აკეთებს. ამ ძრავებში ყველაზე მძლავრი 3.2-ლიტრიანი V6-ია, რომელიც 260 ცხ.ძალას გამოიმუშავებს. ამ ძრავით აღიჭურვება 150-ის ტოპ-ვერსია GTA. საბაზო ძრავი კი არის 1.9-ლიტრიანი JTS, რომლის სიმძლავრე 160 ცხენის ძალაა. არის კიდევ ერთი ბენზინის აგრეგატი. ესაა 2.2-ლიტრიანი ძრავი, რომლის სიმძლავრე 185 ცხ. ძალაა.

გარდა ამისა, საწარმოო პროგრამაში გათვალისწინებულია დიზელზე მომუშავე სამი აგრეგატის გამოყენება. მათგანაც საბაზოა 1.9-ლიტრიანი, რვასარქველიანი ძრავი 120 ცხენის ძალით. მას მოსდევს იმავე მუშა მოცულობის, ოღონდ 16-სარქველიანი აგრეგატი, რომლის სიმძლავრე 150 ცხ.ძალაა. მესამე კი არის 2.4-ლიტრი მუშა მოცულობის მქონე, 5-ცილინდრიანი JTD, რომლის სიმძლავრეც 200 ცხ.ძალას აღწევს.

ამ ძრავებთან შეწყვილებულია 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი, რომელსაც შესაბამისი შეკვეთის შემთხვევაში, დილერები შეცვლიან ამდენივე საფეხურის მქონე ავტომატური კოლოფით "სელესპიდ". სტანდარტულ ვარიანტში ავტომობილს წინა წამყვანი თვლები აქვს, სურვილის შემთხვევაში კი მყიდველი მიიღებს ყველა წამყვანთვლიანი ტრანსმისიით აღჭურვილ ავტომობილს.

"ალფა რომეო 159" აღჭურვილია რიგი ელექტრონული სისტემებით, რომლებმაც მძღოლს მართვა უნდა გაუადვილონ. მათგან საბაზო აღჭურვაში შევა ავტომობილის დინამიკური სტაბილურობისა და მუხრუჭების ბლოკირების საწინააღმდეგო სისტემები, წამყვანი თვლების მოსრიალების საწინააღმდეგო სისტემა, მუხრუჭების გამაძლიერებელი და სისტემა "ჰილ ჰოლდერ", რომელიც მძღოლს ავტომობილის აღმართში დაძვრაში შეეშველება.

მძღოლისა და მგზავრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალება უსაფრთხოების 8 პნევმობალიშს, რომელთა შორისაც არის გვერდითი პნევმო-ფარდები და მძღოლისა და წინა მგზავრის მუხლების დამცველი ბალიშები. გარდა ამისა, ყველა სავარძელი აღიჭურვება წინასწარი დაჭიმვის რეჟიმის მქონე ღვედებით და კისრის "აქტიური" დამცავებით.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ფასი დაედება "ალფა რომეო 159-ს", რომლის გაყიდვების დაწყება ზაფხულისთვისაა დაგეგმილი. სწორედ გაყიდვების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გამოცხადდება ავტომობლის ღირებულებაც.

**ალფა რომეო ბრერა**

იმ ავტომობილს, რომელიც ჯუჯაროს ატელიემ ორი წლის წინ, ჟენევაში წარადგინა, "ბრერა" ერქვა. მან დიდი მოწონება კი დაიმსახურა, მაგრამ დიდი ფიქრის შემდეგ, კომპანიამ ვერ გარისკა მისი კონვეიერზე დაყენება. თუმცა, ათასი ცალი მაინც დაამზადა და სოლიდურ ფასში გაყიდა. არადა, პრემიერის დროს გამოცხადდა, რომ ამ ავტომობილით "ალფა რომეო" აშშ-ის ბაზარზე დაბრუნებას აპირებდა.

გავიდა დრო და "ალფა რომეოს" ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება შეცვალა და ამ სიმპათიური მოდელის წარმოებას მწვანე შუქი აუნთო. და აი, ჟენევის წლევანდელი ავტოსალონის დამთვალიერებელმა უკვე წარმოებისთვის მომზადებული "ბრერა" იხილა.

ამ ელეგანტურ კუპეში ჰარმონიულადაა შერწყმული დახვეწლი გარეგნობა, ფართო სალონი და რაც მთავარია, მისთვის დამახასიათებელი იერი, რომლის წყალობითაც ის შორიდანვე იცნობა. ის ოდნავ პატარაა სედან 159-ზე და რაც მთავარია, იმავე, პრემიუმ პლატფორმაზეა ბაზირებული. ავტომობილის გაბარიტებია: სიგრძე 4.414 მეტრი, სიგანე 1.830 მეტრი, სიმაღლე კი - 1372 მეტრი. მაგრამ დიზაინი ისეთია, რომ "ბრერა" კომპაქტური ავტომობილის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამასთან, მისი ადგილების ფორმულაა 2+2.

"ალფასათვის" ცოტა არ იყოს, უცნაური დიზაინერული გადაწყვეტაა ფართო შუშის სახურავი, რომლის წყალობითაც, ავტომობილის ინტერიერი დღის სინათლით ნათდება.

"ბრერას" აღჭურვისთვის განკუთვნილია სამი ძრავი, რომელთაგან ორი ბენზინისაა, ერთიც - დიზელისა. ბენზინის ძრავების მუშა მოცულობებია 2.2 და 3.2 ლიტრი. მათგან პირველის (JTS) სიმძლავრე 168 ცხ.ძალაა, მეორისა კი - 236 ცხ.ძალა. მესამე ძრავია "ფიატის" კონსტრუქციის ტურბოდიზელი JTD, რომლის მუშა მოცულობა 2.4 ლიტრია, სიმძლავრე კი - 218 ცხ.ძალა. მათთან შეწყვილდება 6-საფეხურიანი მექანიკური, ან ავტომატური გადაცემათა კოლოფი.

ამ ავტომობილის გაყიდვები, პირველ რიგში, ევროპაში დაიწყება. იგი ბაზარს სედან 159-თან ერთად ეწვევა. ჯერჯერობით უცნობია მისი ფასი, სამაგიეროდ, "ალფა რომეოს" ხელმძღვანელები არ მალავენ, რომ "ბრერაზე" დიდ იმედებს ამყარებენ, რადგან ამ ავტომობილმა უნდა აღადგინოს მარკის შელახული პრესტიჟი.

# "ფიატი" ძველ მოდელებს აცოცხლებს





ფიატ X1/99



ფიატ ქრომა

მას შემდეგ, რაც "ფიატმა" 1994 წელს შეწყვიტა მოდელ "ქრომას" წარმოება, მის საწარმოო პროგრამაში აღარ დარჩა არცერთი საშუალო და დიდი ზომის ავტომობილი და თქვენ წარმოიდგინეთ, აქამდე მისი შემცვლელიც კი არ გამოჩენილა. დროთა განმავლობაში, კონცერნი მძიმე კრიზისში ჩაეფლო და ამის გამო, საწარმოო პროგრამის გადახალისება არ ხერხდებოდა. თუმცა, ისიც აშკარა იყო, რომ ახალი ავტომობილების ბაზარზე გამოჩენის გარეშე, კრიზისის დაძლევაც შეუძლებელი იქნებოდა.

ამ მხრივ, ტურინელებმა გარკვეული შვება მას შემდეგ იგრძნეს, რაც "ჯენერალ მოტორსთან" პარტნიორული ხელშეკრულება გააფორმეს. ის ურთიერთობა ახლახან შეწყდა, თუმცა "ფიატი" მაინც ნახეირები დარჩა. გარდა იმისა, რომ "გენერლებმა" კონტრაქტის გამოსასყიდად ტურინელებს 1.55 მილიარდი გადაუხადეს, "იპსილონ" პლატფორმის გამოყენების უფლებაც დაუტოვეს, თავად კი იტალიური კომპანიის მიერ შემუშავებულ, დიზელის ძრავების წარმოების ტექნოლოგიის გამოყენების უფლება მოიპოვეს.

"ფიატმა" საშუალო ავტომობილის შექმნაზე მუშაობა მაშინვე დაიწყო, როგორც კი "ჯენერალ მოტორსის" პლატფორმა "იპსილონის" გამოყენების საშუალება მიეცა. სხვათა შორის, ამ პლატფორმას ამერიკული კონცერნი ახალი "ოპელ სიგნუმის" და "სააბ 9-3-ს" წარმოებისას იყენებს, იტალიელები კი იმავე პლატფორმაზე აგებენ "ალფა რომეოს" სედან 166-სა და მოდელ "სპაიდერს".

და აი, ჟენევაში ტურინელებმა წარადგინეს ახალი "ქრომა", რომელიც ევროპული კლასიფიკაციით D კლასის ჰეჩბეკებს მიეკუთვნება. ზოგიერთი სპეციალისტი კი ამ ავტომობილს უნივერსალადაც მოიხსენიებს. უნდა ითქვას, რომ "ფიატი" ადრეც მხოლოდ ჰეჩბეკის ძარიან "ქრომას" აწარმოებდა და მისი სედანისძარიანი ვარიანტი არასოდეს დაუმზადებია. შესაძლოა, ამჯერად ეს ტრადიცია დაირღვას. თუმცა, პირველ რიგში, ბაზარზე სწორედ ჰეჩბეკი გამოჩნდება.

ახალი "ქრომა" დიზაინერ ჯორჯეტო ჯუჯაროს შემოქმედების ნაყოფია. ავტომობილის გაბარიტებია: სიგრძე 4.75 მეტრი, სიგანე 1.77 მეტრი, სიმაღლე 1.6 მეტრი, თვლებს შორის ბაზა კი - 2.83 მეტრი. ამ გაბარიტებით, ის უფრო დიდი ზომის ავტომობილია, ვიდრე იმავე პლატფორმაზე დამზადებული სხვა ავტომობილები. მისი უკანა სავარძლები ორ ნაწილადაა გაყოფილი და მათი ფართო დიაპაზონში რეგულირებაა შესაძლებელი.

"ფიატის" განცხადებით, ახალი "ქრომას" აღსაჭურვად განკუთვნილია 5 ახალი ძრავა, რომლებსაც "ფიატისა" და "ჯენერალ მოტორსის" ერთობლივი საწარმო "ფიატ-GM პაუატრაინი" უშვებს. მათგან ორი (1.8-ლიტრიანი 130 ცხ.ძალით და 2.2-ლიტრიანი 150 ცხ.ძალით) ბენზინზე მუშაობს, სამი (1.9-ლიტრიანი 120 და 150 ცხ.ძალით, ასევე 24-ლიტრიანი 200 ცხ.ძალით) კი - დიზელზე. დიზელის სამივე აგრეგატი ტურბოკომპრესორითაა აღჭურვილი და მათი წარმოებისას გამოყენებულია "ფიატის" ტექნოლოგია JTD, რომლის გამოყენების უფლებაც "ჯენერალ მოტორსმაც" მიიღო.

ამ ძრავებთან შეწყვილდება 6-საფეხურიანი მექანიკური, ან 5-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი, რომლებიც ასევე "ფიატისა" და "ჯენერალ მოტორსის" ერთობლივი მუშაობის შედეგია.

ახალი "ქრომას" წარმოება დაევალება იტალიის სამხრეთში მდებარე ქალაქ კასინოს ქარხანას. მისი დებიუტი ჟენევის ავტოსალონზე შედგა, გაყიდვები კი პირველად იტალიაში, ივნისიდან დაიწყება. სხვათა შორის, პირველმა "ქრომამ" კონვეიერზე თითქმის ათი წელი გაძლო, მაგრამ დიდი პოპულარობით ვერ დაიკვეხნიდა - 1985-1994 წლებში "ფიატიმა" ის სულ 450 ათასიანი ტირაჟით დაამზადა. სამაგიეროდ, "ქრომა" არის მსოფლიოში პირველი ავტომობილი, რომელზეც გამოყენებულ იქნა საწვავის უშუალოდ წვის კამერაში შეფრქვევის სისტემის მქონე დიზელის ძრავები.

ახალი "ქრომას" გარდა, ჟენევაშივე "ფიატმა" წარადგინა კონცეპტუალური კუპე X1/99, რომლის დიზაინიც ევროპის დიზაინის ინსტიტუტის სტუდენტების ნამუშევარია. სტუდენტების გარდა, კონცეპტალური მოდელის დიზაინის სრულყოფაზე ფირმა "ვებასტოსა" და უშუალოდ "ფიატის" სტილისტებიც გაისარჯნენ. სხვათა შორის, ამ უკანასკნელთა მიერაა შემუშავებული ავტომობილის მოსახსნელი სახურავი, ურომლისოდაც კუპე როდსტერად გარდაიქმნება. თანაც, "ვებასტოს" ინჟინრების საზრიანობისა და მოხერხების წყალობით, დაკეცვის შემდეგ სახურავი დამატებით უკანა სავარძელს ქმნის.

ამ კონცეპტკარით ტურინელებმა გაიხსენეს 70-იან წლებში პოპულარული კუპე "ფიატ X1/9" და არაა გამორიცხული, ამ ავტომობილმა განვითარება ჰპოვოს და ახლო მომავალში კომპანიის სამოდელო გამა შეავსოს.

ავტომობილი, რომლის ადგილების ფორმულაა 2+2, დამზადებულია მოდელ "ფიატ პუნტოს" პლატფორმაზე. მისი სიგრძე 4.06 მეტრია, სიგანე - 1.79 მეტრი, სიმაღლე - 1.29 მეტრი, თვლებს შორის ბაზა კი - 2.57 მეტრი.

ამ ავტომობილის კონსტრუქციის თავისებურება ისაა, რომ მას გრძელი კარები აქვს, რათა გაადვილდეს მასში ჩაჯდომა. ამასთან, ძარას არ გააჩნია შუა საყრდენი და მის სიხისტეს უზრუნველყოფს უკანა, მძლავრი საყრდენი, რომელიც თითქმის უკანა ბორბლის ზემოთ კრავს ძარას.

ავტომობილის წინა ნაწილი გამოირჩევა რადიატორის უზარმაზარი "ხახითა" და მაშუქებით, რომლებიც რაღაცით "ლამბორგინი გალიარდოს" მაშუქებს მოგვაგონებს. შუა საყრდენის არარსებობამ ავტომობილს დინამიკური გამომეტყველება მიანიჭა. ამასთან, ის რაღაცით კუპე X1/9-საც ჰგავს.

დღეს ამ მოდელის სერიულ წარმოებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, თუმცა ისიც სათქმელია, რომ "ფიატის" ხელმძღვანელობა უკვე დიდი ხანია, აპირებს იაფფასიანი სპორტული კუპეს წარმოების დაწყებას, რომელიც რომელიმე სერიული მოდელის პლატფორმაზე იქნება ბაზირებული.

# "ლანჩას" განუხორციელებელი ოცნება

იყო დრო, როცა იტალიურ კომპანია "ლანჩას" მთელ მსოფლიოში სპორტული ავტომობილების მწარმოებლის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ ის დრო წარსულს ჩაბარდა და დღეს იტალიური ავტოინდუსტრიის ეს ძველი სიამაყე დღეს "ფიატის" მფლობელობაში სულს ლაფავს, რისი მთავარი მიზეზი ისაა, რომ "ლანჩა" თითქმის აღარ აწარმოებს სპორტულ ავტომობილებს.

და აი, ჟენევის წლევანდელ ავტოსალონზე კომპანიის სტენდზე გამოჩნდა მოდელი, რომელიც შეიძლება "ლანჩას" გადარჩენის დასაწყისიც კი გახდეს. ესაა სუბკომპაქტურ ჰეჩბეკ "იპსილონის" ბაზაზე შექმნილი სპორტული პროტოტიპი, რომელიც 150-ცხენისძალიანი, 1.9 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე ტურბოდიზელითაა აღჭურვილი.

მწარმოებელი ამტკიცებს, რომ ამ აგრეგატმა სკრუპულოზური სრულყოფის კურსი გაიარა, რისი წყალობითაც, ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 212 კმ/სთ-ს აღწევს, ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფა კი 7.9 წამში შეუძლია.

ბუნებრივია, შესაბამისი მოდერნიზება გაიარა იმ ავტომობილის დაკიდების სიტემამ, რომელიც მწარმოებლის მიერ თავიდან ქალებისთვის განკუთვნილად იქნა მონათლული. პირველ რიგში, 15 მილიმეტრით შემცირდა მისი კლირენსი (დაშორება ავტომობილის ძირსა და გზის საფარს შორის), გაიზარდა ზამბარების და ამორტიზატორების სიხისტე, რასაც მოჰყვა ავტომობილის მართვადობის გაუმჯობესება. შესაბამისად, შეიცვალა პატარა "იპსილონის" ბორბლები. მოდერნიზებული ავტომობილი 17-დუიმიანი ბორბლებით აღიჭურვა, რომლებზეც ჩაცმულია 205/45 ზომის საბურავები.

მოდერნიზებულმა "იპსილონმა" იტალიურ სადიზაინერო ატელიე "ძაგატოს" მიერ მომზადებული აეროდინამიკური აღჭურვილობაც მიიღო. განსაკუთრებით თვალშისაცემია სამი, მოზრდილი ზომის ჰაერის ამღები, რომლებიც ერთმანეთის გასწვრივ, წინა ბამპერის ქვეშაა განლაგებული. მათი მეშვეობით, გასაგრილებლად განკუთვნილი ჰაერი რადიატორისა და წინა მუხრუჭებისკენ მიემართება.



ლანჩა იპსილონ სპორტი

სხვათა შორის, ატელიე "ძაგატოს" შარშან დაარსებიდან 85 წელი შეუსრულდა. იგი უგო ძაგატომ 1919 წელს ჩამოაყალიბა, "ლანჩასთან" პირველად კი 1937 წელს ითანამშრომლა, როცა მისთვის დაამზადა ორი სპორტული ავტომობილი. მათგან ერთ-ერთმა იმავე წელს მოიგო ლეგენდარული მილე მილიას რბოლა. სამწუხაროდ, ამ ავტომობილს ასეც პროტოტიპად დარჩენა უწერია.

ჟენევაში "ლანჩას" წარმომადგენლებს ამ ავტომობილის მომავლის შესახებ არაფერი უთქვამთ, თუმცა ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ კომპანია სპორტული "იპსილონის" წარმოებას გეგმავს. უფრო მეტიც, გამოცხადდა, რომ წარმოების დაწყება 2006 წლისთვისაა დაგეგმილი.

უფრო მეტიც, "ლანჩა" ირწმუნება, რომ ევროპული კლასიფიკაციით სეგმენტ C-ს შესაფერის ახალ სპორტულ მოდელს ამზადებს, რომელიც სამოდელო გამაში დაიკავებს ლეგენდარული "ლანჩა დელტას" ადგილს. ამ ავტომობილის დებიუტი 2007 წლისთვის იგეგმება. იმავე წელსაა მოსალოდნელი ახალი თაობის "სტრატოსის" წარმოების დაწყებაც, ოღონდ ამ ავტომობილს შეიძლება არაფერი ჰქონდეს საერთო ლონდონურ ფირმა "ფენომენონის" მიერ ჟენევაში წარდგენილ "სტრატოსთან", რომელთან გაცნობის საშუალება ჩვენი რუბრიკის მკითხველს უკვე ჰქონდა.

**გვერდი მოამზადა**
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

## ორშაბათი 28.03

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** რობოტი და რობოტუნა **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** რობოტი და რობოტუნა **18.30** პატრული **19.00** ქართული ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი "არქტიკული ოპერაციები" **00.00** მხ. ფილმი "ფორმულა 51" (18) (ს. ელ ჯექსონი) **02.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.20(შვეიცარია), 02.45(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. **07.00** მოგზაურობა შიმშილის საწინააღმდეგოდ. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა საოჯახო ფოტოები. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** მეტისი. მხ. ფილმი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა: თვალსაზრისი. **24.30** ბიძაშვილები მხ. ფილმი. რეჟისორი კლოდ შაბროლი. **04.25** მაშველები. ტელესერიალი.

### JIST

**09.00** პროგრამა "დილა" **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

### 1

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** დოკ. ფილმი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" -ჰუსეინი **16.30** დოკ. ფილმი "ცეკვა დეგას შემოქმედებაში" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "მედიატორი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი - ქრისტიანული ოჯახები **23.30** მხ. ფილმი "დინოკროკი" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00, 17.20, 21.00** ტუწ-ემ **11.30** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.30** ინდ. მხ. ფილმი "ჯუნგლების მეფე" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.30** საქმე და ეკონომიკა **00.45** მხ. ფილმი "ახალი თაობის სპეცრაზმი" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (განმ.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** "ავტოგრაფი". ლუკა კურტანიძე. **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** მუსიკა მზეზე **21.00** ჯეოსტარი - ფილარმონია. **23.00** დოკ. ფილმი "ამხანაგი პრეზიდენტი" **00.00** მხ. ფილმი "ექო" (გ) (არმანდ ასანტე)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "პარიზის ცხოველები" **21.45** კონცერტი **22.50** კინოსეანსი "მოლანდება"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **11.30, 17.10, 03.00, 06.15** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.30** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 06.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ვაკაფე-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯანრი კაშიასთან ერთად **01.40** მხ. ფილმი "ჯეიკობის კიბე" (15) (ტიმ რობინსი) **04.00** მხ. ფილმი "არჩევანი" (გ) (ჟაკლინ ბისე) **06.05** ქრონიკა

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" (გან) **10.00** კომედია "ჰუძონის ქორი" **11.25** მუსიკა **12.00** ფანტასტიკა "ვარსკლავური ომები" **14.00** მუსიკა **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** მხ. ფილმი "ორდერი" **17.00** მუსიკა **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** თრილერი "დაპირება" **23.00** დოკ. ფილმი "ნაპოლეონი ბონაპარტე" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "მე დინა ვარ"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Хью Джекман в боевике **"ВАН ХЕЛЬСИНГ". 11.30** "Кумиры". Людмила Лядова. **12.20** Николас Кейдж в фильме **"ЭТО МОГЛО СЛУЧИТЬСЯ С ТОБОЙ". 14.10** Док. фильм "Рай по заказу". **15.20** Валерий Николаев в боевике **"РОДИНА ЖДЕТ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Диагноз - квартира". 1-2 с. **18.40** Сериал **"КЛОН". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"БРЕЖНЕВ". 22.40** Спецрасследование. "Фальшивые деньги". **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Космос. Обратный отсчет". 1-я серия. **00.30** Искатели. "Свидетель великой осады". **01.00** Эдвард Фокс в триллере **"ДЕНЬ ШАКАЛА".** Фильм, действие которого происходит во Франции в начале 60-х годов, основан на реальных событиях. Картина воспроизводит историю покушения на жизнь президента Франции Шарля де Голля, предпринятую ультраправой террористической организации ОАС. Исполнителем воли преступников стал опытный наемный убийца по кличке Шакал, согласившийся выполнить эту работу на полмиллиона долларов. **03.20** Уильям Макнамара в комедии **"ОТЕЛЬ "ПАРАДИЗ". 04.50** Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ ГЕРКУЛЕСА"**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: УБИЙСТВО НА МЭДИСОН АВЕНЮ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** "Чрезвычайное происшествие". Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.40** Сериал **"ОПЕРА. ХРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА: ПОЧЕРК УБИЙЦЫ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Владимир Меньшов в сериале **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ".** 1-я с. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Александр Лыков в детективном сериале **"ФАВОРСКИЙ".** 1-я с. **20.45** Сергей Маховиков в сериале **"СЛЕПОЙ".** 1-я серия. **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 01.15** Журнал Лиги чемпионов. **01.45** Владимир Высоцкий в фильме **"ВЕРТИКАЛЬ".** Шестерка отважных альпинистов отправляется в горы, четверо из них пробуют покорить неприступную вершину. Когда под снежной лавиной пропадают двое и с ними прерывается связь, все оказываются словно в другом измерении - "по вертикали"... **03.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2". 05.40** Чрезвычайное происшествие.

## სამშაბათი 29.03

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** რობოტი და რობოტუნა **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 00.45** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ჩხუბისთავები" (გ) **15.25** ქართული ფეხბურთი **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** რობოტი და რობოტუნა **18.30** პატრული **18.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** მხ. ფილმი "უსახო" (18) (მელ გიბსონი) **01.10** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** არარეალური თვალსაზრისი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **11.05** საოჯახო ფოტოები. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეტამაში. **16.30** გადაცემა: აქტუალური თემა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. 20. 30 კულტურები და დამოკიდებულებები. **24.25** გადაცემა: წითელი ფარდა. **03.00** სამხრეთის ანარეკლი. **04.25** გადაცემა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

### JIST

**09.00** პროგრამა "დილა" **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

### 1

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** დოკ. ფილმი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "ს. ზაქარიაძე" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (მაიორკა) **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ- "არაბული ღამეები" 1-ლი ს. **19.40** სასამართლო დარბაზში **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "კოსმოსური ოდისეა" 1-ლი ნ. **23.00** პროფესიონალი - ავტომობილები **23.30** მხ. ფილმი "ცოდვის შვილები" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00, 17.20, 00.30** ტუწ-ემ **15.45** საქმე და ეკონომიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "სასიკვდილო ურო" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (განმ.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** დოკ. ფილმი "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** დოკ. ფილმი "ამხანაგი პრეზიდენტი" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "ანიმაცია", "მარიამი", "ტანკა". **23.45** მხ. ფილმი "მოთამაშე" (15) (სრეფანია პოკა)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "ხმელთაშუა ზღვის ვეშაპები" **21.45** სპექტაკლი "ტანტრე ბიჭის ოჯახი" **22.15** კინოსეანსი "წკიპურტები"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **12.20, 17.10, 05.15** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.05** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "რუმბა" (მ. პიკოლი)) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 05.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **22.40** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.00** პირველები **00.05** მხ. ფილმი "ენჯელის გული" (18) (მიკი რურკი) **02.35** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი) **03.30** მხ. ფილმი "თამაშიც ასეთი უნდა" (გ) (ვ. ტოდოროვსკი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" (გან) **10.00** მუსიკა **10.30** დოკ. ფილმი "ნაპოლეონ ბონაპარტე" **11.30** მუსიკა **12.00** ფანტასტიკა "ვარსკლავური ომები" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** კომედია "80 დღე დედამიწის გარშემო" **17.00** მუსიკა **17.55** მულტფილმი **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** მხ. ფილმი "მოსვლისთანავე მკვდარი" **22.50** "მოგზაური" **23.30** "სტარტი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "შეთქმულება"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"БРЕЖНЕВ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Борис Галкин в фильме **"ОЖИДАНИЕ ПОЛКОВНИКА ШАЛЫГИНА". 14.00** "Гении и злодеи". Александр Фадеев. **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Валерий Николаев в боевике **"РОДИНА ЖДЕТ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Последнее дело Пушкина". 1-2 с. **19.50** Анатолий Лобоцкий в детективном сериале **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 21.00, 23.30** Время. **22.40** Спецназ. "Крещение в аду". **23.50** "Неизвестный Олег Ефремов". 1-я серия. **00.30** Док. сериал "Оружие Второй мировой войны". **01.00** Дженнифер Энистон в комедии **"ОБЪЕКТ МОЕГО ВОСХИЩЕНИЯ".** Джордж и Нина живут вместе в удобной и симпатичной квартире в Бруклине: Нина сдает молодому человеку комнату. Со стороны, они - замечательная пара. У них масса общих интересов, одинаковые кулинарные пристрастия, оба обожают бальные танцы. Кажется, лучшего партнера друг другу и не найти. Но есть одна помеха: к несчастью, Джорджа совсем не интересуют женщины... **03.05** Дайан Лэдд в триллере **"ИЗМУЧЕННОЕ СЕРДЦЕ". 04.50** Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ ГЕРКУЛЕСА".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: УБИЙСТВО В МИЛАНЕ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** "Профессия - репортер". "Куда уходит детство?" Фильм Вадима Такменева. **10.50** Сериал **"СЛЕПОЙ". 11.55** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 13.35** Чистосердечное признание. **14.05** Юрий Каюров в фильме **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА".** Фильм 1-й. **"МЫ НАШ, МЫ НОВЫЙ...".** 1-я с. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 20.45** Сериал **"СЛЕПОЙ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 01.20** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 02.25** Бильярд. **03.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2". 05.40** Чрезвычайное происшествие.

## ოთხშაბათი 30.03

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "უილბლონი" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ადამიანი-ობობა **18.30** პატრული **18.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ხალხის პირისპირ **23.00** დოკ. ფილმი "ეს დემონისებური მაიმუნი" **00.00** მხ. ფილმი "იღბლიანი სალი" (18) (პოლ ნიუმენი) **02.05** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** შავი ყუთი. **08.30** ტელედილა. 11.05. გადაცემა: საოჯახო ფოტოები. **12.20** გადაცემა: წითელი ფარდა. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ქალთა ტკივილი. ტელესერიალი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ირანს სალამი. დოკ. ფილმი. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. **03.00** მოგზაურობა სიმშილის წინააღმდეგ. დოკ. ფილმი. **04.25** სერიული დანაშაულებანი. ტელესერიალი.

### JIST

**09.00** პროგრამა "დილა" **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

### 1

**08.00** "ადრე" **22.00** დოკ. ფილმი "კოსმოსური ოდისეა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** დოკ. ფილმი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო - აკა მორჩილაძე **16.30** დოკ. ფილმი "ჯოკონდა - მითი და საიდუმლო" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "არაბული ღამეები" მე-2ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ვარსკვლავის დისკის საიდუმლო" **23.00** ახალი პროექტი - "ტაძართმშენებლობა" **23.30** კინოსამყარო "მოემზადე, არ გაინძრე, ჩარლი!" (15) **02.10** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00, 13.00, 17.20, 00.30** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "სასიკვდილო ურო" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "ტაბლოიდი" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (განმ.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.25** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "ანიმაცია", "პეიზაჟი ნისლში", "ორშაბათს სალამოს". **23.45** მხ. ფილმი "მაგარი ბიჭების ისტორიები" (12) (ბრეტ პიტი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "მონღოლური ცხენის დაბრუნება" **21.45** კინოსეანსი "ინსპექტორი ლავარდენი"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **11.35** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **12.40, 16.25, 01.45** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "გრძელი გზა შინისკენ" (რ. დე მორნნი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.20, 04.45** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.10, 04.55** იმედის მელოდიები **17.25** არტბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.25** ფეხბურთი. საქართველო-თურქეთი. **23.10** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.30** "უცნობი საქართველო" **00.05** მხ. ფილმი "შვილის ოთახი" (15) (ნ. მორეტი) **02.15** მხ. ფილმი "ცალთვალა ჯეკი" (მ. ბრანდო)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი"ჩემი სამი და" (გან) **10.00** მუსიკა **10.20** "მოგზაური" **11.00** "სტარტი" **11.30** მუსიკა **12.00** ფანტასტიკა "ვარსკლავური ომები" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** ბოევიკი "მომრიგებელი" **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი"ჩემი სამი და" **21.00** მხ. ფილმი "ქორწილი წვიმების სეზონზე" **23.00** დოკ. ფილმი "ვან გოგი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "შიშის ოთახი"

### ОРТ

